

საერთო გაზეთი

№02 (237) • 6-12.11.2013 წელი • გამომცემი ოთხშაბათი • www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ღირსი 1 ლარი

ბიზინსი იზიარებენ:



„არ ვაპირებ ქუთაისში ჩასვლას და სააკაშვილის გამოსვლაზე დასწრებას“

მიხეილ სააკაშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძალუფლებაზე შეყვარებულ თავგზააზნეულ დიქტატორთან, ხოლო ნაციონალური მოძრაობის სახით - საკუთარი პოლიტიკური თვითგანადგურების გზაზე მდგარ, ერთი კაცის ახირებებს აყოლილ, თავისუფლებანართმეულ ადამიანებთან, რომელთა სიტყვას ჩალის ფასი უნდა დაედოს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც.

ფრაგმენტი საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციების მიმართვიდან

იჩინა მოპოსაშვილი:

„nacmoZraoba~ biZina ivaniSvil is wi naaRmdeg medi asabotaJs amzadebs _ erTi gazeTis angariSze ukve daido 2 mi lioni!“



„მე დღეს თავს შევიკავებ და არ ვასახელებ არც იმ გაზეთს და არც მის მფლობელს, მაგრამ ერთი რამ კი მინდა ხმამაღლა ვთქვა: ბატონებო, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე რამდენიმე მედიაგამოცემა დროებით დაიხურება და ამის მიზეზად (ასევე აუცილებლად) ახალი ხელისუფლების მხრიდან პრესაზე ზეწოლა და ფინანსური პრობლემები დასახელდება.“

ვანტანგ ხარჩილავა:

Sizofreni is sezoni



ზაზა შათიჩიშვილი:



„ნაციონალები“ 21-ე საუკუნის აცტეკები არიან, რომლებიც ქვეყანას მსხვერპლშენიერვის რიტუალებით მართავდნენ

ISSN 2233-3983



9 772233 398001

კრიმინალი
მსხვერპლად

pornoindustria
qarTul cixeebSi

ჩეჩენის სუიცი

პირველი პირობები!



ბოლოს გიხდით, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თითქმის ერთი თვეა, არ შევხვედრივართ ერთმანეთს.

თუმცა, როგორც იტყვიან, ზოგი ჭიკი მარგებელია - ამ ერთმა თვემ დაგვანახა, თუ რამდენი გულშემატკივარი ჰყოლია „საერთო გაზეთს“.

ამ ხნის განმავლობაში გულწრფელად შეწუხებული უამრავი ადამიანი რეკავდა რედაქციაში და თანაგრძობას და თანადგომას გვიცხადებდა.

დიდი მადლობა ყველას, ვინც შეგვეხმინა და ასევე დიდი მადლობა მათ, ვინც არ შეგვეხმინებია, მაგრამ ყოველ ოთხშაბათს ვიტრინებსა და სტელაჟებზე ეტება „საერთო გაზეთს“.

მკითხველი ჰკავს იმ გაზეთს, რომელსაც კითხულობს და პირიქით, გაზეთი ჰკავს თავის მკითხველს.


ჩვენ შესანიშნავი მკითხველები გვყავს - განათლებული, გონიერი, პატრიოტი ადამიანები, ნამდვილი ქართველები...

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას ერთგულებისა და თანადგომისთვის.

ბალაოგანების საპროტოკოლო უფლებების ლიცენზიას ავტორიზაცია

გუმინ, 12:00 საათზე, ტელეკომპანიებსა და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას შორის სალიცენზიო შეთანხმებები გაფორმდა. ლიცენზიების საფუძველზე ტელეკომპანიების: საზოგადოებრივი მაყვების, რუსთავი 2-ის, ტელეიმიჯის, GDS-ის, კავკასიის და სხვა ტელევიზიების ეთერებში საავტორო უფლებების გამოყენებისთვის ჰონორარები იქნება გადახდილი, რასაც ასოციაციის შემდგომი ავტორები მიიღებენ.

როგორც საავტორო უფლებათა ასოციაციაში აცხადებენ, ტელეკომპანიების მიერ ასეთი ლიცენზიების შექმნით მნიშვნელოვნად შემცირდება საავტორო უფლებებით დაცული პროდუქციის უნებართვოდ გამოყენება და ყველა ავტორი კუთვნილ ჰონორარს მიიღებს. ასევე მკვეთრად გაიზარდა საქართველოში საავტორო უფლებების დაცულობის მაჩვენებელი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მონპარების კულტურის დანერგვას. შეთანხმებას ხელს მოაწერენ ტელეკომპანიების ხელმძღვანელები და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძე.



„საერთო გაზეთი“

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალბათიანის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრ. № 202375349; შპს (სს) 070.23 (479.22) ს-158

საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციების მიმართვა კონსტიტუციური ცვლილებების თაობაზე

4 თებერვალი, 2013

ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს - თუნდაც უპრეცედენტო კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილი მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, ქვეყნის წინსვლის ხანმოკლე შეფერხება ბევრ მოვლენას შეუძლია - მათ შორის, პოლიტიკური პერსპექტივის გარეშე დარჩენილი მიხეილ სააკაშვილის შესაძლო მორიგ უპასუხისმგებლო ნაბიჯს.

კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამგვარი შეფერხების საფრთხე ააცილა ქვეყანას, როდესაც ყველასთვის ნათელი გახდა, თუ რა ცდუნებას იყო აყოლილი მიხეილ სააკაშვილი და როგორ ამზადებდა ნიადვს (განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ) მორიგი ავანტიურისათვის - მე, ისეთი სუპერდემოკრატი პრეზიდენტი ვარ, რომ არჩევნებში დამარცხებაც კი ვალად ვარ, მაგრამ დიქტატორ ივანიშვილს კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა და ამიტომ იძულებული ვარ, შევასრულო კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულება და ხელისუფლებას ჩამოვაცილო მისი მთავრობა.

ამგვარი ნაბიჯის ცდუნებას მას უქმნიდა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით შექმნილი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდა ხალხისა და პარლამენტის ნდობის მქონე მთავრობის გარეშე და მხოლოდ მისი ნება-სურვილის შემსრულებელი მთავრობის დანიშვნა.

ამ საკითხზე ვენეციის კომისიის დასკვნა იმთავითვე ცალსახად უარყოფითი იყო. დასკვნაში ნათქვამია: „ამ შემთავრების გაზიარება როგორც, ამგვარ მთავრობას [პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნულს] არ ექნება ლეგიტიმობა. როდესაც პარლამენტი სამჯერ უარყოფს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ მთავრობას, პრეზიდენტს არ უნდა შეეძლოს ისეთი პრემიერის დანიშვნა, რომელიც პარლამენტს არ აურჩევია. მას უნდა შეეძლოს პარლამენტის დათხოვნა და მოქმედი პრემიერ-მინისტრისთვის მოვალეობის შესრულების დაკისრება არჩევნების დასრულებამდე“ (ვენეციის კომისიის დასკვნა №281/2004. მარტი, 2004).

მოუხდევად ამისა, კონსტიტუციის ეს ჩანაწერი 9 წლის განმავლობაში შეუქმნველი დარჩა დემოკრატიულ სამყაროს, ვინაიდან სააკაშვილი ახრჩვებდა ყველასთვის თვალში ნაცრის შეყვანს. მხოლოდ პარლამენტში ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებებმა გახდა ყველასთვის ნათელი, თუ რასთან და ვისთან გვაქვს საქმე. ყველასთვის ცხადი გახდა ისიც, თუ როგორ ფარისევლობდა სააკაშვილი დამარცხებასთან შეგუების თემაზე და რას ემსახურებოდა მისი პიარკამპანია უცხოეთში.

საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები გაოცებით კითხულობენ, ნუთუ მართლა წერია საქართველოს კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის უკითხავად შეუძლია შექმნას მთავრობა და მას ამართინოს ქვეყანა... ამგვარი ჩანაწერი, ასე კონსტიტუციურად გამყარებული დიქტატურა ხომ დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს!

სწორედ ეს მიუთითა ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიონი 2013 წლის 31 იანვარს თბილისში ყოფნისას: „არის რიგი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ცვლილებები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული და შესისხს, რომ ეს უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პარლამენტმა და მთავრობამ სტაბილურად იმუშაოს. აუცილებელია, შეიცვალოს კონსტიტუცია, რათა სახელმწიფოს მეტადი მალაუფლების ლიმიტირება მოხდეს, რომელიც მას უფლებას აძლევს, რომ მთავრობა დაითხოვოს და პარლამენტის თანხმობის გარეშე ახალი მთავრობა აირჩიოს“ (pirweli.com.ge 17:40 31.01. 2013).

ამდენად, თავად კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების ფაქტიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სააკაშვილის გეგმა

ჩაშლილიყო - ახლა არც მისი „კოპატიტივი“ სურვილების ჭეშმარიტების სჯერა ვინმეს და აღარც მისი კონსტიტუციური მექანიზმების. შესაბამისად, იგი დღევანდელ, სანამ კონსტიტუციაში ვერ კიდევ არსებობს ეს ჩანაწერი, უკვე უძღვრია გამოყენების ეს იარაღი. ამ იარაღით მას მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური თვითმკვლელობა შეუძლია.

ნაციონალური მოძრაობა, ცხადია, თავისუფალია არჩევანში. მათ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ამ ცვლილებებს და ამით არა მარტო წარსულის სიმანჯრეზე თქვან უარი, არამედ პოლიტიკური მომავლისთვისაც გადადგან სწორი ნაბიჯი; ან, მათ შეუძლიათ უარი თქვან ცვლილებების მხარდაჭერაზე და ამით მთელი მსოფლიოს გასაგონად გააცხადონ თავიანთი შეშინებითი პოლიტიკური ზრახვები და მომავლის ხედვა.

ცვლილებების განხილვის პროცესში უმცირესობის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან დაისვა საკითხი პარლამენტის დათხოვნის 6-თვიანი შეზღუდვების მოხსნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ჩვენი წინადადება მიზნად ისახავდა ჩვენს პოლიტიკურ მზობას, ნებისმიერ დროს მიგვეცა ხალხისთვის არჩევნის საშუალება. მაგრამ, თუ ნაციონალური მოძრაობის თვალთახედვიდან ეს ნოვაცია რაიმე საფრთხეს შეიცავს, თანახმა ვართ, ვიმჯავოთ და გავიზიაროთ მათი წინადადება, თუ იგი მკაფიოდ და საჯაროდ იქნება გამოთქმული.

კონსტიტუციური ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციები უნდა გამოკვეთონ არა მარტო პოლიტიკურმა გუნდებმა, არამედ თითოეულმა პარლამენტარმა და პოლიტიკოსმა. არ გამოვიტყვავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ცალკეულმა წევრებმა ჩათვალეს, რომ ეს ის თემა და საკითხია, რომელზეც ისინი ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელი ხალხის წინაშე და მხარი დაუჭირონ ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნებას მოუხდევად იმისა, თუ რა იქნება მიხეილ სააკაშვილის პოზიცია. არჩევანი მათზეა!

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააკაშვილმა სწორი ნაბიჯის გადადგმის საშუალება არ მისცა არც მის გუნდს და არც მის ცალკეულ

დევ 2004 წელს დაგმო ვენეციის კომისიამ, მართალია 2010 წლის ჩვენს მიერვე შეტანილი ცვლილებებით იგი 10 თვის შემდეგ გაუქმდა, მართალია ამ 10 თვის განმავლობაში პრეზიდენტი მაინც არ აპირებს ამ უფლებამოსილებით სარგებლობას, მართალია ცოტა ხნის წინ ჩვენვე დავეჭვირეთ მხარი ამ ცვლილებების განხილვას, მაგრამ მიშას ეწეოდა კონსტიტუციური დიქტატორის რეგალის ჩამორთმევა და ამიტომ ხმას ვერ მივცემთ ამ ცვლილებას... სიმბოლურია, რომ აქ საუბარია სწორედ პრეზიდენტობის ვადის იმ 10 თვეზე,



რომელიც მიხეილ სააკაშვილს ისედაც მითვისებულ აქვს კონსტიტუციური მანიპულაციებისა (2006 წლის ცვლილებები) და თვალთამყვანობის (2007 წელს პრეზიდენტობიდან გადადგომის განცხადების დაგვიანებით გაფორმება) გზით. ამრიგად, სრულიად ნათელია - ვინც თავს აარიდებს შემთავრებულ ცვლილებების ხმის მიცემას, იგი აკეთებს არჩევანს ერთი კაცის ახირების სასარგებლოდ და ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, ანუ აცხადებს, რომ „სახელმწიფო, ეს სააკაშვილია“. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ „სახელმწიფო, ეს ქართველი ხალხია“.

ამიტომ, დღეიდან საჯარო საპარლამენტო და სატელევიზიო დებატებში ვიწვევთ პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის თითოეულ წარმომადგენელს თემაზე - „საკაშვილი თუ საქართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა“. წლების განმავლობაში სააკაშვილის ზურგს უკან მიმაღულ ადამიანებს, რომლებიც პერსონალურად არასოდეს არაფერზე აგებდნენ პასუხს, მოუწვევთ საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირებას კონკრეტულ საკითხზე - უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის უფლება. ამ საკითხზე არჩევანის გაკეთებისას ვერავინ ვერავის ზურგს ვერ ამოფარება და ვერც დემოკრატიური სტიკებით შეძლებს სხვა თემებით მის გადაფარვას. პარლამენტის წევრებმა, რომლებიც თავს იწონებენ ხალხის რჩეულის სტატუსით, თვალთ უნდა გაუსწირონ საზოგადოებას და საკუთარ შვილებს (და არა ჩვენს ან ბიძინა ივანიშვილს) და განაცხადონ - „იქ“ თუ „არა“.

ეს არ არის მორიგი პოლიტიკური საკითხი, რომელზეც მსოფლმდევლობიდან გამომდინარე შეიძლება ორი მეტ-ნაკლებად სწორი პასუხი არსებობდეს, ეს არის ფუნდამენტური საკითხი იმის გასარკვევად, თუ სინამდვილეში რას ემსახურება თითოეული ჩვენგანი - ხალხს თუ დიქტატორს. შესაბამისად, ამ პასუხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი - ვინც იტყვის „იქ“, მისთან ჩვენ ვხვდებით თანამშრომლობის თუ ოპორტიუნის აზრს და შესაძლებლობას სხვა საკითხებზე; ვინც იტყვის „არა“, მის მოსმენაზე და მასთან დებატებზე ჩვენ დროს ვერ დავკარგავთ ვერც ნებისმიერ სხვა საკითხზე.

- დ. საბანელიძე - საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი
- ზ. შატავაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“
- დ. ბერძენიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“
- ი. ჩიქოვანი - ფრაქცია „ქართული ოცნება“
- თავისუფალი დემოკრატები - ბ. ბუჭია - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდნენ რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებისთანავე ერთი ჰვირის ვალში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

© 2013 წლის ნოემბერიდან სარედაქციო მასალები.

Fragmentebi saqarTvel os premier-ministris biZina ivaniSvil is preskonferenciidan

„შერატონ მეტეხი პალასი“, 05.02.2013



ბიკინა ივანიშვილი:

„არ ვაპირებ ქუთაისში ჩასვლას და სააკაშვილის გამოსვლაზე დასწრებას. ახალს არაფერს იტყვის, ალბათ, სიცრუეს მოყვება, როგორც ყოველთვის“.

„სასაცილოა, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ იდეოლოგიას გვასწავლის. სააკაშვილმა კონსტიტუცია ისე გადაწერა, როგორც თავად უნდოდა. საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი სააკაშვილის და ბაქრაძის არჩეული არ არის, ეს ქართველი ხალხის არჩევანია, ქართველების ნება და ხასიათია, ტყუილად ამბობს „ნაციონალური მოძრაობა“, რომ ევროპა მათ აღმოაჩინეს. ამ მიმართულებას აღმოჩენა არ სჭირდებოდა. ამას კონსტიტუციაში ჩაწერა რატომ უნდა დასჭირდეს. ის, რომ ისინი მოთხოვნებს აყენებენ, გასაოცარია“.

„ჩანერგილები“ ჩვენთან უფრო მეტია, ამიტომ „თავისუფალ დემოკრატიებშიც“ თუ არიან, არ გამოვრიცხავ. „ნაციონალური მოძრაობა“ მაგის ოსტატები არიან, სეთურის სამსახური და ა.შ. ამაში ირაკლის ბრალეულობა არა-

ფერია. ეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იმარჯვა და მოახერხა, შეეყვანა იქ საკუთარი ხალხი. საგანელიძესაც აღასანიაზე და მენჯემენტზე კი არ აქვს ეჭვი. საპროტესტო აქციებზე, ორი კაცი წინ კოალიციის წარმომადგენელი იდგა და უკან „ნაციონალები“ მასას ქმნიდნენ. იგივე ხდება კახეთშიც. გასაგებია, რომ აქვთ იმის მცდელობა, აღასანია გადაიბირონ თავისკენ და გადაიზიდონ. ჭორები დადის, რომ ხვდებიან და აქვთ ამათ კომუნიკაციები. ჭორების სახით რაც გავიგე, თვითონ ირაკლის შევეკითხე ამაზე და მან მითხრა, რომ არავითარი კავშირი არა აქვს და არავითარი კომუნიკაციები მათთან არა აქვს. პირდაპირ ვკითხე, ჭორების ღონეზე რაც გავიგე, მაწუხებდა. მეტი არაფერი შემიძლია, გითხრათ. გარწმუნებთ, რომ ჯანსაღი პროცესებია, პატარა გადაცდომაც იყო, რეაქციაც იყო. რა თქმა უნდა, ჩვენს ოპონენტებს ეს გაუხარდათ და თუ ლაჩარს საჯაროდ ეძახიან, ალბათ, ცდილობენ, თვითონ რომ როგორმე ამასთან კომუნიკაცია დაამყარონ და გუნდი გახლიჩონ. ეს მათი ჯანსაღი მცდელობაა. მე გარწმუნებთ, რომ დავეწმარდეთ. ვიდრე მე პოლიტიკაში ვარ, ვინც არ უნდა გადახტეს და საით არ

უნდა გადახტეს, არაფერი არ მოხდება. საკუთარ თავს დაიზიანებს ყველა, თუ ამას გააკეთებს.“

„ალბათ, შეამჩნიეთ, რომ საქართველოში დაიწყო ფასების შემცირება. ელექტროენერჯის ფასი 21%-27%-ით შემცირდა, საწვავის 10%-ით. ასევე შეინიშნება ფარმაცევტული პროდუქციის 30-დან 70%-მდე შემცირების ტენდენცია. თუ ეს ესეა, იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნესმენებმა ყურად იღეს, რომ მონოპოლიური ფასები არ უნდა იყოს და თვითონ დაიწყეს ფასის დაკლება“.

„საკაშვილმა მისი მთავრობის იმ წევრებზე ისაუბრა, რომლებმაც საქართველო დატოვეს, ყველაფრის სააშკარაზე გამოტანას არ ვაპირებ, თუმცა როცა ზურაბ ადვიშვილზე საუბრობდა, მიხეილ სააკაშვილმა მითხრა, მართალია, ადვიშვილი გაიქცა და ვერ გავიგე, რატომ გაიქცა, მაგრამ ევროპაში ტრამვაით მოგზაურობსო. აქ ტრამვაი აღარ არის, აყარეს ამათ რელსები, მაგრამ რატომ გაიქცა, თუ ტრამვაით მოგზაურობს? ჩამოვიდეს და ტროლეიბუსის ფულს მაინც მივცემთ“.

„გიგი უგულავა რომ მშობარაა, თვითონ სააკაშვილიც ამბობდა ამას. ძალიან მშობარა კაცი გამოდგა. აბსოლუტურად ჯანსაღი კითხვები არსებობს, ეს ფაქტია და არა მარტო ეს კითხვები, რომელიც დაუსვეს, კიდევ სხვა კითხვები არსებობს უგულავას ირგვლივ. ვერ გაბედა მისვლა და პროკურატურამაც გააკეთა გამონაკლისი“.

„თქვენ კარგად გახსოვთ სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, ადვიშვილი, ძირითადად ეს ოთხეული ტელევიზიებით გამოდიოდნენ და ვირტუალურ სამყაროს აღწერდნენ, განსაკუთრებით სააკაშვილი იმეორებდა ხშირად, რომ ქართველი ხალხი ძალიან ბედნიერია, მიდის აღმშენებლობა, როგორ გავხდით ლამის ყველაფერში პირველები. ამ დროს თქვენ იცით, რა ხდებოდა ციხეებში, როგორ იცლებოდა სოფლები. მე მგონია, რომ ეს ადამიანები, ვინც ვირტუალურ სამყაროს აღწერდნენ, ცდილობდნენ მოსახ-

„1 თებერვლიდან საქართველოს ყველა მოსახლე უზრუნველოფილი იქნება მინიმალური სადაზღვევო პაკეტით და აპრილიდან სრულ პაკეტს მიიღებს. ასევე გაიზარდა საპენსიო ფონდი, რომელიც 1 აპრილიდან 125 ლარამდე გაიზარდება. 1 სექტემბრიდან კი გაუტოლდება საარსებო მინიმუმს. და გახდება 150 ლარი.“

„1 იანვრიდან საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები და კეთილსინდისიერი გადამხდელი გათავისუფლდა ჯარიმებისგან. 1 თებერვლიდან პირ-



ვლეობაზე საკუთარი ბედნიერების გავრცელებას. ეს ადამიანები იყვნენ ძალიან ბედნიერები და ცდილობდნენ, ტელევიზიებიდან დაეხატათ, რომ ჩვენც ბედნიერები ვიყავით, ამის პარალელურად კი ციხეები იყო ამოვსებული. ევროპაში პირველ ადგილზე სწორედ პატიმრების რაოდენობით ვიყავით.“

ველ ავეისტომდე განხორციელდება მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი. სოფლის მეურნეობის ფონდი დააფინანსებს ამ პროექტს. მიწების აღწერა იყო მოუგვარებელი და კარდაკარის პრინციპით მოხერხდა მათი დადგენა. დარიღება სასოფლო სამეურნეო ბარათები. რასაც არ ვპირდებით ჩვენ მოსახლეობას ეს იყო სამომხმარებლო კრედიტები 5 ათასიდან 100 ათას ლარამდე კრედიტების აღება შეეძლებათ ფერმერებს. 7 დან 8 % მდე გადაიხდიან. დანარჩენს ფონდი დააფინანსებს. სოფლის მეურნეობას ექნება უპრეცედენტო დახმარება გლეხებს. უნდა მოვანერხოთ საბოლოო ჯამში რომ გლეხი დაეუბრუნოთ მიწას და ავწიოთ შრომის ფასი. საერთო თანხა პირდაპირი დახმარებისა და კრედიტების სახით შეადგენს 700 მილიონ ლარს. მანამ დავეხმარებთ სოფელს სანამ ქართველი გლეხი წელში არ გაიმართება.“



პასტანგ სარჩილაშ

უცნაური სიტუაციაა დღეს საქართველოში – ლოგიკას და აზრს რომ არ ექვემდებარება, ისეთი.

უცნაური სიტუაციაა დღეს საქართველოში – შიზოფრენიასთან მსაზღვრელი, არანორმალური, აბსურდული სიტუაცია, რომელსაც თავისი უტიფრობით, ურცხვობით, ცინიზმით, ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი.

ყოველივე ამის კულმინაცია მანც ვეროსაბჭოს ის სხდომა იყო, სადაც პრეზიდენტად წოდებულმა კაცმა, მოქალაქე სააკაშვილმა, უტიფრობის ყველაზე რეკორდი მოხსნა და კიდევ ერთხელ, პრეზიდენტის რანგში უკანასკნელად, შეაყარა თვალში ნაცარი ვეროსაბჭოს და დანარჩენ მსოფლიოსაც და რაც მთავარია, აზვარად უკვე ვეროსაბჭოს მალაი ტრიბუნაიდან კიდევ ერთხელ „დაამარა“ თავზე ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია.

დემოკრატიაზე, დემოკრატიულ ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებზე ხან ინგლისურად, ხან ფრან-



გულად ლაპარაკობდა კაცი, რომლის მმართველობის პერიოდში 190-ზე მეტი პოლიტიკატიმარი ჰყავდა ქვეყანას, და სხდომათა დარბაზიდან არავის, არც ერთ ადამიანს არ უკითხავს უტიფრობისთვის: - თქვენ დემოკრატიაზე საუბარს როგორ ბედავთ, როცა ამდენი პოლიტიკატიმარი გყავდათ გამოწვევად თქვენს გეტოებში, რომლებიც მხოლოდ ასლახან გაათავისუფლა ახალმა ხელი-სუფლებამ?

არავინ, არც ერთი ადამიანი არ აღმოჩნდა სხდომის უამრავი მონაწილიდან, რომელიც ამ შეკითხვას დასვამდა, არ აღმოჩნდა ის ქართული დელეგაციის იმ ნაწილიც, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის სახელით გაემგზავრა სტრასბურგში და გამგზავრებამდე მაგრად იქაღნებოდა: - აი, ნახავთ, რა შავ დღეს დავაყრით სააკაშვილს ვეროსაბჭოს სხდომაზე.

ერთადერთი, ვინც ქართული დელეგაციიდან კითხვა დასვა ბატონი თედო ჯაფარიძე იყო, თუმცა კითხვა ისეთი „დიპლომატიურ-პატივისცემით“ გახლდათ, სჯობდა, არც მას ამოეღო ხმა და ყოფილიყო თავისთვის გატრუნული და გაფურცული.

ჩხუბის შემდეგ მუშტებს არ იქნევენ, თუმცა ქართული დელეგაციის წარმომადგენლებმა სწორედ ჩხუბის ანუ სხდომის დამთავრების შემდეგ იქნეეს მუშტები: - სააკაშვილს კითხვების დასმისთვის განკუთვნილი დროც თითონ რომ არ მოეთვისებინა, ისეთი ჩამჭრელი კითხვების დასმას ვაპირებდით, ძალიან ცუდ დღეში ჩავაგდებდითო.

განსაკუთრებული მოწადინებით მანც ლევან ბერიძენიშვილი ივანეზოვი და ღრო არ გვეყო, თორემ ამას ვიზამდი და იმას ვიზამდი, - გვიმტკიცებდა.

ეს ის ბერძენიშვილია, რომელმაც ამ „ისტორიულ“ სხდომამდე ცოტა ხნით ადრე ასეთი რამ განაცხადა: - ჩვენ უნდა ვიხსნათ სა-

Sizofreni is sezoni

მოცემულ სიტუაციაში ქართველ კაცს სხვა მოკავშირე, გარდა ბიძინა ივანიშვილისა, არ ჰყავს, ისე, როგორც არ ჰყავს ბიძინა ივანიშვილს სხვა მოკავშირე, გარდა ქართველი ხალხისა

კაშვილის იმიჯი და ქვეყნის იმიჯი. ქვეყნის იმიჯის ხსენება რა მოგახსენოთ, მაგრამ სააკაშვილის იმიჯი კი ნამდვილად იხსნეს საპარლამენტო უმრავლესობის სახელით ვეროსაბჭოში მივლინებულებმა.

მინ ხარო, პატრო, თქვენ, - „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და მისი წარმომადგენლები, თუ სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები და მისი მხარდამჭერები?

უმრავლესობიდან ყველაზე მეტად მანც ირაკლი ჩიქოვანმა ილაპარაკა და ისეთი „პადდერ-ჟაკა“ გაუკეთა სააკაშვილს, ჩიორას გული აუჩივლა და ცრემლმორეულმა განაცხადა: - მისასაღმებელია უმრავლესობის საქციელი - როცა საკითხი სამშობლოს ეხება, ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, როგორც ეს ამ სხდომაზე მოხდა.

ეჭვი მეპარება, რომ „ნაციონალისტები“ და ჩვენ, დანარჩენ ქართველებს,

ერთი სამშობლო გვექონდეს. ეჭვი მეპარება, რადგან სამშობლოს ისე არ ექვეყიან, როგორც „ნაციონალისტები“ ამ ცხრა წლის განმავლობაში მოექცა.

„ნაციონალისტები“, თავის ბელადთან ერთად, უფრო დამპყრობელს ჰგავდა, უფრო ზუსტად, ვიდაცის მიერ დაქირავებულ სადამსჯელო საუკუნოვანი არმიას, რომელიც დასაბყრობად ბოძებულ ქვეყანას სასტიკად არბევდა, აოხრებდა, ძარცვავდა, მოსახლეობას ციხეებში ყრიდა, ადამიანებს ქუჩაში ხოცავდა.

190 პოლიტიკატიმარი, 48 000 პატიმარი, ასობით მკვლელობა და სხვადასხვა ადამიანი, განანადგურებული ეპრონოპია, მკვლელობის ფაგოტები მილიარდები, განსხვავებული და გაყიდული სტრატეგიული მიზანმიმართული მნიშვნელობის ობიექტები, მილიონობით ადამიანი, მკვლელობის ფაგოტები და მკვლელობის ფაგოტები - აი, სააკაშვილისა და „ნაციონალისტების“ ცხრაწლიანი „მოღვაწეობის“ შედეგები და მრავალივე ამის შედეგად მის მოუხრილობას მანც ივანიშვილს უნდა ვიხსნათ, რომ „ნაციონალისტების“ საქართველოში სიმშობლო იყო?

უმრავლესობისა და უმცირესობის ერთობლივი ძალისხმევითა და ევროპეულთა დახმარებით ევროსაბჭოს რეზოლუციაში რუსეთის მისამართით დარჩა სიტყვა „ოკუპანტი“, რაც ყველამ დიდი მნიშვნელობის წარმატებად მიიჩნია.

სიტყვა „ოკუპანტი“ კი დარჩა, მაგრამ არავის უკითხავს მოქალაქე სააკაშვილისთვის - რატომ ქმნიდა იგი ამ ოკუპაციისთვის ხელსაყრელ პირობებს, როცა დალის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევდა ოფიციალურ-

რად და ხეობის დამცველ სვანებს ანიარალებდა?

ასევე რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს იმედგამირადი პრეზიდენტი სააკაშვილი ისტორიულ სამანაბლოს ასევე ოფიციალურად, ყოველგვარი ევრეთ წოდებულის გარეშე სამხრეთ ოსეთად მიიხსენიებდა და იქ არჩევნებს ატარებდა, რის შედეგადაც საქართველოს ოფიციალურად, ახალი ადმინისტრაციული ერთეული და მესამე პრეზიდენტი ვოვა სანაკოევი შეემატა თავისი მრავალრიცხოვანი ამალით.

რატომ არავინ ჰკითხა მოქალაქე სააკაშვილს, მისი მოქმედებები რატომ იყო ასე კარგად მორეგებული ოკუპანტის გეგმასთან?

ხოლო არ იყო ეს ფარული ბარიერა ოკუპანტთან, ანუ თავად ბატონი სააკაშვილიც ოკუპანტის მხარდამჭერი იყო არ არის, რომელიც ოკუპანტთან შეჯამებული სექსის მიხედვით მოქმედებდა და ყველაფერს აპოთხებდა იმისთვის, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც შედეგობრივად გაითვალისწინებდა, რომელიც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების სტატუსის მინიჭებას გააანადგურებდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის მოვლენებს რომ ვაანალიზებთ მხოლოდ, რატომ არ ვაანალიზებთ იმ მოვლენებს, რაც ამ ომს უძლია წინ?

მათში ხომ შესანიშნავად ჩანს ის შემადრწუნებელი პერსპექტივა, რაც ახლო მომავალში გველოდა?

მასხოვს, იმავე ადამიანებმა, რომ-



ლებიც დღეს სააკაშვილის პოლიტიკური სიციცხლის განანგრძობებზე მუშაობენ დიად თუ მალულად, აგვისტოს ომის შემდეგ ომის შედეგების და სააკაშვილის ბრალეულობის მორატორიუმი გამოაცხადეს, რითაც, ფაქტობრივად, იხსნეს სააკაშვილი ქართველი ხალხის რისხვისგან.

ისინი ახლაც ივანეს აკეთებენ და თავიანთ უღირს საქციელს პატრიოტული მოტივებით და ქვეყნის იმიჯზე ზრუნვით ხსნიან.

არადა, ქვეყნის იმიჯი ყველაზე მეტად მამინ ილახება, როცა ისეთ მმართველს ითმენს, როგორიც სააკაშვილი იყო.

თუმცა რატომ „იყო“? სააკაშვილი ისევე არის და, როგორც თვითონ აცხადებს, არსადაც არ აპირებს წასვლას.

შიზოფრენია ვასხანდით ზამთრ... აღამიანების ნარეული სისტემა, აღამიანების ფსიქიკა დიდხანს ვერ გაუმართავ იმ ცინიზმით და უტიფრობით გაყავებულ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას, იმ ფსიქოლოგიურ ტარორს, რომელსაც „ნაციონალისტები“ ახორციელებდნენ საპარტიუმო მისახალხობის წინააღმდეგ.

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მათ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქვეყნისა და ერის წინაშე, რისი დამდასტურებელი ასევე უამრავი ფაქტი არსებობს, თუმცა „ნაციონალისტები“ არ იტყუნებენ იხიბარს და ისე ირჯებიან, თითქოს არაფერი დაემშავებინათ, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

სამწუხაროდ, ამ ამკარად კრიმინალურ დაჯგუფებას საერთაშორისო არენაზე მძლავრი მოკავშირეები და მფარველები გამოუჩნდნენ, რომლებიც ქართველ ხალხს და ახალ ხელისუფლებას ამ კრიმინალურ დაჯგუფებასთან მშვიდობიანი თანაარსებობისკენ მოუწოდებენ.

ქართული ხალხის შეურაცხყოფა ეს, უდიდესი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდებაა.

რამდენ ხანს შეიძლება ეს ყველაფერი ითმინონ ადამიანებმა და როდის დგება ის კრიტიკული ზღვარი, როცა დიდხანს ნათმენი რისხვა ერთბაშად ამოხეთქეს უკონტროლო, ყოველის წამლეკავ ენერგიად?

„ნაციონალისტები“ იციან, რომ მათთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობა, მათთან კოაბიტაციონობის თამაში „ქართული ოცნების“ მხრიდან „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციის და მისთვის სახელის გატეხვის უებარი საშუალებაა.

საზოგადოებაში, აკი, განხდა ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ გარიგებულა „ნაციონალისტთან“.

ეს ეჭვი, რაც დრო გასა, მით უფრო გააძლიერდება და შიშობა, ერთ მხრივ იქნება დღეს ჯერჯერობით მხოლოდ „ნაციონალისტების“ წინააღმდეგ არსებული პროტესტი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ადამიანობის, ანუ საზოგადოებას ეს ორი ძალიან მართანდითაან გააძლიერებს.

მედოვი ხახუნის და ბლარატუნის რეჟიმში ყოფნა, ნებსით თუ უნებლით, მეტოქეს გაახლოებს და გაყვარებს კიდევ.

მით უმეტეს, თუ ეს მეტოქე სისხლსა და ტალახშია ამოთხერილი, ამ ხახუნ-ბლარატუნის დროს შენც ისევე იღა და მას ემსგავსები.

ძალიან კარგად იციან ეს ყველაფერი მათ, ვინც კოაბიტაციის თქმა შემოგვივდო და მტყუნაც და მართალიც ერთ ნაღმზე შეგვსვა.

ამ წერილში რამდენჯერმე ვახსენეთ მისი უდიდესი უღირსობა ქართველი ხალხი.

ქართველი ხალხი - ბიძინა ივანიშვილთან ერთად 1 ოქტომბრის მთავარი გმირი, რომელიც ამ უსასტიკესი ცხრა წლის განმავლობაში ძალმომრეობას და ტირანის არ შეუშინდა და ბოლომდე იბრძოლა გამარჯვებისთვის.

ის ახლა ამ გამარჯვებას არ დათმობს და სტატისტიკისა და მოეუნათა შორიდან მყურებლის როლსაც დიდხანს ვერ იტყუებს.

საერთაშორისო თანამშრომლობის აზრსაც პატივი უნდა ვმთხა და რაც განსაზიარებელია, უნდა განვიზიაროთ, მაგრამ, პირველ რიგში, პატივი უნდა ვმთხა ქართველ ხალხს, პირველ რიგში, მის ღირსებას უნდა გავფრთხილდეთ და მის ხმას უნდა მივუხმოდეთ ყოველთვის.

ბოლოდროინდელმა პროცესებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მოცემულ სიტუაციაში ქართველ ხალხს სხვა მოკავშირე, გარდა ბიძინა ივანიშვილისა, არ ჰყავს, ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს სხვა მოკავშირე, გარდა ქართველი ხალხისა.

ისინი ბედისწერით არიან შეკრულნი და მათი ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედება საჭიროა.

აი, ამის აღქმა, ამის გაგება და გაცნობიერება არის ის, რითაც ნებისმიერი პრობლემა, ნებისმიერი დამბრკობა ადვილად დაძლევა...

არის თუ არა პოლიტიკური საბოტაჟი მამინ, როცა მძლეობის, სტიქიისგან დაზარალებულების, თეატრალური საზოგადოების, სპორტის და ა.შ. სფეროში ახალ-ახალი, ყოველდღიური სკანდალების მოწმენი ვხვდებით? რა თქმა უნდა, საბოტაჟია! თუმცა, ამ საბოტაჟთან ყველაზე სახიფათო მინც მედიასაბოტაჟი იქნება, რომელსაც „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ უახლოეს ხანებში ამზადებენ.

მოგეხსენებათ, 2003 წლის ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე ისევ ნაც.მოდრობის მარწმუნებშია მოქცეული მეოთხე ხელისუფლების, ანუ მედიის დიდი ნაწილი და მათ შორის, ელექტრონული მედიის თითქმის 90%!

აბა, დააკვირდით იმ ტელევიზიებს, რომელთა გავრცელების არეალი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე უპრობლემოდ ხდება? – დამეთანხმეთ, რომ იგივე „რუსთავი-2“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, „იმედი“, „აჭარის ტელევიზია“ და თვით „მეგობრობა“ კი, ყოველდღიურად „ნაც.მოდრობისთვის“ სასარგებლო პათოსით არის გაჯერებული და თუ წამყვანების „ფეის-განწყობასაც“ კარგად დააკვირდებით, დავინახავთ, რომ საქმე მართლაც ცუდად არის...

ცნობილია, რომ „ნაციონალისტებს“ თავისი ფავორიტი მედიასამსახურები ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს დღესაც, რადგან მათ თავის დროზე კარგად შეაფასეს მედიის განუსაზღვრელი შესაძლებლობები მასზე ზემოქმედების თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, ხალხში პოპულარული ტელევიზია იქნებოდა ეს თუ საგაზეთო გამოცემა, ისე მოაქციეს საკუთარ კლანგებში, რომ აკონტროლებენ კი არა დღემდე აძლევენ დაკვეთებს გარკვეულ მედიამფლობელებს ამა თუ იმ სიტუაციაში მედიამ როგორ იმოქმედოს და რა შინაარსის პათოსი უნდა ჰქონდეს, მაგალითად, გაზეთის პირველ „გამხსნელ“ გვერდს! მაგალითად, რა ქვეტექსტები უნდა იკითხებოდეს რესპონდენტისა თუ სტატის ავტორების შეკითხვაში. როგორი „დაბალანსებული“ უნდა იყოს თავად „მთავარი თემა“ და, რაც ყველაზე მთავარია, ვინ უნდა გააკეთოს კომენტარი ამა თუ იმ სკანდალზე, რომელიც ასე არ აკლია ჩვენს ყოველდღიურობას.

არც ის არის ახალი, რომ ფინანსური კრიზისის უმწვავესი ეპოქა ჩვენს მედია არსებობაში და აბა, ახლა მითხარით, ოღონდ, საკუთარი „იმპერიები“ გადარჩინონ ზოგიერთმა „ვაიგა-

ზეტნიკებმა“ თუ „ვაიტელევიზიონშიკებმა“, რა გზას უნდა დაადგინონ? რა გზას და რომელზეც აქამდე იდგნენ, ანუ გზას, რომელიც არა ტადრამდე, არამედ დიდ ფულამდე მიდის და ამ ფულს კი სუნი არც გასულ საუკუნეებში, იმპერატორ ვესპასიანეს დროს ჰქონდა და არც დღეს აქვს, როცა ყველაფერი იყიდება, რაც კი გასაყიდა და

ერთი ჟურნალის, ანდა ტელევიზიის ხელმძღვანელი, რომელიც ჩვენს გარეშე მოიპოვებდა იმას, რასაც წლების განმავლობაში შოულობდა თუნდაც ფინანსური კუთხით? აღარაფერს ვამბობ პოლიტიკოსებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩვენ შეგვქმენით. რომ არა ჩვენი ვირული მუშაობის რეჟიმი, ჩვენი უკომპრომიზობა და, გნებავთ, თავგანწირვა

რამ ერთი რამ კი მინდა ხმაამალა ვითქვა: ბატონებო, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე რამდენიმე მედია-გამოცემა დროებით დაიხსრება და ამის მიზნად (ასევე აუცილებლად) ახალი ხელი-სუფლები მხრიდან

ინიც ზუსტად ვიცი, რომ „ნაც.მოდრობის“ მხრიდან, უკვე არსებობს გარკვეული გეგმა, რომლის უნდა განხორციელდეს ზოგიერთი გაზეთის დახურვა. როდის უნდა „გააკროტოს“ ზეგონა აბა თუ იმ ტელევიზიამ და რომელმა ჟურნალისტებმა უნდა გააკეთონ კომენტარი მთელი მსოფლიოს გასაგონად, ტელევიზიის იმედი და საპროტესტო მანიფესტაცია, რომელსაც „დაჩაბრული“ მედიასაშუალებები მოაწყობენ.

ძვირფასო მკითხველო, ამ ბოლო დღეებში „ნაციონალისტების“ მესვეურები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველა ღონეს იხმარენ და თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რომ მათ ზოგიერთზე ნაკლები, (თუ მე-



ნაციონალისტური მედიის საბოტაჟი ახლოდება – 2 მილიონი ანგარიშზე გაიზარდა გაზეთების ანგარიში!

რასაც ფასი ჯერჯერობით კიდევ ადევს.

„გამთრიათ, ფადით, თვალთა ალარ და მინახოთ არც ერთი, ვსიო, მხურავ გაზეთის, ილიტი ნა ხუი, მომავრდა თქვენი უნიჭო, „პროსტივების“ კითხვა, ტირაჟი დამცა, ჩემი გაზეთი ნელ-ნელა კარგავს აკითხველს, ფულს რაში გიხდით?“

– ამ ტექსტით გალანდობა რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ცნობილმა გამოცემელმა საკუთარი თანამშრომლები და დაემუქრა, რომ სულ მალე გაზეთს დახურავდა.

საერთოდ, ქართულ მედიასივრცეში, წლების განმავლობაში ერთგვარი მონური ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა, კერძოდ, თუკი ვინმე, რომელიმე ჟურნალისტს დაგასაქმებთ, გამოდის, რომ 24-საათიან რეჟიმში ექსპლუატაციის უფლებას ნებაყოფლობით აძლევს, რასაც გაკარნახობს მთავარი რედაქტორი თუ გამომცემელი, იმას ასრულებს და რაც მთავარია – ნებისმიერ ხელფასზე თანახმა ხარ, ოღონდ, უმუშევარი არ დარჩე.

არადა, ძვირფასო ჟურნალისტებო, დამისახელეთ თუნდაც ერთი გაზეთის, თუნდაც

ჩვენი საქმის მიმართ – რომელიმე გაზეთი, ანდა ტელევიზია რამდენ ივარგებდა? მაღლობა დემეტოს, რომ ზოგიერთი ქართველი ჟურნალისტი, მიუხედავად ყველაფრისა, სიმართლის თქმას ნებისმიერი მედია მფლობელის ხელშიც ახერხებს, მაგრამ რის ფასად? დამცირების, შემცირების საფრთხის და მწირი ანაზღაურების ფასად, ხომ?

აბა, მითხარით, ისედაც მწირი ხელფასის პირობებში, ისედაც რისკის ქვეშ მუშაობის პირობებში და მუდმივი საკადრო შეცვლების შიშის რეჟიმში, რომელი ჟურნალისტი შეუბრუნებს სიტყვას მფლობელს და არ გააკეთებს იმას, რასაც ჰკარნახობენ? ჰოდა, რადგან ასეთი ვითარებაა და რადგან მედიამოცემების მფლობელები კვლავ „ნაციონალისტების“ ვალში არიან, გიკვირთ ის, რაც მედიაში ხდება? არადა, მერწმუნეთ, რომ მართლაც გულისამრევი ვითარებაა გაზეთებსა თუ ტელევიზიებში, თორემ, ვინ გდია ვიღაც ტლუ და გაზულუქებული ესა თუ ის მფლობელი, კარგ ჟურნალისტებს სამსახურიდან გაყრით ემუქრებოდეს და თანაც აშანტაჟებდეს? როგორ უნდა ბედავდეს იგივე მფლობელი საზღვრებს გარეთ გაიპაროს, ერთ-ერთი პირადიდის მისაღვრებთან „ნაციონალისტების“ ლიდერებს შეხვედეს და ამის შემდეგ გაზეთის დახურვით დაემუქროს იმ ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში, ნებისმიერი ხელისუფლებისგან მხოლოდ მათრახი იგემეს?

ამ დღეს თავს უპიკავებ და არ ვასახელებ არც იმ გაზეთს და არც მის მფლობელს, მაგ-

არმსაზე ზეგონა და ფინანსური პრობლემები დასახელებდა.

ისიც კარგად ვიცი, რომ თუკი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მართლაც დაიწყებს ღუბაის მგზავრების აღ-



რიცხვიანობის ჟურნალის შემოწმებას, როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრისას გელა ზედელაშვილმა მოუწოდა ბიძინა ივანიშვილს, მაშინ მთავრობის წევრების გვერდით იმ რედაქტორების სახელებსა და გვარებსაც ამოიკითხავენ, რომლებიც მოსალოდნელი მედიასაბოტაჟის დაკვეთებს იღებენ ნაციონალური მოძრაობიდან.

ტი არა) ფინანსები არ გააჩნიათ, დღესავით ნათელი ხდება, რომ – ფინანსებს, უპირველესად, იმ მედიასაშუალებებისკენ მიმართავენ, რომლებიც მათი კონტროლიდან არასოდეს გასულან, ანუ მათკენ, რომლებიც,

მართალია, „ოპოზიციურ ნიშანს“ არიან ამოფარებულნი, მაგრამ სინამდვილეში „ნაციონალისტების“ მედიამეცხეები არიან და რომლებიც ჯერჯერობით მიზანში არტყამენ. იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას უნდა ნიშნავდეს, თუნდაც გასული კვირის ხუთშაბათის „ალი-

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
 შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

5 gv.

ამი“ გამოქვეყნებული განცხადება, რომელიც იუწყება, რომ გაზეთი „ალია“ არ დაიხურება?! (როგორ, განა ვინმემ სადმე ასხენა, რომ იხურება?) გაზეთები: „ალია“ და „ქრონიკა“, განა რა ისეთ კრიზისს განიცდის, რომ შეიძლება დაიხუროს?

სხვათა შორის, ისიც ძალიან მაინტერესებს, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ „ალიადან“ ყურნალისტების გადინება ხდება და თავად „ალია“ პოლდინგი კი ახლების მოსაძიებლად განცხადებებს აღარ აქვეყნებს?! სულ ფეხებზე მკიდია, რას იტყვიან „მაგანი“, მაგრამ პირადად მე, როგორც „ალია“, ისე გაზეთი „ქრონიკა“ ძალიან მეძვირფასება, რადგან როგორც „გაზეთიკმა“, სწორედ აქ ავიღე ფეხი

რილს: ზეწოლის ქვეშ ვართ, იძულებული ვართ დავიხუროთ და, ცივილური დასავლეთით, დროზე მოგვაქციეთ ყურადღებაო.

რა მოხდება ამის შემდეგ? ალბათ, დასავლეთი ისევ დაგვმოძღვრავს – კოაბიტაცია ჰქენითო, მაგრამ ამ კოაბიტაციის აქტში ვინ უნდა იყოს შემოდან და ვინ ქვემოდან, გვეუბნებიან?

სულ არ მადარდებს, რომელი გამოცემელი დაინახავს თავის თავს ამ წერილში, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრი მკითხველი მიხვდება, რომელ მედიასაშუალებებს ვგულისხმობ და იქნებ იმაზეც ღირდეს დაფიქრება, ასეთი მიდგომა საქმისადმი სადამდე მიიყვანს ჩვენს ქვეყანას?

კულუარული ინფორმაციით ნაცმოძრაობამ უკვე დაიწყო დიდი „მაყუთის“ ჩამორიგება რიგ გაზეთებსა თუ

ნაცმოძრაობა - ბიზინსიანი სხვა მედიასაბოტაჟის ამჯობინებას უპირატესად უნდა დაეხმოს!



და ძალიან მეწყინება, თუ ეს გაზეთები დაიხურება ვისიმე ზეწოლით. არადა, ზეწოლა რომ სახეზეა, აშკარაა, რადგან თავად პოლდინგმა უკვე დაიწყო მკითხველის თვალის გახედვა, რომ შესაძლოა, ეს ასეც მოხდეს.

არც ის არის ახალი, რომ ქართული ბეჭდური მედიის გარკვეული ნაწილი პირდაპირაა მიბმული ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას და რიგი პოლიტიკოსების შეხედულებისამებრ იმართება. მეტიც, ცნობილია, რომ გაზეთი „24 საათი“, გაზეთი „პრაიმ-თაიმი“, „რეზონანსი“, ყურნალეები „ტაბულა“, „ლიბერალი“ და ა.შ. დოქტორული გამოცემება და მათ უკან მდგომი ძალები კი წარსულში თუ ამჟამად „ნაცმოძრაობის“ სატელიტები იყვნენ და არიან. ანუ ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ მედიასაბოტაჟიც სულ მალე იქნება სახეზე და თქვენ შემდეგ ნახეთ ცირკი – ყველა ერთად რომ დაიწყებს ყვი-

ტელევიზიებში, ხოლო მათ მფლობელებს ხან უცხოეთში ხვდებიან და ხანაც ჩვენს თვალწინ.

იმასაც ამბობენ, რომ ნაცმოძრაობამ ერთი გაზეთის ანგარიშზე უკვე დალო 2 მილიონი.

ვინ იქნება შემდეგი და ვინ გაუძლებს ცდუნებას, მალე გამოჩნდება, მაგრამ იქამდე მოეწოდებ ყველა იმ მოქმედ ყურნალისტს, რომლებიც ფულზე არ იყიდებიან და რომლებიც, ჯერჯერობით, მედგრად უწევენ წინააღმდეგობას საკუთარ „შეფებს“ – ხმა აღიმადლონ და საზოგადოება დროულად ჩააყენონ საქმის კურსში – რა ხდება რეალურად მათ ტელევიზიებსა თუ ყურნალ-გაზეთებში, რადგან, როგორც თავში ვთქვი, მედიასაბოტაჟის მსხვერპლი თუ აღმოჩნდა საზოგადოება, მაშინ გვიანი იქნება თითხე კენიანი და ხმამაღალი განცხადებები...

ირინე გოგოსაშვილი

კოალიცია „ერთსულოვნების“ მიმართვა

პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური გაერთიანებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი

დღეს, როცა ქვეყანას ჰყავს თვითმარქვია პრეზიდენტი, რომლის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა საქართველოს კონსტიტუციის ძალით დასრულდა 2013 წლის 20 იანვარს.

დღეს, როცა დასავლეთის ქვეყნების გარკვეული პოლიტიკური წრეები, სამწუხაროდ ევროპული სტრუქტურები საქართველოს მოსახლეობას გვაიძულებენ დავარდვიოთ საქართველოს კონსტიტუცია მიხედვით სააკაშვილის სასარგებლოდ.

დღეს, როცა ერთ პოლიტიკურ სექტად შეკრული ყოფილი ხელისუფლება, ნაცმოძრაობა, მიხეილ სააკაშვილი დაუპირისპირდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას.

დღეს, როცა მიხეილ სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის“ ყოველი წარმომადგენლის გამოხვლა ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ ეს არის მტრობა ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ, როცა

„ნაციონალები“ იმდენად გათავხედდნენ, რომ ღიად და საჯაროდ შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს სულიერ მამას, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, ამ დროს ერთმანეთთან დაპირისპირება ქვეყნის ინტერესების ღალატის და ქვეყნის მარხვადი „ნაცმოძრაობისათვის“ პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივების ტოლფასია. ჩვენი აზრით, სახელმწიფოებრივად აზროვნებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიმდინარე ეტაპის უპირველეს ამოცანად თვლის ქვეყნის განთავისუფლებას „ნაციონალური“ ოკუპაციისაგან.

ყოველი ღირსების მქონე პარტიისათვის, ყოველი პოლიტიკოსისათვის, რომელიც ფიქრობს ქვეყანაზე და არა სახელისუფლო სკამზე, ყოველი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის, რომლისთვისაც მთავარია ქვეყანა და არა გრანტების მოპოვება - უპირველესი უნდა იყოს 2012 წლის პირველი ოქტომბრის მონაპოვრის დაცვა, ქვეყნის და ხალხის განთავისუფლება თვითმარქვია პრეზიდენტისაგან, ძალაუფლების მოყვარული პოლიტიკური პარტია „ნაცმოძრაობისაგან“, იმ პოლიტიკური გაერთიანებისა და პოლიტიკოსებისაგან რომლებმაც გენოციდი მოუწყვეს ქართველ ხალხს, ქვეყანაში დაამკვიდრეს ელიტური პოლიტიკური კორუფცია.

ჩვენ მთელი ქვეყნის, ჩვენი ქვეყნის მეგობრების, მსოფლიო საზოგადოებრიობის გასაგონად ვაცხადებთ - „ნაციონალური მოძრაობა“, მიხეილ სააკაშვილი, მისი უცხოელი მხარდამჭერები ქვეყანაში ქმნიან უმძიმეს დაძაბულობას, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს დიდი სახალხო დაპირისპირება და სისხლი.

ჩვენ კოალიცია „ერთსულოვნების“ დამფუძნებლები, სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილების საკონსტიტუციო ვადის დასრულების შემორანდღოშზე ხელმოწერი ერთ მილიონზე მეტი ამომრჩეველი ვიხსნით პასუხისმგებლობას მიხედვით სააკაშვილის ქმედებებზე და

მის ქმედებათა გამო მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებთ საქართველოს პარლამენტს, კოალიცია „ქართულ ოცნებას“, იმ პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკოსებს, რომლებიც მხარს უჭერენ სააკაშვილის პრეზიდენტობას 2013 წლის ოქტომბრამდე.

ჩვენ ვდგევართ იმ პოლიტიკურ ძალებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იმ ხალხთან ერთად, რომლებიც თვლიან, რომ მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა დასრულებულია და მისი გამოსვლა საქართველოს პარლამენტში, ეს არის ქართველი ხალხის და საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფა და მარიონეტული მორჩილება სააკაშვილის მხარდამჭერი უცხოეთის პოლიტიკური წრეებისადმი,

ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს მომავალი დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ ძალებთან, იმ პოლიტიკოსებთან და იმ ხელისუფლებასთან, რომლებიც ქვეყნის გარედან არ იმართებიან და ემსახურებიან საქართველოს, მის ინტერესებს, ქართველ ხალხს და საქართველოს მოსახლეობას.

სწორედ ამ განწყობით ვდგებით საქართველოს პარლამენტთან იმ დღეს, როდესაც საქართველოს პარლამენტში წლიური მოხსენებისათვის იწვევენ თვითმარქვია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

დავდგეთ ერთად დემოკრატიისათვის, საქართველოს კონსტიტუციისათვის, ქართველი ხალხის და საქართველოს ღირსების დაცვისათვის.

კოალიცია „ერთსულოვნების“ სახელით: რეზო ჩხეიძე, მიხეილ ანდლუშაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, ზაზა ხატიასვილი, პაატა ცნობილაძე, რეზო მოქვაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ომარ მხეიძე, რომან რურუა, გურამ სალარაძე, ელგუჯა ბურდული, ფარდინანდ ლორთქიფანიძე, რამაზ შურაშვილი, თამაზ ჭიჭიანი, ოთარ ვარსიანი, იური ვაზაგაშვილი, ინესა იაგანიძე, ზურაბ ხასია, რობერტ ბაბლიძე, რაულ სვანიძე, ავთანდილ ბარაგაშვილი, ნათია ავსაგანიშვილი, ბიორბი შორაშვილიანი, ირმა დელიანი, ანტონ ბაბუხაძე, ლეონო პოპაძე, ავთანდილ იოსელიანი, კობა არაბული, მარინა პაშაშვილი, ლაშა კალანდიაძე, გელა სალუაშვილი, ჯემალ ჯიქია, ნანა შარაშიძე, შოთა ჩხეიძე, ვასილ პაღვანიძე, ბიორბი ბაბლოვი.

მიღებულია კოალიცია „ერთსულოვნების“ კონფერენციაზე დიდუბე-პლაზას საკონფერენციო დარბაზში

29.01.2013

8 თებერვალი, დანიი ულანუბაიციის ხანაბის დღეს, 12:00 საათზე

ლიხხაბის შახაბა

21-ე საუბრის ეიდოში

დასრულებულია

ეზრეატი ათეე პოპოვიის სახელობისათვის
ეზრეატი საუბრის და მკვლელების ლიხხაბი
ბაჰაჰოუბაჰი ვაბაჰაჰი და თეიმურაზი პოპოვიის
ვახაბაჰი ბაჰაჰაჰი

ამ დღეს ხანაბი 12:00 საათზე მთელი მკვლელებისათვის ბაჰაჰოუბაჰი რეზო ჩხეიძის პოპოვიის პოპოვიის

კოალიცია „ერთსულოვნების“

saerTaSoriso Tanamegobrobis saxl ic Cal iT aris gadaxurul i?

დასაჭერს თუ დროულად არ დაიჭერ, შეიძლება მოგიტრიალდეს და აქეთ დაგიჭიროს

ჩვენ ამ ხელისუფლებას 4 წელიწადი ველოდებით და სულ მალე დაიწყებთ მოქმედებებს მის დასასუსტებლად, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და იქვე ჩამოთვალა იმ ღონისძიებათა სია, რითაც „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ დამარცხებას და შემდგომში კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ.

ვფიქრობთ, სააკაშვილის, მერაბიშვილის და „ნაციონალისტების“ სხვა ლიდერების განცხადებით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ სამართალდამცავი სტრუქტურები, რადგან ამ განცხადებებში ზოგჯერ უმჯობესად იყავით, ზოგჯერ კი ღირს იკვთებოდა სამოქალაქო დაპირისპირებისა და დესტაბილიზაციისკენ მოწოდება.

სხვა ამბავია, შეძლებენ თუ არა ისინი ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ეს ისეთი საკითხია, სადაც ექსპერტებისა და მოვლენათა განვითარებისთვის შორიდან თვალთვალის უფლება არ

მთელი ქვეყნის წინააღმდეგ, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

ისმის კითხვა, რატომ არ კეთდება ამ მიმართულებით არაფერი?

დაველოდოთ, როდის ააფეთქებენ სიტუაციას „ნაციონალები“ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ სათანადო ზომები?

საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ჭიანჭურდება იმ რეზონანსული საქმეების გამოძიება, რომლებშიც, გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, აშკარაა სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ბრალეულობა.

ასე, მაგალითად, დღემდე არ დამთავრებულა ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანის, ვახაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის, აფრასიმეების საქმეების გამოძიება.

ასევე არ დამთავრებულა (დაიწყო კი?) 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა საეჭვო ქმედებების შესწავლა და გამოძიება.

არადა, ამ ქმედებებში მრავლად არის სახელმწიფოს

ცხადია, ბაჩო ახალაია ცინხვი უნდა იჯდეს, მაგრამ რატომ არ უნდა იჯდნენ მის გვირგვინზე მერაბიშვილი, ბარამიძე, ალექსანდრე, ბოგოროვი, ფილაშვილი, ხარხაშვილი, ბორჯომი, უდსინაძე, კუპრაშვილი, ღათა ახალაია, ვაჟიანი, კალაშნიკი, საყვარელიძე, თოფჩიანი, სხვანი და სხვანი?

ბევრი მათგანი მიმალვამა და ინტერპოლი ეძებს, თუმცა ჯერჯერობით ექსტრადაციის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

კონსპირაციის და მიმალვის ისეთ რა უნიკალურ ხერხებს ფლობენ ეს დამნაშავე ელემენტები, რომ სახელგანთქმულ ინტერპოლსაც კი ვერ მიუვნიან მათი ასავალ-დასავალისთვის?

გაქცეულებს და ძებნილებს თავი დავანებოთ, იმათ, ვინც საძებარი არ გვყავს და საპარლამენტო ტრიბუნებიდან და ტელევიზიების ეკრანებიდან ყოველდღე ენას რომ გვიტლიკინებენ, რატომ არ ვტაცებთ ენაზე ხელს და რატომ არ მივაბრძანებთ იქ, სადაც მათი ადგილია.

საერთაშორისო თანამეგობრობა არ გვანებებს ამის გაკეთებას?

დაულაგეთ წინ ამ პატივცემულ საერთაშორისო თანამეგობრობას სისხლის სამართლის ტომები სააკაშვილის და მისი ბანდის საგმირო საქმეების შესახებ, აქციეთ ეს ტომები საერთაშორისო განხილვის და მსჯელობის საგნად, დაარქვიეთ ყველაფერს თავისი სახელი, მანამ, სანამ ამ დამნაშავეებს ძველი დანაშაულების ჩამოსაწერად ახალი დანაშაულობანი არ ჩაუდენიათ.

როგორ დავიჯეროთ, რომ მსოფლიოს საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სახლიც ჩაღობი არის გადახურული, სადაც დამნაშავეებს უდანაშაულობის ყალბ იარაღებს აკრავენ და პირიქით – უდანაშაულებს დამნაშავეებად აცხადებენ.

დასაჭერს თუ დროულად არ დაიჭერ, შეიძლება მოგიტრიალდეს და აქეთ დაგიჭიროს...

„საერთო უკრაინა“

ლუკა კურტიანიძე ხშირად ყოფილა „საერთო უკრაინის“ სტუმარი და პირადად ჩემი რესპონდენტი. უნდა ვაღიარო, მისი გულწრფელი, ემოციური მონათხრობით ბევრჯერ შევიძრულვარ. იგი აფხაზეთიდანაა და აფხაზეთის ომშიც მის თვალწინ ჩაიარა, მამის საფლავის პოვნა კი დღემდე მისი სანუკვარი ოცნებაა. ამ წლების მანძილზე მან ბევრი უბედურება გამოიარა.

სისხლიან 26 მაისს ცოცხალი ღვთის წყალობით გადარჩა. თავისუფლების მოედანზე დასისხლიანებული, დამტვრეული ათრიეს, დათრგუნეს, თავისი თვალით იხილა, როგორ მორწყეს „სამართალდამცავებმა“ ასობით ადამიანის სისხლით დიდმის სამმართველო, ზედამხედველობის სამსახურმა შარი მოსდო, შენი ღობე დასაშვებ ნორმას 20 სმ-ით აჭარბებდა



და საკუთარი ნაშრომი მისი სამაგალითოდ დასჯის მიზნით დაუნგრია. ჩვენ კი ადამიანს, რომელმაც ჩვენთვის იომა, იმის მაგივრად, რომ მოუფრთხილდეთ, ნიშნის მოგებით „ფსიქოს“ ვთხოვთ.

ახლა რომ გაპყვირიან, ლუკა კურტიანიძემ მსოფლიო ჩემპიონი გალახაო, სად იყვნენ მაშინ, როცა ლუკა კურტიანიძე 26 მაისის ღამეს ცოცხალ-მკვდარი გაიყვანეს თავისუფლების

omi dan mobrunebul i kaci, roml isTvisac omi j er ar damTavrebul a

მოედნიდან. ლუკა კურტიანიძეც ხომ იყო მაშინ მსოფლიო ჩემპიონი?! რატომ არ აღშფოთდნენ მაშინ მოჭიდავეები, რატომ არ დაუდგნენ მხარში?! მაშინ რატომ არ დაურეკა რაინდი აბრამიშვილს ატირებულმა ყაზარაშვილმა, როცა კურტიანიძეს დიდმის სამმართველოში სამშობლოს სიყვარულის გამო სისხლს ანთხევინებდნენ?! რატომ მაშინ არ დაინტერესდნენ ვეტერანები გამოძიებით – თუ ვინ და რატომ აწამა კურტიანიძე? ჩემთან ერთ-ერთ ინტერვიუში კურტიანიძემ თქვა, რომ, მიუხედავად იმისა, რა უბედურებებიც მას გაუკეთეს, მზადაა, თუ მათგან გულწრფელ სინანულს იგრძნობს, ყველას შეუნდოს. მანვე მოითხორო მოჭიდავეების წესის შესახებ: „როდესაც მოწინააღმდეგეს წააქცევთ, შემდეგ მას ხელს ვუწვდით და ფეხზე ვაყენებთ, მაქსიმალურად ვუმსუბუქებთ მარცხის ტკივილს.“ მისი გულწრფელობა ყოველთვის მხიბლავდა და ამ სიტყვების მერე ძნელია, დავიჯეროთ, რომ იგი უსამართლოდ დაჩაგრავს ვინმეს.

თუ არა ჭიდაობის ოჯახის დიდი სიყვარული, ხიდრატებილობის აღდგენის სურვილი, სხვა ვერაფერი აიძულებდა მას, უანგაროდ ემსახურა ამ საქმისთვის და თავი არა ფედერაციის პრეზიდენტად, არამედ მსახურად მიეჩნია. თუ ერთი კვირა მხოლოდ იმაზე უნდა ვისაუბროთ, სცემა თუ არა ლუკა კურტიანიძემ ყაზარაშვილი, მაშინ, მგონი, ღირს, ერთი წუთით მაინც დაგვიქრდეთ იმაზე, რაც ამ ადამიანმა გადაიტანა. მით უმეტეს, რომ ყაზარაშვილის ცემის ფაქტი არ დადასტურებულა, ის ფაქტი კი, როგორ გაუსწორდნენ „სამართალდამცავები“ ლუკა კურტიანიძეს, მთელმა საქართველომ იხილა. ბოლო დროს საუბრობენ იმაზეც, რომ კურტიანიძეს მწვერთნელები უდროოდ დროს – მეტად მნიშვნელოვანი ჩემპიონატის წინ არ უნდა მოეხსნათ. კი, მაგრამ, ყაზარაშვილი რომ ითხოვს, ასეთ უდროოდ დროს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის გათავისუფლებას, ეს ლოგიკურია?!

ლუკა კურტიანიძე ომიდან მობრუნებული კაცია, ამიტომ მას პროვოკაციები კი არ უნდა მოუწყოთ, არამედ მხარში უნდა დაუდგეთ და თავდადებისა და თავგანწირვისთვის მადლობა ვუთხრათ. როგორც ვთქვით, ლუკა კურტიანიძე ომიდან მობრუნებული კაცია, თუმცა, ომი მისთვის ჯერაც არ დამთავრებულა. ისე, როგორც არ დამთავრებულა იგი თითოეული ქართველისთვის, ვისაც ქვეყნის ბედი სტკივა და აწუხებს.

თამარ შვილიძე



გვაქვს, რადგან საქმე სახელმწიფოს უსაფრთხოებას ეხება.

შინ თუ გარეთ „ნაციონალები“ ქვეყნის წინააღმდეგ აშკარად მტრულ და მკენებლურ საქმიანობას რომ ეწევიან, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ რატომ არავენ არ სთხოვს მათ პასუხს ამ ქმედებების გამო?

იმის დამტკიცება, რომ „ნაციონალების“ ქმედებები მიმართულია არა მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“, საქართველოს მთავრობის და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის,

დალატის, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედებების ნიშნები.

არის კიდევ უამრავი სხვა დანაშაულებანი, რომლებშიც, სავარაუდოდ, „ნაციონალები“ არიან გარეუღნი, მაგრამ მათ არც ამ დანაშაულებათა და არც ზემოთხსენებ სხვა დანაშაულებათა გამო პასუხს არავენ სთხოვს.

სწორედ ამიტომ ხომ არ მოგიტრიალდნენ აქეთ უტიფარი „ნაციონალები“ და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულნი კიდევ ახალ-ახალ უბედურებებს გვპირდებიან.

სახელი, მანამ, სანამ ამ დამნაშავეებს ძველი დანაშაულების ჩამოსაწერად ახალი დანაშაულობანი არ ჩაუდენიათ.

როგორ დავიჯეროთ, რომ მსოფლიოს საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სახლიც ჩაღობი არის გადახურული, სადაც დამნაშავეებს უდანაშაულობის ყალბ იარაღებს აკრავენ და პირიქით – უდანაშაულებს დამნაშავეებად აცხადებენ.

დასაჭერს თუ დროულად არ დაიჭერ, შეიძლება მოგიტრიალდეს და აქეთ დაგიჭიროს...

„საერთო უკრაინა“

საუბრები ზაზა შათირიშვილთან

nacional ebi ~ 21-e saukunis acetekebi arian, roml ebi c qveyanas msxverpl Sewirvis ritual ebi T mar Tavidnen



— ზაზა, სანამ საუბარს დავიწყებდით, თქვენ თქვით, რომ მოქალაქე ადამიანია, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს. როგორი პასუხისმგებლობა აქვს ქართველ საზოგადოებას?

— გაანჩია, ამ საკითხს, როგორ შევხვდეთ. ამ კუთხით, 74-75 წლების ინტერპრეტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს — ეს მაგისტრალური ხაზიდან გადახვევა იყო? საერთოდ, არსებობს კი ეს მაგისტრალური ხაზი? ახლა ვითარება შემდეგია — ერთი მხრივ არსებობს უნიფიცირებული მიდგომა, რომ ყველგან დემოკრატია უნდა იყოს, თუმცა მეორე მხრივ — ცივილიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. დღევანდელი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი ერთნაირი იყოს, რაღაცნაირად განსხვავებულობა ნიშნავს, რომ ვიღაც ზედა საფეხურზეა, ვიღაც — ქვედაზე. პრინციპში, ყველა ერთნაირი უნდა იყოს. მეორე მხრივ, განსხვავებულად უნდა ვილაპარაკოთ. დღევანდელი თანამედროვე აზროვნება ურთიერთსაპირისპირო რამეზე დგას. მოკლედ, ეს ყველაფერი ძალიან წინააღმდეგობრივია, რაღაცნაირად არ ლაგდება. მართალია, რელიგიური და საკრალური პოლიტიკაში არ მონაწილეობს, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ეს თანაბრდება, ძალიან ბევრი პრობლემა წარმოიქმნება. ქართული საზოგადოებაც, სწორედ ამ პრობლემების წინაშე დგას.

— კონკრეტულად, რა იგულისხმება პრობლემებში და რა არის გამოსავალი; როგორ უნდა იქცეოდეს რეალურად ქართული საზოგადოება, რა მოთხოვნები უნდა ჰქონდეს; მას, საკუთარი პოზიცია, ღირსება ხომ უნდა გააჩნდეს?

— ავიღოთ დასავლური საზოგადოება, რომელიც უფრო ერთგვაროვანია, ვიდრე ქართული. გეტყვით, რას ვგულისხმობ. მაგალითად, ცენტრალურ ევროპულ საზოგადოებაში ისეთი იდეოლოგიური განსხვავებები, როგორც ჩვენთანაა, არ არის. აქ, ერთი მხრივ, ნაციონალური, მეორე მხრივ, ლიბერალური მიდგომები გვაქვს. ჩვენთვის ეს დაპირისპირებაა. ლიბერალური ნაციონალური მიდგომებს ნაციონალურად ნათლავენ, რაც, ალბათ იმის ბრალია, რომ საქართველოში, მე-2 მსოფლიო ომის შედეგები დღემდე ბოლომდე არ მისულა. ლიბერალური პოზიციიდან, ქართველი საზოგადოება არაბოლევანტური, ქსენო-

ფობიური, პომოფობიურია. ეს, „წინ წასულ“ და „ჩამორჩენილ ნაწილებს“ შორის დაპირისპირებაა. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოება მაშინ გაქვს, როცა იგი ისევე ერთგვაროვანია, როგორც თავისუფალი ბაზარი, სადაც ძალიან ბევრი პრობლემაა, მაგრამ ერთნაირი. ეს, რა თქმა

უნდა, შინაგანთან წინააღმდეგობაა, მაგრამ მოგეწონს თუ არა, ასეა. საქმე მოწონებაშიც არაა. შინაგანდღობაში, ყველა საზოგადოებას, კულტურას უხილავი რაღაცები აქვს, რასაც თვითონ ვერ ხედავს. ფოტოგრაფიაში ამას დანათლებულ ადგილებს უწოდებენ. მაგალითად, თანამედროვე საზოგადოება არის საზოგადოება, სადაც აკრძალული არაფერია, მაგრამ ზოგის აზრით, ესაა საზოგადოება, სადაც აკრძალვას აკრძალული. ესეც ხომ აკრძალვას?! არსებობს გარკვეული ღოგმები, მტკივნეული ადგილები. მაგალითად, თუ 200 წლის წინ წმინდა ადგილის შეურაცხყოფისათვის, დაგწვავდნენ, დღეს ასეთი ადგილები არსებობს უარყოფით და კამბობთ, რომ ყველაფერი თანაწონია. მაგრამ, რეალურად ასეთი ადგილები არსებობს და როგორც კი ამანე საუბარს ვიწყებთ, ცხადი ხდება, რომ ვიღაცას ნაციონალური ცნობიერება აქვს. ნაციზმი აღიარება იმისა, რომ განსხვავებები არსებობს. ანუ, ერთი მხრივ კამბობთ, რომ განსხვავებები არსებობს, მაგრამ მეორე მხრივ, ყველა განსხვავებული თანაბარია.

რაც შეეხება, ხალხის პასუხისმგებლობას და აქტიურობას, ეს ძალიან სერიოზული თემაა. აქტიური მოქალაქე, პრაქტიკულად, ადამიანია, რომელიც ბიზნესითა დაკავებულია. ანუ აქტიურია ადამიანი, რომელიც კერძო სფეროშია. საინტერესო მომენტია — რაც უფრო შორს მივიდვართ, კერძო სფერო მით უფრო ფართო ხდება, რაც ადრე ასე არ იყო. საბჭოთა წარსულში, პირიქით, საჯარო სფერო ფართო იყო, კერძო კი — არა. საზოგადოების დიდი ნაწილი „დაკავებული“ იყო არა ბიზნესით, არამედ სულ სხვა რამით — კულტურით, წიგნების კითხვით და ა.შ. ამიტომ, მოქალაქე არის ადამიანი, რომელიც კერძო ინტერესებიდან გამოდის და საჯარო სფეროში სწორედ ამ კერძო ინტერესით შედის. ვინც იმახსის, ყველაფრის დედა ვატირეო, — ის მოქალაქე არაა.

— ჩვენი საზოგადოება ყველაფერზე — ერთი ამის დედა ვატირეო — რომ გაიძახის, რასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე?

— ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საბჭოთა წარსულის ინერცია და მეორეც — ჩვენი საზოგადოების განვითარების შედეგი არც დემოკრატიაა და არც თავისუფალი ბაზარი. ანუ, „ეს გარედან შემოსულია“. როგორც სპეციალისტები ამბობენ, სადაც „ეს გარედან შემოდის“, ყველგან პრობლემაა. ძალიან რთულია რაღაცის ბოლომდე არა მარტო თქმა, არამედ გააზრებაც კი. იმიტომ, რომ ამ გააზრებამ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რაც იდეოლოგიურად, პოლიტიკურად არაკორექტული აღმოჩნდება. ამიტომ, პრინციპში ყველა საზოგადოებას თავისი ტაბუები აქვს. რაღაცებზე ბოლომდე ლაპარაკი ძალიან რთულია და ამავე დროს მარტივია, გადაგარდე იმაში, რასაც პირობითად აზროვნება შეიძლება ვუწოდოთ, საიდანაც დისკრიმინაცია გამომდინარეობს.



— რა ტაბუ აქვს ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას და გამომდინარეობს თუ არა ჩვენი აზროვნება ე.წ. დისკრიმინაციიდან?

— აზრის გამოხატვა რთულია, რადგან როდესაც რაღაცას ვაყალიბებთ, ვაკონსტრუირებთ, ამის უნიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გარდამავალი საზოგადოება ვართ — ერთი სამყაროდან მეორეში გადავიდვართ, დეკორაციების შეცვლის მომენტში ვართ.

— ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისას, სადაა დემოკრატიის, აზრის გამოხატვის ადგილი?

— მოდით ვთქვათ, რა არის დემოკრატია? — აზრის გამოხატვა, მაგრამ იგი ნაციონალური არ უნდა იყოს. ნაციზმი დემეტსა და ადამიანს შორის ფუნდამენტურ განსხვავებას ნიშნავს. ფუნდამენტური განსხვავებაა მცოდნესა და უცოდინარს შორისაც. დემოკრა-

ტიული ისეთი საზოგადოებაა, სადაც წმინდა და არა ფუნდამენტური განსხვავებები არსებობს.

— საქართველოში ცოტა ადამიანი მეგულება, ვისაც სააკაშვილის წასვლა არ უნდა, ანუ ეს ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრია. როგორ ფიქრობთ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენთან, განსხვავებული აზრი, მაინც დამაინც ხელისუფლებასთან ბრძოლას რატომ ნიშნავს?

— გეთანხმებით. სწორედ ამას ვამბობ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები. ამიტომაც, ჯერ კიდევ, ბოლომდე დასავლური ორიენტაციის არ ვართ. დასავლეთში ჩვენი სრულყოფილი მიღება მაშინ მოხდება, როცა ქართულ საზოგადოებაში ფუნდამენტური განსხვავებები აღარ იარსებებს. მაგალითად, სააკაშვილი აბსოლუტური ბოროტებაა, ივანიშვილი — არაჩვეულებრივი ადამიანი, ან პირიქით, ვიღაცისთვის — დამანგრეველი. როცა ეს განსხვავებები აღარ იარსებებს, მაშინ

ნი. მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მას ჩვეულებრივ ადამიანად არ აღიქვამს, არამედ რაღაც საშინელებად, მონსტრად. ჩვენ გვინდა, რომ იგი ჰიტლერად ვაქციოთ, მაგრამ, ეს დასავლეთს არ უნდა. ვინ არის მიშა იურიდიული თვალსაზრისით? — არ ვიცი. ეს რომ ვიციოდე, მაშინ „საიას“-ს წვერი უნდა ვიყო. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ვიქნებით კოაბიტირებული. აქედან გამომდინარე, პრობლემა შემდეგია — როგორ განვმარტოთ სააკაშვილი და ეს რეჟიმი. აქ სხვადასხვა ენა არსებობს, რაც შესაბამისად უნდა დაკვალფიციროდეს, რისთვისაც კონსენსუსია საჭირო. ის, რომ ჰიტლერი იყო ისეთი, როგორც იყო, ეს საბჭოთა რეჟიმსა და ამერიკულ დემოკრატის შორის შეთანხმების შედეგად მოხდა. მიუხედავად ძალიან დიდი განსხვავებულობისა, პრინციპულ საკითხზე, შეთანხმება მოხდა. როცა სააკაშვილზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ მისი ნიურნბერგის პროცესი შეუძლებელია. იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმი დეკლარაციის დონეზე არასდროს ლაპარაკობდა. სხვათა შორის, კომუნიზმის გასამართლებაც იმიტომ არ მოხდა. ნაციზმის გასამართლება ძალიან მარტივი იყო. მაგრამ როდესაც ერთს ლაპარაკობ და მეორეს აკეთებ, დასჯა, საკმაოდ რთულია. იმიტომ, პირდაპირი გაგებით, ვერც კომუნიზმის და ვერც სააკაშვილის რეჟიმის ნიურნბერგის პროცესი ვერ მოხდება. ეს ძალიან რთულია. მოდით, ვთქვათ, რა განსხვავებაა ე.წ. ლიბერალურსა და სააკაშვილის მომხრეებს შორის? — მთავარ მომხრეები ძალადობას უშვებენ, ლიბერალები — არა. ანუ კონსენსუსი უნდა შედეგს ძალის არ გამოყენებაზე. ჩვენში ეს კონსენსუსი ახლა დგება. აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, ენობრივ სივრცეში გადავიდვართ — ანუ, რისი თქმა შეიძლება და რისი — არა. არსებობს მოსაზრება, რომ ბევრი რამ ენიდან გამომდინარეობს — როცა ჩვენ ენაში ძალადობას ვუშვებთ, მერე ფიზიკური ძალადობაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. როცა ადამიანს აგრესიულად მიმართავ, მერე კიდევ მოკლავ. ამიტომ, ახლა გადავიდეთ მეორე ეტაპზე — ენის გაუმენდის — ვის, როგორ უნდა ელაპარაკო. ამ აზრით, პროცესები, რაც დასავლეთში დაიწყო, ნელ-ნელა ჩვენამდე მოდის.

— ნიურნბერგის პროცესი ვერ მოხდება — თქვით, ეს ხალხში უსამართლობის განცდის გაღრმავებას ხომ არ გამოიწვევს? გარდა ამისა, უნდა მოხდეს თუ არა რეჟიმის პოლიტიკური შეფასება და მერე დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ კრიმინალური ხელისუფლება, ფაშისტური რეჟიმი გვყავდა?

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი





— ვთქვით, შევაფასეთ, მერე რა?! ჩვენ უკვე შევაფასეთ 1991-92 წლები, მაგრამ მერე რა?! ისმება კითხვა — სწორად შევაფასეთ?! ან იმ კითხვებს პასუხი გაცეცა? — მე თუ მკითხავენ — არა და არც არასოდეს გავცემა. საქმე იმაშია, რომ ჩვენ, პოლიტიკურად რადიკალებზე ლაპარაკი არ გვაწვდის და არც ვილაპარაკებთ.

— ვის ჩვენ — ხალხს?
— დიანს, საზოგადოებას დღეს რადიკალებზე ლაპარაკი არ აწვდის. ყველა საზოგადოება ასეთია. საქმე იცით რაშია? — ჩვენ 1991-92 წლები, როგორც გადატრიალება, ისე შევაფასეთ. მაშინ ფუნდამენტურ განსხვავებებზე ვსაუბრობდით. თანამედროვე სამყარო კი გვეუბნება, რომ ფუნდამენტური განსხვავებები არ არსებობს.

— ანუ გამოდის, რომ 9-წლიანი რეჟიმის შეფასებას აზრი არ აქვს?

— გაანია. ყოველთვის, გამარჯვებული აფასებს. ნიურნბერგის პროცესზე გამარჯვებულებმა დამარცხებულები გაასამართლეს. ბევრი ამბობდა, — ასე არ შეიძლება, ეს მესამე მხარემ უნდა გააკეთოსო. ეს კიდევ სხვა თემაა, მაგრამ ასეა თუ ისე, ისტორიას გამარჯვებული წერს და სახელსაც ის არქმევს.

— თუ გამარჯვებული ასამართლებს, მაშინ ჩვენ რატომ ვერ ვასამართლებთ, ხომ გავიმარჯვებთ?

— მოდით, შევხედოთ, რა ხდებოდა საზოგადოებაში. ხალხი სააკაშვილს სხვადასხვანაირად უყურებდა. საზოგადოების მხრიდან მინიმუმ სამიხარის ალქმა იყო: ნაციონალისტურ-რელიგიური თვალსაზრისით, სააკაშვილი აპოკალიპტური მხეცი, ლიბერალური პოზიციიდან — მოძალადე და საშუალო ინტელიგენტური პოზიციიდან — ნეობოლშევიკია. სამივე ალქმას საერთო მომენტები აქვს. აი, ასეთი სიტუაცია იყო, ანუ ხელი-სუფლებას უნიფიცირებული ხედავდა ჰქონდა. შეიძლება თუ არა კოაბიტაცია? — ეს ხელისუფლებასა და ნაციონალურ-რელიგიურს შორის ძალიან რთული იქნება. უფრო მარტივი იქნება ლიბერალურსა და ხელი-სუფლებას შორის იმი-

— მაგრამ ამჟამად რა ხდება, ხომ არ ჩნდება ეს ნაპრაღი თავიდან?

— ნაპრაღს ერთადერთი რამ ავსებს — ენის გაწმენდა, რომლის გამოუმუშავება ახლა ხდება — რა ვთქვით, რა არ ვთქვით. ახლა ჩვენ გარკვეული ტიპის გარანტიებს ვიმუშავებთ — როგორ აღარ განმეორდეს წამება. ეს ფუნდამენტურია. ის, რომ პოზიტიურ დონეზე რელიგიურ-ნაციონალურსა და ლიბერალურს შორის კონსენსუსი არასდროს მოხდება — ეს ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია.

— თუ ხელისუფლებასა და ხალხს შორის დიალოგი არსებობს, მაშინ 1 მილიონი ადამიანის სურვილს — გადადგეს სააკაშვილი, საკონსტიტუციო ცვლილებებით რატომ ვწინააღმდეგვებიან? ეს ხომ საზიფათო

სააკაშვილისგან განსხვავებით, ერთი ძალიან დიდი პლუსი აქვს — მას არავინ მოუკლავს, თავში არავისთვის დაურტყამს, არავინ უწამებია. იგი წმინდა კომედიანია. მას რომ მსგავსი რამ გაეკეთებინა, დედას უტირებდნენ. ამიტომ ვამბობ, სააკაშვილი (საუბარია რეჟიმზე) თავის თავში ძალიან სხვადასხვა რადიკებს აერთიანებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაც ასეთია. ეს თეტიკურად სააკაშვილი და ჩვენი საზოგადოება ერთმანეთს ძალიან შეესაბამებიან. მაგრამ არსებობს ეთიკა — “შმათა სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს”. ჩვენ კი რა მივიღეთ? — 108 კაცი ქუჩაში მოკლეს, 700-მდე ციხეში. სიკვდილით დასჯა რომ ყოფილიყო, ამდენი მოკლული ნამდვილად არ გვე-



თამაშია — სააკაშვილს ასე ხომ შეუძლია ისინი 3 თვეში პარლამენტიდან გამოყაროს, რაც ხალხისთვის პანდურის ამორტყმის ტოლფასია.

— მოდი, ამას ფენომენოლოგიურად, საზრისის პოზიციიდან შევხედოთ. ანუ დავსვათ შეკითხვა საზრისის შესახებ — რას ვხედავთ სინამდვილეში? — პრობლემა ისაა, რომ სააკაშვილი თვითონ არის წინააღმდეგობრივი ფენომენი. ის თავის

ყოველთვის ჩვენთანაა. აქედან გამომდინარე, უკეთესად არასოდეს არ იქნება, არამედ ყოველთვის იქნება სხვანაირად. ეს ერეტიკული აზრია, ცხადია, ლიბერალური დემოკრატიიდან გამომდინარე. ზუსტად ასე მოქმედებდა სააკაშვილის რეჟიმი. თავისი შინაარსით იგი მართლაც აცტეკური იყო. ამიტომ ზოგი ადამიანის რეჟიმთან დაპირისპირება რელიგიური ხასიათის იყო. როცა ქრისტიანობა აცტეკურ მსხვერპლშეწირვებს უპირისპირდებოდა, ქრისტიანებისთვის ამ რეჟიმის არსი აბსოლუტურად გასაგები იყო.

თამარ შველიძე
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

I iverpul is mers qal aqis biuj etidan `bitl ebis- dafinansebisTvis ori wel i mi usaj es... ramdens mi usj ian Tbil isis mers igive danaSul isTvis?

მოგვხსენებთ, გამოძიებამ თბილისის მერს გიგი უგულავასაც მიუცაქუნა, (თანაც პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან, ბატონ მერს, თურმე არ ეცალა პროკურატურაში (სასიარულოდ) თუმცა, გაურკვეველია, რა დროც მის მოწმის სტატუსით დაკითხვას დასჭირდა, იგივე დრო არ დაეკარგებოდა პროკურატურაში გამოცხადებულსაც? მაგრამ არ მოვლო და იქით მიადგენ.

საქართველოს მოქალაქეებს თვალწინ უდგათ როგორ და რა ფორმით მიჰყავდა წინა ხელისუფლებას უდანაშაულობის პრეზუმციის გაუგონარი ხელყოფით, პირდაპირ ბრალდებულის სტატუსით ლოგინებიდან წამოყრილი ადამიანები და ახლა ახალი ხელისუფლების ამგვარი ქმედება, ცხადია, საოცრად დელიკატური ჩანს.

„საზოგადოებრივ მაუწყებელში“ გაფორმებული 700 ე. წ. „მკვდარი სულის“ კვლადაკვალ მერიის „მკვდარი სულები“ გამოჩნდნენ, ეწ „ელპინისტ-დამლაგებლები“ და კიდევ საღ და რამდენი აღმოჩნდება, ვინ იცის.



„მკვდარი სულების“ გაფორმება საშუალო ადგილებზე, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში დასჯადი იყო, ამდენად, ამგვარი ფაქტით (ფაქტებით) პროკურატურის დაინტერესება ბუნებრივია, თუმცა, ბატონი მერი უცნაურ განცხადებებს აკეთებდა დაკითხვამდე და აკეთებს დაკითხვის შემდეგაც, რასაც ისეთივე სიცრუე ჰქვია, რაც თვით საქმეა...

გიორგი ბერძენიანი: — „ბატონმა გიგი უგულავამ „პრესა.ჯი“-სთან ინტერვიუში განაცხადა: — „სხვათა შორის, ლივერპულის მერმა, „ბიტლების“ კვარტეტი, რომლებსაც იმ დროს არავინ იცნობდა, ქალქის მერიამ დაამლაგებლად გააფორმა. ორი წლის შემდეგ, როცა კვარტეტის სახელი მთელ მსოფლიოს მოედო, მერს თვით დელოფალმა მოუხადა ბოდიში და ლონდონის მერად დანიშნა. მანვე გადასცა წლის ყველაზე წარმატებულ ხელოვნათა მეცენატის, ვარდისფერი ბაფთის კავალერობის ორდენი. არც „ბიტლები“ დარჩნენ ვალში და მას მიუძღვნეს ყველაზე ცნობილი ალბომი „მერი ჰეპერსი“.“
ბატონო მერი!
რატომ ცრუობთ და ეშმაკობთ?

რატომ არაფერს ამბობთ შემდეგ გარემოებებზე?

პირველი — რატომ მოუხადა დელოფალმა მერს ბოდიში. იმითომ ხომ არა, რომ სამუელ ბეკეტი და ივირეს ქალაქის ფულის არამიზნობრივ ხარჯვაზე და ორი წელი ახეხინეს საპრობილეში. არ შემშლია, ლივერპულის მაშინდელ მერს სწორედ რომ სამუელ ბეკეტი ერქვა და არა ჰეპერსი.

მეორე — უმაღლესა „ბიტლებმა“ ის თქვენი ნახსენები ალბომი, სერჟანტ ჰეპერსის მიუძღვნეს და არა მერს. და კიდევ, არც ერთ ინტერვიუში ცნობილი ჯგუფის წევრები არ ახსენებდნენ იმ მერიის სახელს, მხოლოდ 2008 წელს აღიარა პოლ მაკარტნიმ, რომ მართლაც მიირთმევდნენ დედიმისისებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფული უჭირდათ, უბრალოდ, ბეკეტს ვითომდა მათი ვალი ჰქონდა და ამ გზით უბრუნებდა.

მესამე — ბეკეტი მართლაც „ბიტლების“ ფანი იყო და მუდმივად ღლინებდა მათ სიმღერებს. თქვენ რაღაც არ ხართ შემწნული „ვარდისფერი კვარტეტის“ სიმღერების ღლინში. მან ცხოვრებაც „ღლინში“ დაამთავრა ლივერპულის ფსიქიატრიულში, ბოლო თხუთმეტი წელი იქ ყოფნის პერიოდში მხოლოდ მაკარტნის სიმღერას „ლიტლ ფიგის“ ღლინებდა. ეტყობა, ნანობდა თავის ახალგაზრდობის შეცდომას.

მეოთხე — არ მგონია,



თქვენ რამით ჰგავდეთ ბეკეტს, მან მხოლოდ ერთი შეცდომა ჩაიდინა. იგი ფეხით დადიოდა სამსახურში, ველოსიპედზე ვერ გადასვს, ამბობდა, სანამ ყველა ლივერპულელ ბავშვს არ ეყოლება ველოსიპედი, მე ფეხით ვივლიო...

2011 წელს ფაკ შირაკს მიუსაჯეს ორი წელი პირობითი, ფიქტიური საშუალო ადგილების შექმნის გამო, როცა ის პარიზის მერი იყო! შვიდ ფიქტიურ საშუალო ადგილზე იყო ლაპარაკი, თანაც, მისი ბრალი არ იყო, როგორც იერარქიული პასუხისმგებელი პირის.

მოკლედ, გიგიმ ასჯერ მეტი ხალხი გააფორმა ფიქტიურად, თანაც, პირადი გადაწყვეტილებით, კიდევ თანაც, დამატებითი გადასახადის დაწესების ხარჯზე და კიდევ რომ „ბლატაობს“?!..

აიაა ჭილიძე

სააკაშვილს უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ქართველი დახოცილიყო 2008 წლის აგვისტოს ომში და მიცვალებულთა რაოდენობა 10 000-ს რომ გადააჭარბებდა, მერე ეკივლა — რუსებმა გენოციდი მოგვინყვეს, არიქა, სასწრაფოდ მიგვიღეთ ნატოშიო...

„ბოკერია, უგულავამ და გაბაშვილმა დაგვამეს, რომ საქართველოს უნდა მიეღო მაქსიმალური მსხვერპლი როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის, ასევე სამხედრო მოსამსახურეების“, — საპატიმროდან ერთი დღის განთავისუფლებული გენერალი ტრისტან ფიომლაშვილის ამ ფრაზამ, ცხადაა, არა მხოლოდ საქართველოს, რუსეთის მედია-სივრცეც მოიარა. „საერთო გაზეთი“ გენერალ წითელაშვილს, ძირითადად, ამ საკითხზე სასაუბროდ ესტუმრა, თუმცა, ვერც სხვა თემებს აუჯარეთ გვერდი.

— ტრისტან, ამ ფრაზის გარდა, ბევრი ისეთი რამ თქვი, რაც საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა საქართველოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ. შეიძლება, უსამართლოდ თავისუფლების



აღკვეთამ ერთგვარად იძალა და შედმეტად კატეგორიული განცხადებები გამოგივიდათ ცხელ გულზე, მაგრამ, საგარეულოდ, მოგიწევთ, საფუძვლიანად დასაბუთოთ ყველა თქვენი ბრალდება.

— არავეინ იფიქროს, რომ რადგან პატიმრობაში ვიმყოფებოდი, განაწყნებული კაცის პოზიციიდან ვამბობ რამეს, მე რასაც ვამბობ, იმაზე პასუხისმგებელიც ვარ. ყოველთვის გავიმეორებ, რომ პროვოკატორმა, საქართველოს მტერმა და უცხო ქვეყნის აგენტობაში ექვმიტანილმა სააკაშვილმა წაპოიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი. ერთი კვირით ადრე პირადად მე მომამზადებინეს ბაზა, სადაც უნდა მომხდარიყო ბრძოლაში დაზიანებული ტექნიკის შეკეთება და მწყობრში მოყვანა, ამ ბაზის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა ჩემი სამსახური. 7-ში ღამით არტილერიამ დაიწყო განლაგება და გახსნა ცეცხლი ცხინვალის მიმართულებით, რასაც მოჰყვა სახმელეთო ოპერაციები და 8-ში ღილას ხელში ეკავათ უკვე თითქმის ცარიელი ქალაქის მიმდებარე ტერიტორია. ამ დროს არც ერთი ჩვენი მშვიდობიანი მოსახლე არ იყო გამოყვანილი, ცხოვრობდნენ ჩვეულ რიტმში — რას ნიშნავს ეს? იქითა მხარის მშვიდობიანი მოსახლეობა, ალბათ, ორი კვირის განხიზნული იყო უკვე, რადგან გაუიწილი იყო ინფორმაცია, რომ ქართული მხარე იწყებდა საბრძოლო მოქმედებებს.

— ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ვიწყებთო — ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი...

— ვინ და რა თქვა, ფაქტი სახეზეა, ეს იყო საბრძოლო მოქმედებების განახლება და მანამდე შეგნებულად არ მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილს უნდოდა მაქსიმალური მსხვერპლი და მსხვერპლის რაოდენობა სადაც, 10 000-ს რომ გადააჭარბებდა, აწივლდებოდა, არიქა, გვიშველეთე მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებო, რუსეთმა მოგვიწყო გენოციდი და მთლად რომ არ გავქრეთ, გადაგვაფარეთ ნატოს კალთა, დაჩქარებული წესით მიგვიღეთო. როგორც ჩანს, ამ ინფორმაციამაც გაჟონა, რუსებმა შეხედეს, რა

ფორმით ხდებოდა ქართული მხარის მოქმედება და საომარი მოქმედებები შეცვალეს წესრიგის დამყარებით. ასე რომ, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, ამ საქმის გამოძიება დაიწყო სააკაშვილის დაკითხვით და მიაცილონ ბოკერია, გაბაშვილი, აღიშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, თარგამაძე, მთელი მათი ზროვა, ეწ პოლიტიკური გუნდი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ოპერაციებს.

— სამხედრო ოპერაციას სამოქალაქო პირები როგორ ხელმძღვანელობდნენ...

— ჩამოვიდოდნენ 12 საათზე, დადგებოდნენ შტაბის წინ კამერებისთვის საპოზიციოდ, შევიდოდნენ ერთი საათით შტაბში, მიიღებდნენ საქართველოსთვის მომაკვდინებელ გადაწყვეტილებას, გაბრუნდებოდნენ უკან და ქეიფობდნენ, იქ კი ხალხი იხოცებოდა, გმირები იხოცებოდნენ...

მოვუწოდებ იმ ხალხს, რომელთა ოჯახის წევრებიც იმ დროს დაიღუპნენ და ექსპერტის ჩატარების უფლება არ მისცეს, მოითხოვონ ინფორმა-

ცია, სად და რა დროს დაიღუპნენ და სად აქვთ ტყვეა ნასროლი — ზურგში აქვთ ტყვეა მოხვედრილი... უმეტესობა დაღუპულია იმიტომ, რომ კავშირგაბმულობა არ იყო და უკან დახვევის დროს საბრძოლო ქვედანაყოფები, რადგან ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ, ერთმანეთს უხსნიდნენ ცეცხლს — მთელი მართვა იყო პარალიზებული, რაც, უპირველესად, მთავარსარდლის პასუხისმგებლობაა, ეს არის გენშტაბის ბრალი, რომელმაც ვერ მართა ფრონტი, თუმცა, რომც სდომოდა, საკითხავია, ამართებებდა სააკაშვილი?

— გენშტაბის უფროსი ზაზა გოგავა იყო მაშინ, არა?

— დიახ! დაკითხონ გოგავა, რატომ არაფერს ეკითხებინა? მე ვერ ვხედავ, რომ ვინმეს აინტერესებდეს 2008 წლის აგვისტოს საქმის გამოძიება. ეს დღემდე რას ნიშნავს, ჯერ არ ვიცი, ახალი გამოსული ვარ ციხიდან. ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომელიც თავისი თვალთ ხედავდა, რა ხდებოდა 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს, უნდა იყოს დაკითხული.

— მაინტერესებს, რა გინდოდა იმ დროს იქ, შენ ხომ კარგა ხანია „ჩამოწერილი“ ხარ...

— ჩამოწერილი და ვადავასული სააკაშვილია!... 2005 წელს დაგვტოვე საქართველოს შეიარაღებული ძალები. 2007 წელს შეიქმნა უსაფრთხოების სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც ვიყავი მე, ხელშეკრულება გავაფორმე თავდაცვის სამინისტროსთან და დავიწყეთ თავდაცვის სამინისტროს სარემონტო ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს მასშტაბით. ეს ბაზები იყო თბილისში, გორში, ქუთაისში და სენაკში. ამდენად, უშუალოდ ჩემი მოვალეობა იყო, რომ გორში ყოფილიყო საბრძოლო მოქმედებების დროს. გორის ბაზის უსაფრთხოების უფროსად დანიშნული მყავდა ტარიელ თოლაძე, რომელიც ასევე დაიჭირეს... ხალხი მიტოვებული იყო, კაცო!... თვითონ რუსი სამხედ-

როები ურიგებდნენ პურს, კონსერვებს და რაღაცებს... ხალხმა ის კი არ იცის, რომ ეს პატრიარქის მიერ ბორისოვისთვის გადაცემული ფულით კეთდებოდა, რუსების კეთილშობილებას მიაწერს, მაგრამ რომ არ გაეკეთებინათ, რა, არ შეეძლოთ? რატომ არ ვთქვა ეს, ან რას ვამბობ იმაზე მეტს, რასაც ხალხი ამბობს — ხალხმა ჩემზე მეტი და ჩემზე უკეთ იცის, რაც ხდებოდა... რა, თვითონ არ იციან? — იხვეწებოდა ბორისოვი, მოდით, ჩაიბარეთ თქვენი რაიონი, აიყვანეთ კონტროლზე და მიხედეთო. ლომააა რომ დაიარებოდა ბორისოვთან რესტორანში,



რას დადიოდა, ვერ გავიგე?! გორში ჩაბანის მძლერი იყო, გარძელაშვილი თვითონ ამბობდა წუხელ რუს გენერლებთან ერთად ვქეიფობდით და სხვაზე იშვრენ ხელს — რუსეთის ჯაშუშები? ესენი ერთად ქეიფობდნენ და ჩვენ ტყვეებში გახიზნულები მორიგი თავდაცვისთვის ვემზადებოდით...

— ეჭვქვეშ დაყენეს შენი მეომრობაც, თუმცა, მე კარგად მახსოვს, რომ ჯერ კიდევ სამაჩაბლოში სიკვდილს ხარ გადარჩენილი...

— ესენი სად იყვნენ, 1989 წელს ოცი კაცი რომ ვიყავით და ვიცავდით ადგილობრივ მოსახლეობას ოსი სეპარატისტებისგან...

როდესაც დაიწყო საბრძოლო ოპერაციები, ჩემი ამოცანა იყო დამეკავებინა სოფელი ოსების. ეს იყო სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი, საიდანაც მოხდებოდა წვერიასოს მთის დაკავება, რომელიც დაპყრუებს ცხინვალს. პარალელურად უნდა გაკეთებულიყო შემოვლითი გზა, გადასულიყვნენ სოფელ ხეთისა და მიმდებარე სოფლებში. მიზანში ამოღებული დავიჭერი გულ-მკერდის არეში, ვიგრძენი, რომ ტყვეა მომხვდა და გადავვარდი, გაიარა კარაბი-

ნის ტყვეობა სხეულში და გავიდა გარეთ. ვინს რომ მოვედი, ცხინვალში ვიყავი უფროსი იყო და დათო გელაშვილი — ორმხრივი ცეცხლი იყო და ბიჭებს გამოვყავდი, ფეხებით მიმათრევდნენ. ხვეიდან ზემოთ რომ ამათრეის, იქ ვიყავი ყარაყარაშვილი მახსოვს, პატარა ბავშვივით თავზე გადამისვა ხელი, გამაგრდით... მერე არაფერი აღარ მახსოვს... ერთი თვე ვიწვი რესპუბლიკურ საავადმყოფოში და გამოვიქეცი, ბატალიონში მივედი ისევ და პოზიციას ვიდექი ბოლომდე, მანამ, სანამ გამოსვლის ბრძანება არ გასცეს. ბატა-

ლონი ხელახლა დავაკომპლექტეთ, გადავამზადეთ და აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე, 20 აგვისტოს, უკვე ზღვით გადამისროლეს ფოთიდან გაგრის მიმართულებით. მაწუხებდა ჭრილობები, მაგრამ რას იზამ, უნდა დაიცვა სამშობლო. რას ამბობ, ტერიტორიებს მართმევენ და მაშინ ჯან-ღონიანი ქართველი კაცი როგორ უნდა დამჯდარიყო სახლში, ან ამ ვირთხებივით როგორ უნდა გაძურწულიყვნენ გაჭირვებაში ჩავარდნილი სამშობლოდან!

— ისიც კარგად მახსოვს, გაცვლილი ტყვე რომ ხარ...

— გაგრა რომ დაეცა, მაშინ ავვიყვანეს ტყვედ. შვიდი დღე აღდგომის, კლუბში ჩამწვედულები ვიყავით და მერე ტყვეებში გაგვცვალეს, გივი კვანტალიანი და სანდრო კავსაძე იყვნენ ამ მოლაპარაკებაში. მაშინ ხელში ვიყავი დაჭრილი. მეათე ურბზე ნადირობდნენ, შეტაკებისას თუ არ მოკლავდნენ, ხელში ჩაგდებული, გულაუთაში ცალკე გადავყავდით. მე მისხნეს ჩემმა „ავანტურებმა“ — ირგვლივ უამრავი მიცვალებული იყო, ჩემი ზომის გვამს გახადეს სამო-

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი





ქალაქი ტანსაცმელი, ჩამაცვეს და ვერ გაივო მოწინააღმდეგემ, რომ ბატალიონის მეთაური ვიყავი, თორემ დამთავრებული იქნებოდა ჩემი ამბავი...

— ახლა 4 წლისა და 5 თვის ციხეში ვდომის შემდეგ რას ფიქრობ, რატომ დაგაკავეს?

— იმიტომ, რომ, რაც ჩაიდინა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მე იქ ბევრი რამ საკუთარი თვალთ ვინახე და მოვისმინე; რატომ იყო ჩატოვებული მოსახლეობა იქ, რატომ იყო დიდი მსხვერპლი საჭირო...

— რითი დამტყიცებ, რომ ასეთი საუბარი მართლაც შედგა...

— მე დიქტოფონი და კამერა არ მქონდა, რითი ჩავიწერდი, მაგრამ ფაქტები და შედეგები ხომ სახეზეა. წამებში შემოებრუნდი უკან, გუჯა იყო იქ, ბუქნრიკიძე, ისიც საქმის კურსში იყო რაც ითქვა, ორგანიზება გავუკეთეთ ჯგუფებს და დავიწყეთ მოსახლეობის გამოყვანა. ომის ვეტერანები იყვნენ იქ და იარაღს არ აძლევდნენ, არ გვჭირდებოდათ და რეზერვისტები ჩამოყარეს, გაწირეს ბავშვები — ეს რომ დაეინახე, ხმადაღლა დავიწყე ყვირილი. როგორ შეიძლება ბოლა გამოუცვლილი სტუდენტების იქ ჩამოყვანა მეომრებდ, კარგი, ჩამოიყვანე, მოსახლეობის გამოყვანად შეიძლება მათი გამოყენება, მაგრამ ამათ კლუბებსა და დარბაზებში შეიყვანეს ერთად და ჩაკეტეს, სამიზნედ გაამზადეს. ჩვენ რომ ყვირილი არ დაგვეწყო და არ გამოგვეყვანა, აბა, გაიშალეთო, საველე დარტყმებით ჩაიხოცებოდნენ ყველანი... იქითა მხრიდან გვამები არ გამოჰქონდათ, ლბობა დაიწყო აგვისტოს ხვატში, ეპიდემიის გაჩენის საშიშროება გაჩნდა და ამიტომ დაიწყეს მათი დანაშაუნი. პატრიარქი და საპატრიარქო რომ არა, ვერც ერთი მიცვალებული ოჯახს ვერ დაუბრუნდებოდა... მიცვალებულები იქ ეყარნენ უპატრონოდ და ამათ აქ ტაშფანდური ჰქონდათ, გავიმარჯვეთო.

ხომ ფაქტია, რომ სააკაშვილი საქართველოს კაცი არ არის, მაგრამ საკითხავია, რომელი, რამდენი ქვეყნისა და ორგანიზაციის აგენტია. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ „კგბ-ის“ ეფრეთორი იყო, მისი ბიძა კი, „ფსბ-ის“ გენერალი, ხოლო ცნება „ყოფილი კავებნიკი“, არ არსებობს, ან ხარ, ან არ ხარ. ხელში რომ მეკავოს მისი პირადი ნომერი და კოლერი სახელი, სხვა იქნებოდა... სასაზღვრო ჯარებში სტენდზე გამოჭიმეს „კგბ-ის“ ფორმაში გამოწყობილი ფიცს რომ ლეზულობს — რატომ დაუწყეს ვალერი ჩხეიძეს დევნა, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გამოამხურა — ჩამოვიდა უკვე და ჰკითხეთ...

— სამხედრო საქმე, ასე თუ ისე, მოვითავეთ, ახლა ციხეში გადავიდეთ...

— მხოლოდ ჩვენ კი არ ვიყავით ციხეში, თქვენც ციხეში ცხოვრობდით, მთელი საქართველო, ოღონდ ღია ტიპის დაწესებულებებში.

ბულებში და ცოტა შეღავათიან პირობებში.

— გეთანხმები, მაგრამ ვისაუბროთ შენზე — პირველად იყავი მე-8 საპრობილეში...

— პირველად ვიყავი საშინაო ტანსაცმლით მოდულის შენობაში გატაცებული ორი დღე, ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა დანი ჯაფარიძე. ეს რა კაცია, იცი, საკუთარ ქორწილში დღემამა არ გაიკარა, მე ისეთი წრის ცოლი მოვიყვანე, იქ ვერ გამოგაჩნდით...

— გუნავა ძმის გასვენებას არ დასწრება, ნარკომანი იყო...

— უარესესად გეტყვით... ესენი, ყველანი, ერთნაირები არიან, ერთნაირი მახინჯი ფსიქიკის, ერთნაირი შეხედულებების ცხოვრებაზე, ურთიერთობაზე, ერთმანეთის ცოლებზე...

თქვენი გაზეთით ნათქვამი მაქვს, როგორ დამაკავეს, ამიტომ დაწვრილებით არ მოვეყვები — მოდულის შენობაში რომ მიმიყვანეს იქ დამხვდნენ სამოქალაქო ფორმის ჩაცმული გიენები. ლევან ტაბიძემ „დუბინკა“ ამოძლო ნიკაძეძემ — ლევან ტაბიძე არის კრიმინალი, რომელიც მფარველობდა პირიქების, რომელსაც რუსეთიდან ჩამოჰქონდა ნარკოტიკი და ხვდებოდა აეროპორტში — მისივე თანამშრომლობა გათქვა. მისგან გადამანაცვლეს შალვა ფლენტან — ისაა ყველაფერი. საშინელება ხდებოდა სარდაფში, ჯარისკაცებს დალამაძე ურტყამდნენ ხელკეტებით... ყველაფრით დამემუქრნენ, მაგრამ მივინდინე გავქვავდი, რაც გინდათ მიქენით, არ ვაღიარებ იმას, რაც არ ყოფილა, არ დავადებ ხელს იმ ხალხს (ირაკლი ბათიაშვილი, გოგა ხაინდრაგა, ემზარ კვიციანი), ვისზეც მეუბნებით-მეთქი.

— რატომ დაგინდეს...



— ვინ დამინდო, ხელჩართული ჩხუბი გვქონდა, გამიგდეს იატაკზე და მერე რაღაც უბედური ნემსი გამიკეთეს ბეჭში, გავდებოდი, ბინდი გადამეკრა თავლებზე. რა დანდობა! დანდობა კი არა, მკლავდნენ კაცს... ცემა, ცემა და ცემა... არ ვიცი როგორ გავუძელი ჩემი ჯანმრთელობის კაცმა იმ ყველაფერს, მაგრამ რაღაც ძალა მიმცვლიდა...

ვიღაც იტყვის, მართლა გაუფრენიაო, მაგრამ ციხეში ცალცალკე თვალთ ვთვლემდი ხოლმე და მიცვალებულებს ცხადად ვხედავდი, რაღაც მინიშნებებს მაძლევდნენ და მეორე დღესვე მიხდებოდა, ხან მამხნევედნენ. ერთხელაც გარდაცვლილმა სიდერმა მითხრა, ჩემი გაკეთებუ-

ლი კოტორის (თუშური ხაჭაპური - მჭ.) გარდა არაფერი შეჭამო. გათენდა და ყავა მომიტანეს, გადამიკიდა მომკითხველი, მაგარი ყავააო. ჯერ ისედაც არ ვსვამ ყავას, მაგრამ ჩაიც რომ ყოფილიყო, მაინც არ დავლევდი. შენ ვინ ხარ საერთოდ და მერე, არ ვსვამ, შენ დალიე-მეთქი. უკანვე რომ წაიღო, გაყენე ბიჭები და გადააქცია, არ დალია — ეს უკვე „მატროსოვზე“ მოხდა... ავჯალაში 40 დღე კიბის საფეხურებზე მეძინა მოკუნტულს, ფეხები დამისივდა და ჩემი მიცვალებულების ხმები ჩამესმოდა, „გაუძელი ბიჭო, ცოტაც გაუძელი!“ და ეს მამხნევედა. დასაწოლს არ მაძლევდნენ და პატიმრები გაფრთხილებულები იყვნენ, თუ „სმენკაში“ ვინმე დამაწვენდა ან დამსვამდა, ის პატიმარი დაკარგავდა ლოგინს და წავიდიოდა კარკერში — ტიროდნენ ბიჭები, რა ვქნათო. მერე ლალი აფციაურმა მიშველა, ატეხა მთელი ამბავი და მომცეს დასაწოლი...

არავინ თქვას, „მაყურებელი“ ვიყავი და „პალაქენია მიმყავდაო“, თუ ადმინისტრაციას არ უნდა, არც „პალაქენიას გაგაკეთებინებს“ და ვერც მაგრად ვერ იცხოვრებ. ეწ „მაყურებელი“ „მაყურებელი“ კი არა, ბრიგადირები არიან, ადმინისტრაციასთან თანამშრომელი პატიმრები, ვითომ „კაი ბიჭები“ — მე მკითხონ, როგორი „კაი ბიჭები“ არიან... კაი ბიჭები ვიყავით ჩვენ, რომლებიც ვცხოვრობდით უბედურებაში, სიმანინჯეში, ტარაკნებში, ტილებში, 24 საათიან ფსიქოლოგიურ ზეწოლაში და ვიტანდით...

ეს იყო სააკაშვილის ისეთი კონცლაგერი, რომლის მსგავსი პიტლერსაც არ ჰქონია ებრაელებისთვის. სად ჰქონდათ ნანახი,

სად წაიკითხეს ასეთი საშინელებები, რა თავებში მწიფდებოდა ეს ამაზრზენი სურვილები — ასეთი რამეები ფილმებში არ მინახავს. კაცო, ტყვედ ვიყავი და მტერი არ მოგვქცევია ასე...

ჯგუფი გამოდიოდა 10 საათზე ეზოში, დადებოდნენ ციხის კორპუსების წინ და მთელი ხმით იგინებოდნენ ოჯახებზე, ცოლ-შვილებზე, იმუქრებოდნენ გაუპატიურებით...

— მთავარმა პროკურორმა თქვა, რომ აქვთ კადრები, სადაც პატიმრის ოჯახის წევრთა გაუპატიურებაა ასახული...

— მე ვადასტურებ, რომ ასეთი რამ ხდებოდა — ციხეა, იქ არ იმალება არაფერი...

მანია ჭვლიძე

me mi yvars saqarTvel o da mTel i sul ierebiT mi nda SevuerTde mas...

მუსულმანური რელიგიის მასწავლებელმა მშპრპზ ნაზიმმა, რომელიც „საერთო გაზეთის“ სტუმარი არაერთხელ ყოფილა, მართლმადიდებლური წესით მონათვლის გადაწყვეტილება მიიღო. ვთაზობთ მასთან ინტერვიუს.

— მუსულმანურ ოჯახში გაეჩნდი და როცა წერა-კითხვა ვისწავლე, პირველი, რაც გააკეთე, დავიწყე „ფურანის“ შესწავლა. მუსულმანური შარიათი, ისლამის ისტორია, ლოგიკა, ფილოსოფია ზედმიწევნით შევისწავლე ისე, რომ 19 წლისას უკვე თავისუფლად შემძლო ყოველივე ეს მუსულმანური სარწმუნოების მალიარებელთათვის უფრო ღრმად შესწავლებისა. 300-მდე მოწაფე მყავს და ახლაც დიდად მაფასებენ, ახლაც ჩემს სიტყვას პატივს სცემენ.

ბოლო 4-5 თვეა დავანებე თავი ყველაფერს. ახლა 30 წლის ვარ, მთელი ჩემი ახალგაზრდობა ძიებაში ვგავატარე სუნიტური თუ შიიტური, ვაჰაბიტური თუ შაჰაისტური, იელო-კური, კათოლიკური თუ ბაპტიტური, ამიტომ ახლა ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტად მეჩვენება, რადგან მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი სარწმუნოება ყოფილა.

ზემოთაც გითხარით, ჩემი ავტორიტეტის გამო მუსულმანები მენდობოდნენ და მაფასებდნენ-მეთქი და ამის შედეგი იყო არა მხოლოდ აზერბაიჯანიდან, არამედ თურქეთიდან და ირანიდანაც კი აგზავნიდნენ ხალხს ჩემთან, მეც მიწვევდნენ ამ ქვეყნებში...

თუმცა არასდროს ჩაერეულვარ პოლიტიკაში, როგორც მუსულმანი და მუსულმანური სარწმუნოების მცოდნე, ვასწავლიდი „ფურანს“ საქართველოში და არ ვაპირებდი დამდგარიყავი თურქების ან ირანელების მხარეს.

— რა მოხდა ისეთი, რამ გავფიქრებინათ, რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტი სარწმუნოებაა?

— დიდი ხანი არ არის, ჩემი ცხოვრების, ალბათ, ყველაზე გადამწყვეტ პრობლემას წავაწყდი, საფრთხის წინაშე აღმოჩნდით მე და ჩემი ქართველი მეუღლე ჩვენი მცირეწლოვანი შვილებით, მაშინ ჩემმა მეგობარმა ვალერი ხვედელიძემ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რასაც აკეთებდა, მუსულმანს ჯვარი მარჯვა. უარი ვერ ვუთხარი, რადგან მივხვდი, მთელი გულით მომდევნოდი საჩუქარი იყო. მეორე სტუმრობისას ღვთისმშობლის ხატი მისახსოვრა, ისიც, როგორც ჯვარი, ერთად, ერთ თაროზე მოვათავსე.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი პატარა მარიამი ბებიაჩემთან წავიყვანე სოფელში. ხელში ოცთეთორიანი ეჭირა: „კევი“ უნდა ვიყვილო. მეტროსთან რომ მივედი, ყუთი შენიშნა, ეკლესიის მშენებლობაში დახმარებისთვის ფულის შესაგროვებლად დადგმული და მონიშნა, ეს ოცთეთორიანი, იქ ჩაეგდო. მაშინ მღვდელმა მარიამს სანთელი

ანუქა. ის სანთელი ჩემი მეგობრის ნაჩუქარ ხატთან დავანთე და წარმოიდგინე, ერთი წერილი სანთელი ნახევარი დღე ენო, მზესავით იღგა... იმ მომენტში ძალიან მომინდა ხატების წინაშე მელიცა, ქრისტიანული ლოცვა მე არ ვიცი, მაგრამ რაც გულიდან ამოვიდა, იმ სიტყვებით ვილოცე. დიდი პრობლემის



წინაშე ვიდექი და ამ ლოცვით თითქოს დავწყნარდი...

როგორც გითხარით, 10 წელიწადზე მეტია მუსულმანობას ვქადაგებ და არავითარ ანგარიშს არ მიფიქრია. მეჯავრებოდა ისეთი მქადაგებლები, რომელთაც რელიგია შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ და ამით სარგებლობდნენ. ვერ ვიტანდი, ზოგიერთები რელიგიაში არაადამიანობას, კაცის კვლას და ჩაგვრას რომ ნერგავდნენ, მაშინ, როცა რელიგია პირდაპირ ქადაგებს კაცთმოყვარობას. ვიღაც მეტყვის; ის რა იყო, მუსულმანი შაჰები რომ ქრისტიანებს ხოცავდნენ?! საქმე ისაა, რომ ისინი მუსულმანობას, როგორც რელიგიას, ბოროტი ზრახვების იარაღად იყენებდნენ, თორემ მუსულმანობა ადამიანის ხოცვას არ ქადაგებს. დღესაც ასეა მუსულმანურ სამყაროში, ეს რელიგია 72 სექტადაა დაყოფილი და მათი ნაწილი აგრესიულიცაა.

— წვდანი თქვი, მართლმადიდებლური ტაძარში მონათვლას ვაპირებო...

— მე მიყვარს საქართველო და მთელი სულიერებით მინდა შევეუბნო ჩემს ქვეყანას და სხვა რას იტყვის, ეს აღარ მაინტერესებს.

დღეს უშუშეკარი ვარ, არც სახლი მაქვს და არც კარი და იცით, რატომ? იმიტომ რომ მე საქართველო დაყავნე ყველაზე მაღლა. სწორედ ამ მიზეზით შემეძვნა პრობლემები. ბევრჯერ სიცოცხლე დამიღია სასწორზე, მაგრამ არ ვნანობ არაფერს. სხვანაირად ვერც კი წარმოიდგენია, როგორ უნდა მოვქცეულიყავი...

ანა ვადაჭკორია

რამდენიმე დღის წინ ექსპერტები პრემიერ-მინისტრს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. კონკრეტულად რა თემებზე ისაუბრა ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებთან ერთად? „საერთო გაზეთს“ არჩევნებისა და პოლიტიკური ტენდენციების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პანა პანკოვილი ესაუბრა, რომელიც პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ესწრებოდა.

— ბატონო კახა, რამდენიმე დღის წინ ექსპერტები პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს შეხვდით, კონკრეტულად ვისი ინიციატივით შედგა შეხვედრა?



— ჩვენი შეხვედრის ინიციატორი, რამდენადაც ვიცი, „დამოუკიდებელ ექსპერტთა“ ჯგუფის ხელმძღვანელი სოსო ცისკარიშვილი იყო. ფაქტია, რადგან შეხვედრა შედგა მსურველი ორივე მხარე იყო.

— პრემიერის მხრიდან რა იყო ყველაზე პრიორიტეტული საკითხები, რომელზეც ბიძინა ივანიშვილს ექსპერტების აზრი, ყველაზე მეტად აინტერესებდა?

— ჩვენთან საუბრისას პრემიერი აბსოლუტურად გახსნილი იყო. სხვათა შორის, შეხვედრა ძალიან შინაურული იყო, ყოველგვარი პროტოკოლური ნორმების დაცვის გარეშე. ბიძინა ივანიშვილს ჩვენი დამოკიდებულება და პოზიცია აბსოლუტურად ყველა თემისთან დაკავშირებით აინტერესებდა. მან ჩვენს მიერ დასმულ ყველა შეკითხვას უპასუხა და არც ერთი საკითხი დაიდა, პასუხაუცებელი არ დაუტოვებია დაწყებული აფხაზეთში რკინიგზის მშენებლობის თემა-დან, დამთავრებული იმ საბოტაჟის ნიშნებით, რომელიც ქვეყანაში იკვეთება.

— შეხვედრის დროს თუ გამოიკვეთა საკითხები, რაზეც ექსპერტებსა და ბიძინა ივანიშვილს საერთო პოზიცია არ აღმოგჩნდათ და შეთანხმებას ვერ მიაღწიეთ?

— ბიძინა ივანიშვილთან მიწვეული არ ვყოფილვართ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება-არშეთანხმების გამო. ჩვენ არ ვართ არც მთავრობისა და არც საკანონმდებლო ორგანოს წევრები. ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრს აინტერესებდა ჩვენი პოზიცია სხვადასხვა საკითხზე. ეს იყო შეხვედრა იმ ინფორმაციის მიწოდებისთვის, რომელიც პრემიერს, შესაძლოა, არ ჰქონდა.

— რამდენად შედეგზე ორიენტირებული იქნება მსგავსი ტიპის შეხვედრები და გაითვალისწინებს თუ

kaxa kaxiSvil i: dasavi eTis Tval Si nacional ebi ~ qmian fons, TiTqos saqarTvel oSi umZimesi viTarebaa

არა ბიძინა ივანიშვილი თქვენს პოზიციას?

— შეხვედრის დროს ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო შესაძლებლობა არ აქვს ყოველდღიურად გაცენოს პრესას და უფუროს ტელევიზორს, ამიტომ შევთავაზე, მსგავსი ტიპის შეხვედრები პერიოდულად გაიმართოს, რადგან მივაწოდოთ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ბიძინა ივანიშვილთან მისული არ იყოს, ან სხვა კუთხით მიწოდებული იყოს. ამ ინიციატივას პრემიერ-მინისტრის პოზიტიურად შეხვდა და გამოთქვა თვეში ერთხელ ანალოგიური შეხვედრის სურვილი.

— რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიას თანამდებობრივად ჩამოაქვეითა, „ერთიანი ფორუმი“ და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ გაერთიანება გადაიღო, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი რაიონული ორგანიზაციებიდან „თავისუფალი დემოკრატების“ წევრების გარიცხვას მოითხოვს. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება თქმა, რომ კოალიციაში შიდა დაპირისპირება და კონკურენცია დაიწყო?

— თავიდანვე კოალიცია არ იყო ერთ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ერთობა. კოალიციაში გაერთიანებული პარტიების მიზანი ბიძინა ივანიშვილის გვერდით ყოფნა იყო. ივანიშვილმაც კოალიციაში გასაწევრიანებლად აირჩია, პარტიები, რომელთან ურთიერთობაც სწორად მიაჩნდა. შესაბამისად, ყველა პარტია ცდილობს ივანიშვილის ირგვლივ თავი დაიმკვიდროს და ხელში შესაძლო ბერკეტები აიღოს, რადგან კოალიციის დაშლის შემდეგ ხელისუფლებაში დასარჩენად რუსურსი გააჩნდით. შესაბამისად, პარტიები სწორედ ახლა იწყებენ საკუთარი პოზიციების გამაგრებას და პრინციპში ეს მოსალოდნელიც იყო.

— რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ივანე მერაბიშვილის განცხადებას. რას ფიქრობთ, მერაბიშვილის მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება, უბრალოდ, სამოქმედო ტაქტიკაა, თუ მათ მართლაც შეიძლება ჰქონდეს სააკაშვილის გუნდს ივანიშვილის გარემოცვის დასუსტების გეგმა?

— რეალურად, „ნაციონალური“ არ არის უბერკეტო, უფულო პარტია. დღესდღეობით მათ დაიმკვიდრეს საპარლამენტო ოპოზიციის

სტატუსი და შესაბამისად, საპარლამენტო ტრიბუნის ათვისებას იწყებენ. „ნაციონალურების“ განცხადებები ემსახურება იმას, რომ ისინი პოლიტიკური არენიდან არ დაიკარგონ და მეტნაკლებად პოლიტიკური ოპონენტის სტატუსი მოიგონ. ამიტომ მათ მიმდინარე პროცესების პოლიტიკურ კრილში გადატანა სჭირდებათ, თითქოს მათ ჩაგრავენ.

ბატონი ვანოს განცხადებას რაც შეეხება, მან გაიმეორა ის, რის მოლოდინი პირადად მქონდა და რაც მათ 2003 წელს გააკეთეს. ზოგადად, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დამახასიათებელია რამდენიმე წლით ოპოზიციაში გასვლა, პარალელურად, მხარდამჭერების აღმასრულებელ ხელისუფლებაში დატოვება და პერიოდულად საბოტაჟური მოქმედებები, რადგან მოხდეს აზრის ფორმირება, თითქოს ახალი ხელისუფლება უსუსურია. შემთხვევითი არაა, რომ სოკოების მომრავლდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სადაც ერთიანდებიან ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი საჯარო პირები.

საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საერთა-

მოშავალს ვერ დაინახავენ და ცხადა, დაიწყებენ მათთვის სასურველი კავშირების დამყარებას ყველაზე მდიდარ პარტიასთან „ნაციონალური მოძრაობასთან“. მაშინ, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოვალთ არა არჩვენების, არა ხელისუფლების გადატრიალების გზით, შესაბამისად, მათ მცოცავი უზუპრაციის გზით რჩებათ შანსი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

შპარაპლოზ, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ყრილობის ჩატარების შემდეგაც დაიღვამება საქმეაქლები, სადაც პარტიის წევრები დახვებიან „ქართული ოცნების“ მანდატებს, იტყვიან, რომ „ქართული ოცნება“ აღარ უნდათ. ვინმეს უშიშროს მის ფაქტი სასაბოლოო მომხმეონს, მაგრამ მს მიიღვებს მასშტრ ხასი-ათს და ბეპრი აღამიანი დაარჩება „ქართული ოცნების“ განაწყმეპპლი, რომლებიც წავა იმ



შორის ორგანიზაციებში ინფორმაციას აგზავნი „ნაციონალური მოძრაობა“, მიხეილ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, ვიგა ბოკერია, როგორც უშიშროების საჭლოს მდივანი და თავისთავად მათი მხარდამჭერებით დაკომპლექტებული არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა ეს ინფორმაცია იქნება იდენტური და ნეგატიური. შესაბამისად, დასავლეთის თვალში „ნაციონალური“ შექმნიან ფონს, თითქოს საქართველოში უშიშროები ვითარებაა. არ ვამბობ, რომ ეს სცენარი უახლოეს მომავალში მოხდება, მაგრამ უკვე ერთ-ორ წელში „ქართული ოცნებაში“ განაწყმეპპელი პირები იქნებიან, ისინი ამ პარტიაში საკუთარ

პარტიაში, ვინც მის დაფინანსებას შემოგვებს. გასათვალისწინებელია, რომ ბიძინა ივანიშვილს საკუთარი პარტია არ აქვს, ამიტომ ყველაზე პარტი ბამოსსავალი იქმება საკუთარი პარტიის გაპლიმეპება და პარტიაში იმ აღამიანების მიყვანა, ვისაც ივანიშვილი დაყვარდება.

— ასი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილის გუნდი ხელისუფლებასო მოვიდა. როგორ შეაფასებთ, განვიღო პერიოდს რა იყო პრემიერის გუნდის მხრიდან დადებითი და ნეგატიური ნაბიჯები?

— ქვეყანაში შიში მოიხსნა და ამას ივანიშვილის გარდა ვერავინ მოახერხებდა, რადგან სწორედ მან გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა სააკაშვილს. ამავდროულად ხელისუფლება ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს, რაც გამოდინარებს ბევრი ფაქტორიდან, კერძოდ, საკადრო პოლიტიკიდან ბევრი საჯარო მოხელის მხრიდან საზოგადოებასთან კონტაქტის გაწყვეტა. წარმოიდგინეთ, თუ ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი დაძაბული გრაფიკიდან გამოდინარე, მოახერხა ჩვენთან სამსათანხვეარი შეხვედრა, ამას მინისტრები ვერ ახერხებენ? როგორ შეიძლება ხალხი, რომელიც ერთსა და იმავე პროკურორს ცხრა წლის განმავლობაში უწიოდა, ისევ მისგან მიიღოს წერილი, რომ განცხადება განხილეს, მაგრამ ადრე ყველაფერი სწორად იყო გამოძიებული და საქმეში არანაირი დარღვევა არ არის. ამასთან ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის მომენტიც მოიკოჭლებს, ცალკე „ნაციონალური“ მოძრაობის: მხრიდან შეგნებულად ხდება ხელისუფლების უსუსურობის დემონსტრირება. ამასთან საპარლამენტო ოპოზიციური ტრიბუნით სარგებლობა მხოლოდ „ნაციონალური“ და წარმოიდგინეთ, უცხოელებთან შეხვედრის დროს, საპარლამენტო ოპოზიციის რეჟიში შეხვედრისას, სადაც მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება წარმოდგენილი რა ინფორმაცია მიეწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებს. ალბათ, ივანიშვილის ამ გარემოებას ითვალისწინებს და გამოიცხადებდა არაა, მან შეგნებულად შექმნას საპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც სააკაშვილის გუნდს უმცირესობის მიკროფონს გაუყოფს.

შპიპროზ, რომ აღმანიანსაგან შემგნებულად მქინება საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის როლს, თითქოს რაღაც დაკავშირება არსებობს ივანიშვილსა და მას შორის. თუშეც ბიძინა ივანიშვილი, რომამლიც აღმანიანს ყველაზე მეტად ემდობა მისი საშუალებით ემდობა საპარლამენტო ოპოზიციის ფლანგზე პოზიციის მიღებას. რომამლიც დაჩრდილვას, „ნაციონალური“ საპარლამენტო ოპოზიციისა.

მირანდა ნაბახტაშვილი

ინტერნეტის თავისუფლების თემაზე თბილისში დისკუსია გაიმართება

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინტერნეტის თავისუფლების თემაზე დისკუსიას გამართავს.


როგორც „მედიაინის“ ორგანიზაციიდან შეატყობინეს, შეხვედრა დღეს თბილისში, ვეროპის სახლში მოეწყობა, სადაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარმოადგენს ახალ ანგარიშს: „ინტერნეტის თავისუფლება - ვინ აკონტროლებს საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორს?“

ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს: ინტერნეტის მოზმარების სტატისტიკა საქართველოში; ინტერნეტში განზოციელებული საქმიანობის მეთვალყურეობა; სატელეკომუნიკაციო კომპანიების მფლობელობა და მათი ანგარიშვალდებულება მომხმარებლების წინაშე; ონლაინ მედია - მედიასაშუალებათა ფინანსური მდგარობა.

ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება დისკუსია, რომელზეც სატელეკომუნიკაციო კომპანიების, სამთავრობო სტრუქტურებისა და ონლაინ მედია საშუალებების წარმომადგენლები საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორის სხვადასხვა ასპექტზე ისაუბრებენ. დონისიბება დაფინანსებულია ორგანიზაცია „IREX“-ის G-MEDIA პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
 შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გთავაზობთ საუბარს ჟურნალისტ ვალა ქოშიაშვილთან, რომელიც სხვადასხვა დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა და მას შემდეგ, რაც ის მიხეილ სააკაშვილის დედის ამბიციების გამო სამსახურიდან დაითხოვეს, გარკვეულ დროს „საერთო გაზეთშიც“ აქტიურად მონაწილეობდა და კოლუმნისტურ-შტატურულ ნარკვევებს ქართული ისტორიული ძეგლების და ტოპონიმების შესახებ.



დაცემის ბედი. კოლეგებმა საეჭვოდ ჩაიგუბეს პირში წყალი. როგორც აღმოჩნდა, ჩემი პროექტის პარალელურად საკონკურსოდ პროექტი გიული ალასანიას შემოეტანა. კონკურსში მონაწილეობა უნდა მიველო მე და ქალბატონ გიულის. რა თქმა უნდა, ამას აზრი არ ჰქონდა და, რადგან არ მინდოდა ფონის როლი შემსრულებინა, მაშინვე უარი ვთქვი ამ ფარსში მონაწილეობაზე. ეს მოხდა 2004 წელს.

— რა ხდება საზოგადოებრივი მაუწყებელზე, ბატონო გელა, თქვენ წლების განმავლობაში I არხზე მნიშვნელოვანი თანამდებობა გეკავათ და მიმართა, რელიურად შეაფასებთ იქ შექმნილ სიტუაციას.

რატომ მეთვლენებენ გარტული ტელევიზიების მართვას?

— დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ე.წ. ბორდში არც ერთი პროფესიონალი არაა. იგი დაკომპლექტებულია პოლიტიკური თანამოაზრეების, ნაცნობ-შეგობრობის და ა.შ. ნიშნით.

— ჩემი კარგი, სპეციალისტები სასლში გაუშვეს. ზოგი ნერვიულობისაგან გარდაიცვალა იმის გამო, რომ ჩარეცხეს ხალხი. რეჟისორებიც, თეატრებიც და კარგი ჟურნალისტებიც „ჩარეცხეს“, მიგრე-პორეკეს, გაყარეს... და დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხალხის ფულით დაფინანსებული ტელემაუწყებლობა, რომელიც, წესით, ყველაზე დამოუკიდებელი უნდა იყოს, კერძო ტელევიზიებისგან განსხვავებით, სხვადასხვა პატრონზე დამოკიდებული და სულს დაფავს, როგორც ღრი ძიძის ხელში მყოფი ჩვილი.

— ჩვენ წლების განმავლობაში ნამუშევარი გვექონდა დაგროვილი, მთელი საქართველოს ხერხობილედ ვიყავით. ქალბატონმა გიულიმ კი იმით დაიწყო, რომ ჩავიდა მცხეთაში და სვეტიცხოველი გადაიღო. სვეტიცხოველი გადაღებული გვექონდა და შესანიშნავი სიუჟეტებიც გვექონდა მოშადებული, მაგრამ ეს არაა მთავარი. საქმე იმაშია, რომ გიული ალასანიამ ამ ერთი გადაცემის მოშადებაში 10-ჯერ მეტი თანხა დახარჯა, წაიყვანეს ამქმანქანები, გააკეთეს დეკორაციები, მოიწვიეს ხალხი, შექმნეს აუდიტორია და დისკუსია, მაგრამ ეს არ იყო არაფერი, ეს არ იყო ფილმი, ეს იყო გადაცემა, რომელიც მიჰყავდა ერთ-ერთ ისტორიკოსს ისე, როგორც ატარებს ლექციას ხალხმრავალ დარბაზში.

— ქართული ტელევიზიის ნგრევა ერთი კონსტიტუციისგან დაიწყო, როცა მან შექმნა „რუსთავი-2“. კონსტიტუციის ტელევიზია კი არ დააარსა, არამედ სკანდალების და ინტრიგების სამსახური. ეს ბულვარული მედიისთვის დამახასიათებელი სტილია და თუ „რუსთავი-2“ ასე აპირებდა მუშაობას, I არხს მისთვის არ უნდა მიეზავდა. არადა, ასე კი მოხდა.

მცირე ასაკის დიქტორები ან თუნდაც ჟურნალისტები. ყმაწვილებს მაყურებელი არც უსმენს და არც უჯერებს. მაყურებელს მიიზიდავს ღიმილი და დამაჯერებელი საუბარი.

შალვა რამიშვილისნაირებიც უნდა იყვნენ და აკადემიური ჟურნალისტებიც, მაგრამ ძალად გემოვნებადაქვეითებულ მაყურებელს იაფფასიანი შოუები მოსწონს დღეს, სამწუხაროდ, და იაფფასიანი გადაცემებიც სახეზეა.

ჩვენს ტელევიზიებში დამკვიდრდა ბილწისტიკვობის ენა და ისეთი ადამიანების მოწვევა გადაცემებში, რომლებიც ხალხს ნერვებს უშლის. მაგალითად, თითქმის ყოველ დღე თუა თუთბერიძეა ტელევიზორში, ხოლო საზოგადოებისთვის პატივსაცემადამიანებს არ აჩვენებ — ასაკონები არიანო. კი, მაგრამ, ტელევიზია თუ მკლავში იმ ან მძლეოსნობაში შეჯიბრება. წლების წინ ასაკონ ადამიანს ეკითხებოდნენ — რა მოსაზრების იყო ამა თუ იმ საკითხზე, ახლა ყმაწვილებს ეკითხებიან და იმითომაცაა კარგად რომ მიდის საქმე.

ქართული ტელევიზიები დღეს მაჰუტის ენაზე ლაპარაკობენ. მაჰუტის არის ერთ-ერთი ინტელი ტომი, რომელთა ძირითადი საქმიანობა სპილოების მოთვინიერებაა. სპილოს მოსათვინიერებლად 500 სიტყვა ყოფილა საკმარისი, ქართველების „მოსათვინიერებლად“ ამაზე ნაკლები რაოდენობის სიტყვებს იყენებენ ახალი ტელეჟურნალისტები. სამწუხაროდ ამავაი, მაგრამ ფაქტია...

ანა ვალაშვილი



ფორმაციის შემდეგ გადაცემები არ იქნება ეროვნული, შემეცნებითი, საინტერესო, სახალისო, თანამედროვე.

სამწუხაროდ, ტელევიზია დღეს განდა ფერადი რადიო. ტელევიზიაში მთავარია გამოსახულება, ანუ უხედად რომ ვთქვათ, მთავარი არის კინო. ტელეგადცემაში გამოსახულება უნდა მეტყველებდეს, ჟურნალისტები, უბრალოდ, ეხმარებიან ამ პროცესს.

დღეს ვიზუალი გაქრა ტელევიზიებიდან. ზიან სტუდიებში და მიდის ლაილა და ეს რადიოა, რადგან ეკრანზე მოძრაობა არაა, არაფერი არ ხდება, შეგვიძლია, ხმას აუწიო, გახვიდე, მაგალითად, სამზარეულოში და ჩაი მიირთვა ისე, რომ არაფერი გამოგრჩება.

— ესეც არაკომპეტენტურობის ბრალია?

— ეს იმის ბრალია, ტელევიზიებში პროდიუსერები რომ აღარ არიან, აღარ გვყავს კარგი ტელეჟურნალისტები, გამოცდილი ოპერატორები.

— სპეციალისტები არ გვყოფილა და კარგი ტელევიზია როგორ გვექნება?

ამის შემდეგ გიული ალასანიას გადაცემა აღარ გაუკეთებია და ჩემი გადაცემაც „მოკვდა“ ასე.

ერთ ძველ ამბავსაც ვაგვიხსენებ... „ვარდების რევოლუცია“ ახალი მომხდარი იყო. ერთ დღეს მიხეილ სააკაშვილი გვეწვია. შეგვკრიბა თანამშრომლები და ასე მოგვმართა: თქვენსაირი დამსახურებული და დაუფასებელი ხალხი საქართველოში არსად არაა. თქვენ მაგდანას ლურჯასათნ გექცევინ — გაშუშავებენ და თან სახრის ვიტყლაშუნებენ — გინდა თუ არა, ისე გააკეთე, როგორც გიბრძანებო, თან ანაზღაურებასაც მცირე გაძლევენ. ეს აღარ განმეორდება!

ვიფიქრეთ, ახლა გათენდა ჩვენთვის, მოვიდა კაცი, ვინც ჩვენს შრომას დაფასებსო.

სააკაშვილმა იმ დღეს მოიარა მთელი ტელევიზია, კიდით კიდემდე დაათვალიერა ყველაფერი, ჩავიდა ტელევიზიის სასადილოში. იმ ხანებში პროფკავშირები და ტელევიზიის ხელმძღვანელობა ცდილობდა და ახერხებდა, რომ ტელევიზიის უხუცესი ყოფილი თანამშრომლებისთვის დღემდე ერთხელ უფასო სადილი მიერთმია. სააკაშვილი სასადილოში შემთხვევით წაადგა თავს ამ ამბავს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილს საქართველოს პარლამენტის ღირსებისა და სამართლიანობის სადარაჯოზე მღვარ თითოეულ დებუტატს!

ღია მიმართვა

ბატონო დავით!
ბატონო პარლამენტის წევრებო!
 ვითვალისწინებთ რა საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5,3-ისა და მუხლი 70,1-ის მოთხოვნებს, უფლებამოსილი ვართ შეგასწავლოთ:

- ვინაიდან, 2008 წ. 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებულ შედეგებზე დაყრდნობით, კონსტიტუციის 71-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მ. სააკაშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების მიღებიდან - 2008 წ. 20 იანვრიდან ათვლით, კონსტიტუციის მუხლი 70,1-ით გათვალისწინებული 5 წლიანი ვადა - 2013 წლის 20 იანვარს ამოიწურა;
- ვინაიდან, მ. სააკაშვილისათვის, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილების 5 წლიანი ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, არც - მ. სააკაშვილისა და არც საქართველოს პარლამენტის მიერ, დღეის მდგომარეობით, არანაირი სამართლებრივი აქტი არ არის მიღებული;
- ვინაიდან, 2013 წლის 20 იანვრიდან ათვლით, მ. სააკაშვილის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე უკანონოდ ყოფნის თითოეული დღე ადასტურებს, რომ სახეზე გვაქვს მ. სააკაშვილის მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5,3-ისა და მუხლი 70,1-ის დარღვევის ფაქტი;
- ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციით: „75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მე-სამედს...“ (მუხლი 63,1);
- ამიტომ, მოგმართავთ წინადადებით რათა საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 75,2-ით გათვალისწინებული გარემოების არსებობის გამო, გამოიყენოთ თქვენთვის საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 63,1-ით მინიჭებული უფლება, და აღძრათ - იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან მ. სააკაშვილის გადაყენების საკითხი.

სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალა ჩვენს სიმართლეს „ლასკარის“ თავმჯდომარე მინიჭებულ (გელა) სააკაშვილი თბილისი, 21 იანვარი

მცხეთა-მთიანეთის ექს-გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა 200.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ კი დაიხსნა თავი წინასწარი პატიმრობიდან, მაგრამ გამოდიება გრძელდება და არ არის გამოირიცხული ცეზარ ჩოჩელს სხვა „ცოდვები“ გამოუჩნრიონ და ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმონ. მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, ჩვენ არავის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას არ ვაპირებთ, მაგრამ დანტერესებულ სამსახურს ამ „ცოდვების“ მოძიება ვეჭვობთ, გაუჭირდეს. ყოველ შემთხვევაში „საერთო გაზეთმა“ ექს-გუბერნატორის პერსონასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ინფორმაციები მოიპოვა.

ჩოჩელის დაკავებისთანავე ვანო მერაბიშვილმა გულისამაჩუყებელი განცხადება გააკეთა, ახალმა ხელისუფლებამ ის ადამიანი დააკავა, რომელიც ომის დროს, კონფლიქტის რეგიონის მოსახლეობას საკუთარ სახლში იფარავდა და მფარველობდა, უფრო მეტიც, ის დევნილებს ფინანსურადც ეხმარებოდა. მერაბიშვილს ხალხი აშკარად მოკლე მესიერების ჰგონია, არ დაგვეწყობია ახალგაზრდის რაინოს მოსახლეობის მამინდელი განცხადებები, რომ ჩოჩელს და ახალგაზრდის მაჟორიტარ დევი ოვაშვილს თავიანთი ქონებისა და ბიზნესის მეტი არაფერი გახსენებათ. უფრო მეტიც, ბატონ გუბერნატორს არც კი გაუფრთხილება ადგილობრივი მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ავ ენებს თუ დაუჯერებთ ჩოჩელმა რაც კი რამ ღირებული გააჩნდა უსაფრთხო ტერიტორიაზე გამოზიდა, ხოლო 1500 სული საქონელი ხევსურეთში გახიზნა, თავის სახლში სეპარატისტების მილიციის უფროსი შვასხლა, გაპარტახებისგან რომ გადაერჩინა. იგი მოგვიანებით ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდა სახლები მიეტოვებინათ, მიუხედავად იმისა, რომ იქ საბრძოლო მოქმედებები არ ყოფილა. ამ ყველაფერს ცხადია, თავისი მიზნები ჰქონდა, ნაცხელისუფლებას ახალგაზრდას ცვირდებოდა დევნილები, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, რაც შეიძლება მეტი დაფინანსება მიეღოთ. გავრცელებული ხმების თანახმად ეს თანხა კორუფციული სქემის საშუალებით მერაბიშვილი-ჩოჩელის წყვილმა აითვისა. მერაბიშვილის თავგამოდებაც ჩოჩელის დასაცავად ვფიქრობთ, ამ „პარტნიორობას“ უკავშირდება.

ახლა კი იმ ინფორმაციების შესახებ, რომელიც „საერთო გაზეთმა“ ჩოჩელთან დაკავშირებით მოიპოვა. ცეზარ ჩოჩელს პერიოდიტ სჭირდება კეთილი და მზრუნველი გუბერნატორის იმიჯი. როგორც „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, ჩოჩელმა შუამავალი მიუგზავნა ყოფილი პატიმრის, მცხეთის სააღსრულებო სამსახურის თანამშრომლის ნინო ხიზანიშვილის დედას, მე ხომ დაგეხმარეთ თქვენი შვილის გათავისუფლებაში, ახლა ჯერი თქვენზეა, ჟურნალისტებს გამოეგზავნით და მათ მიეცით ინტერვიუ ჩემი კაიკაციობის შესახებო. 24 წლის ნინო ხიზანიშვილი ახსურდელი ბრალდებით, თითქოს მან ქრთამი აიღო, დააკავა მთავარმა პროკურატურამ 2011 წლის ზაფხულში. მას პირდებოდნენ, რომ თუ თავისი უშუალო უფროსის და სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელის (ნიკანორ მელია) წინააღმდეგ მისცემდა ჩვენებას,

დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ხიზანიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა. განაწყენებულმა პროკურატურამ ურჩი „ეკვიპიტანილი“ მკაცრად დასაჯა და მისთვის რეაწელიწად-ნახევრიანი პატიმრობა მოითხოვა, რაც სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ დაუყოვნებლივ დაუდასტურა. ხიზანიშვილი გასული წლის 28 აგვისტოს პრეზიდენტმა შეიწყალა, თუმცა რომ არა ოქტომბრის არჩევნები, საეჭვოა სააკაშვილს ასეთი გულმოდგინება გამოეჩინა. ჩოჩელს, მისივე თქმით,



ლუბი და მის მიერ მართული ე.წ. ზონდერები არიანო. სანდო წყაროს ცნობით, ახალგაზრდულ ე.წ. დევნილთა უმეტესობა არც ცხოვრობს წეროვანისა და წილქის დევნილთა ჩასახლებაში, ისინი ძირითადად ახალგაზრდები არიან, ჩოჩელის ახლობლებს მათთვის განკუთვნილი კოტეჯები გაქირავებული აქვთ, ახლა როცა უკვე დაუკანონეს, ყიდაიანო.

დევნილებს ეს კოტეჯები კი გადასცეს, მაგრამ დაუკანონებელი იყო და პრივატიზაციის უფლებაც არ აძლევდნენ. არჩევნები რომ

მოწილი, დადიორენე ეს ფითილგაისურიანი და-კუნთული ბიჭობი, „ქართული ოცნების“ აქციების დარბაზი თუ იყო სა-ჭირო, მათ ღამით უცებ შიპარბდენე და დასარ-ბაპად მიყავდათ.

თითოეულ მათგანს ხელფასის სახით 400 ლარს უხდიდნენ, დარბევების დროს კი ერთი აძლენს უმატებდნენ. კარალეთში კახი კალადის მოსახლეობასთან შეხვედრისას მომხდარ ინციდენტში, წეროვნიდან წაყვანილი ზონდერები მონაწილეობდნენო. ეს ჯგუფი თურმე „არასაიმედო“ ხალხს ქუჩებში იტაცებდა და მცხეთის პოლიციაში მიჰყავდა. ამ ყველაფერს გუბერნატორი ჩოჩელი ხელმძღვანელობდაო.

წეროვანში მცხოვრები ზონდერები „სახალხო კრებაში“ და „ქართულ ოცნებაშიც“ ჰყოლიათ ჩანერგული. ერთი ასეთი ზონდერი, ნინო ბურჯანაძის პარტიაშია, ის გორელია, მაგრამ ამ დასახლებაში ცხოვრობს, „ქართული ოცნების“ მიერ კიკვიძის პარკში მოწყობილ მიტინგზეც ენახეთ, მცხეთაშიც შშირად ვხედავთ, მათ შორის გამგეობასთანაც, ყურადღებას არავინ აქცევს, არადა უამრავ დარბევაში მონაწილეობდა. ასეთი ადამიანი წეროვანის „გეტოში“ ბევრია, მაგ-

ტერიტორიაზე ჩოჩელს საკუთარი ავეჯის ასაწყობი საამქროს საწყო-ბიც ჰქონია, რომელიც ახლანან დაუღუქავს ფინანსურ პოლიციას. როგორც ჩანს ჩოჩელი დევნილებს ავეჯითაც ამარავებდა, ანუ მას და მერაბიშვილს სრული მონობოლია ჰქონდათ ამ სეგმენტზე.

როგორ „ახსნია“ ჩოჩელმა 150 ჰიპტარი სახ-ნახ-სათმისი მიწა ქსოვ-რისმელებს ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა. ეს მიწები მან იმივე ფა-სად ჩაიბორო ხმლი, რო-გორც ფორმანის მიწა-ბი, მაგრამ რა თქმა უნ-და თავის თავზე არ გა-დაუფორმებია, ძალად-ზე ამ მიწების მფლობე-ლები ახალგაზრდული ოც-ნების მიწაზე და მიწა-ზე რა-ზე გაუფორმებია არიან.

ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელიც ამ ტერიტორიაზე 70 ჰექტარ მიწას ამუშავებდა, მარცვლეული მოჰყავდა და ხალხიც დასაქმებული ჰყავდა, პლიუს ამას მიწის მფლობელებსაც იჯარის გადასახადს უხდიდა, ვიდაც თაღლითი მიუგზავნენ. მან 23.000 ლარის ღირებულების ხორბალი იყიდა „პოსლეზე“ და ფული ადარ გადაიხდა. ამ პიროვნებამ თაღლითი მყიდველს პროკურატურაში

პრივიზატიზაციის დასსაუთი ურად

თურმე სულ არ გასჭირვებია უდანაშაულო ადამიანის გათავისუფლება. თუ ასეთი ადგილი იყო მისთვის ეს ყველაფერი, მაშინ წელიწადზე მეტი რას ელოდებოდა, მის გარეშე რეგიონში არაფერი ხდებოდა, ისიც დამნაშავეა ხიზანიშვილის დაჭერაში (მერაბიშვილის, ადგილობრივი და ჩოჩელის გარეშე არავის აკავებდნენ), ახლა კი მხარდაჭერას ითხოვსო. ეს „ტროიკა“ ახალგაზრდში ავტომანქანის კაპოტზე გაშლილ სუფრაზე ქეიფობდა და იქ წყევტდა ქვეყნის ბედს. ცხენებით, კვადროციკლებით და ვერტმფრენებით დადიორენე ქსნის ხეობაში საქეიფოდ და სახადიროდ, იქ სპეციალურად კოტეჯებიც ჰქონდათ აშენებული, თავადების განცხრომა ამით ღრეობასთან, მონაგონიაო.

რა ფული იშოვეს მერაბიშვილმა და ჩოჩელმა დევნილების ხარჯზე, ამის შესახებ პრესაში უკვე დაიწერა, მაგრამ აქ ერთი საგულისხმო დეტალია, **ფორმანის მიწები, სადაც დევნილთა გიტო-პი აშენდა, ამ ფშილია აპრისტროს ოგამადა ცოტა ხნით აღრეა, თითქმის მუშტად შიპიინა (მართი კვადრატული მეტრი 10 თმირად), ომის შიპიდეპი ახაბა ფასად მიჰყიდა სახელმწიფოს. გამორ-ის, სააკაშვილის ხმლი-სუფლებსა ფინანსარ გე-გამადა ცხინვალზე დარ-ტყმას და სამაჩაბლოს ტერიტორიიდან დევნი-ლების ნაპაღსაც ელო-და, რაზეც დიდი ფულის შოვნას ვიპლევდნენ.**

ჩოჩელი თუ ვინმეს ეხმარებოდა, ესენი მხოლოდ მისი ახლობ-

მახლოვდა, მათ უთხრეს შემოი-ტანეთ ლარნახევარი და დაიკანონეთო, მათაც დაიკანონეს, მაგრამ გასხვისების უფლების გარეშე-არჩევნების წინ სააკაშვილს მათი-ვის უთქვამს, ოღონდ მე მომეცით ხმა და გასხვისების უფლებას მოგცემთო. დევნილთა ნაწილი ნაციონალების მხარდამჭერი იყო, ნაწილი „ქართული ოცნების“, ამიტომ ცხადია, სააკაშვილს მათი გულის მოგება სჭირდებოდა. ნაცი-ონალებმა არჩევნები რომ წააგეს, გასხვისების უფლების საკითხი ჰაერში გამოეკიდა, მაგრამ ბიძინა

რამ ახალმა ხელისუფლებამ მათი-ვის ჯერ ვერ მოიცალაო.

მერაბიშვილისა და ჩოჩელის ტანდემმა დევნილებთან დაკავშირებით მარტო წეროვანის მიწებით კი არა სხვა მხრეიაც ისარგებლა. მათი საზიარო კომპანია „ნიუ ენერჯი“ ყველა მსხვილი სახელმწიფო დაკვეთის შემსრულებელი იყო, მათ შორის დევნილთა კოტეჯების მშენებლობისაც. ამ კომპანიათან დაკავშირებით ერთი ძალზე საინტერესო ინფორმაციაც შევიტყვეთ. კომპანიის მესვეურები თურმე თვეობით ამუშავებდნენ მუ-

შივლა, სისხლის სამართლის საქმე კი აღიძრა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ეს ადამიანი გააფრთხილეს, თავი დაანებე ჩივლს, თორემ უარეს უსიამოვნებაში გაეხვევი, რადგან ეს ყველაფერი ზემოდან მოდიოდა. ქსოვისხელებს ეს მიწები 2006 წელს წაართვეს, მაგრამ 2008 წლამდე ჩოჩელს მათი დამუშავებით თავი არ შეუწყუხებია. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა ნაციონალებმა პოზიციები გაიმყარეს, მაშინ ჩოჩელმა სიმინდი დათესა, დაიქირავა ადგილობრივე-ბი, მაგრამ ისინიც გადაგლო, მოსავალი არ მოვიდა, ვიზარალეო და ფული არ გადაუხდა. მუქთად უნდოდა ამ მიწიდან კარგი მოსავლის მიღება და დიდი ფულის შოვნა, ეს რომ არ გამოუვიდა, აღარ დაუშვავებია, მდიდარ კლიენტს ელოდა, რომ მუქთად ხელში ჩაგდებულ მიწა, სარფიანად გაეყიდაო.

ცეზარ ჩოჩელმა თავის დროზე ბიზნესი ლუდის წარმოებით დაიწყო, ლუდს თურმე არყის ქებაში ხარშავდა და თვითონვე ამარავებდა ძველი ე.წ ბუტკა „მოსკვირით“ მალაზიებს. ლუდი „ლომისის“ პარალელურად თურმე იგი ფაღსი-ფიცირებულ არავსაც აწარმოებდა. 2002 წელს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციამ დაუღუქა საწარმო ჩოჩელს და დაჭრასაც უპირებდნენ, მაგრამ კეთილი ადამიანების შემწეობით გადაურჩა ვისოსებში გამოკეტვას. სამაგიეროდ, ნაციონალების ფრთხილქმე შეეუფელმა, გაგუბერნატორებულმა ჩოჩელმა თავის გადამჩრენებს ამაგი იმით დაუფასა, რომ გააკოტრა და დაჭერასაც კი უპირებდა.

მანანა სუხიშვილი (გაგრძელება იქნება)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.org შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**

ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დევნილებს ეს კოტეჯები გასხვისების უფლებით დაუკანონეს და უკვე ყიდაიან. წყაროს თქმით, კეთილმოწყობილი, მიწის და გარაჟის მქონე კოტეჯის ყიდა 10.000 დოლარადაა შესაძლებელი. ნაციონალების მხარდამჭერი დევნილები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ვისაც მალაზიები ჰქონდა, მათ საკასო აპარატებს არ სთხოვდნენ, საერთოდ არ ბეგრავდნენო.

როგორც ვიპიტყვით, დევნილთა ჩასახლებაში უამრავი ზონდერი ცხროვრობს, მათ ცალკე ოთახები ჰქონდათ ბაპო-

მსოფლიო პრესის მიხედვით

vadagasul i prezidenti parlamentSi mi dis

ვადგასული ლეგიტიმურობა. ნებისმიერმა ქართველმა მედიანომ იცის - კარგი ღვინო წლებთან ერთად უკეთესი ხდება. ამას ვერ ვიტყვით სამხრეთის რესპუბლიკის მეთაურზე. „ამოიწურა ვადა? წაღი“ - ასეთია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრი. მათ მიტინგი გამართეს თბილისში, პრეზიდენტის სასახლესთან და თავიანთი პოზიცია მილიონიანი ხელმოწერებითაც დაასტურეს.

საქმე ის არის, რომ 20 იანვარს მოქმედი პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის ინაუგურაციიდან ზუსტად ხუთი წელი გავიდა. ხუთი წელი - ბევრია თუ ცოტა? ეს რიტორიკული შეკითხვაა.

რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საკმარისია იმისთვის, რომ შემდეგი არჩევნები გაიმართოს; მაგრამ ჯერ კიდევ 2010 წელს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება და არჩევნები მიმდინარე წლის ოქტომბერში დანიშნა. ამგვარად, სააკაშვილის მმართველობაც ფაქტობრივად თითქმის ექვს წლამდე გაგრძელდა.

თბილისში მასობრივი საპროტესტო აქციის ორგანიზატორი კოალიცია „ერთობა“ იყო. სწორედ ამ კოალიციის აქტივისტები აგროვებდნენ ხელმოწერებს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის შესახებ. მიტინგზე ითქვა, რომ ორი თვის განმავლობაში მილიონზე მეტი ხელმოწერა შეგროვებულია.

რას ნიშნავს მილიონი საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 4,5 მილიონი. მათგან საარჩევნო ხმის უფლება 3,5 მილიონზე მეტ ადამიანს გააჩნია. ესე იგი, სააკაშვილის მიმართ ულტიმატუმს ხელი ელექტორატის მესამედმა მოაწერა.

საკაშვილს საქმის ამგვარი



გარემოება მაინცდამაინც არ გაკვირვებია. საქართველოში პარალელური ვითარებაა, როცა მოქმედი პრეზიდენტი, არცთუ უსაფუძვლოდ, თავის თავს ოპოზიციას აკუთვნებს.

საკაშვილმა პრეზიდენტობა მეორე ვადით 2008 წელს დაიკავა. მაშინდელ არჩევნებს წინ უსწრებდა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები. დემონსტრანტთა დარბევის შემდეგ ქვეყნის მმართველი დათანხმდა ვადამდე არჩევნებს და დამაკვირვებლად გაიმარჯვა. ყოველ შემთხვევაში, ციფრებით - თავის კონკურენტ ლევან გაჩეჩილაძეზე ორჯერ მეტი ხმა მიიღო. გაჩეჩილაძემ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 25 პროცენტი მიიღო, ბადრი პატარკაცივილის კი მხოლოდ შვიდი პროცენტი ერგო.

საკაშვილმა შეინარჩუნა საპრეზიდენტო სავარძელი. სიმართლე ითქვას, ეს სავარძელი საკმაოდ შერყეულია. ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც მმართველობის შერეული ფორმა დაადგინეს. პრეზიდენტის უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობას გადაეცა.

2012 წლის 1-ლ ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის პარტია კოალიცია „ქართულ ოცნება“ დემოკრატიულ საქართველოსთან“ დამარცხდა. ბლოკმა, რომელსაც მილიარდები ბიზნა ივანიშვილი ედგა სათავეში, საკანონმდებლო ორგანოში 85 ადგილი მიიღო, ანუ მმართველ პარტიაზე ოცი ადგილით მეტი. ივანიშვილი პრეიერ-მინისტრი გახდა და მას შემდეგ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

საინტერესო დეტალი: მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაშალა, საქართველოში ხელისუფლება კონსტიტუციური გზით არ შეცვლილა. რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სამხედრო საბჭომ 1992 წელს ჩამოაგდო. ათი წლის შემდეგ, მის მემკვიდრეს ელუარდ შევარდნაძეს ვერც წოდებულმა „ვარდების რევოლუციამ“ დაატოვებინა თანამდებობა. ახლა კი

გამოძიება დღესაც გრძელდება.

მარშან, ლეკებში დაიწყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ამნისტია. ციხეები დატოვა სამი ათასამდე პატიმარმა. ბევრი მათგანი პრეზიდენტის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობს.

საკაშვილმა რუსეთს თავი ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესებით დაამახსოვრა: 2006-ში - ქართული ღვინო აიკრძალა, შემდეგ „ბორჯომსაც“ იგივე დაემართა. აპოგეა აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტო, როცა საქართველომ სამხრეთ ოსეთში ომი დაიწყო.

საკაშვილის მოწინააღმდეგეები პრეზიდენტს ათლიან ვადას ამლევენ უფლებამოსილებების გადასაბარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველმხრივ შეეცდებოდნენ, რომ „მუშაობაში ხელი შეუშალონ“.

კვირის ბოლოს სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ბოლო საპრეზიდენტო გამოცხადებით წარდგება. ეს იქნება მისი ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოცდა, რადგან მას ჩვეული მისი მომხრე უმრავლესობის - „მორჩილი პარლამენტარებს“ ნაცვლად, სულ სხვა გარემო დახვდება. მთავარი იგი მისთვის ოპოზიციური პარლამენტში საერთოდ და თუ ამ ნაბიჯს გადადგამს, გაუძლებს კი ამ გამოცდას?

newsland.ru vesti.ru

genadi oni Slenko saqarTvel os `sacobs aZrobs~



ქართული ღვინო, მინერალური წყალი „ბორჯომი“ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შენაძლია, რუსულ ბაზარზე გაზაფხულზე დაბრუნდეს - ასეთია რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გენადი ონიშენკოს პროგნოზი. ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე ალბათ „მოლდავური სცენარი“ დაბრუნდება. იმპორტიორთა შეფასებით, ქართველ მედიანებს შეეძლებათ რუსული ბაზრის 2-3 პროცენტი დაიკავონ (აქრძალვამდე ეს მაჩვენებელი 8,2 პროცენტს შეადგენდა).

ონიშენკოს თქმით, „რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინოსა და მინერალური წყლის დაბრუნების შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი წარმატებით დასრულდა. Di ni i ddaai ddi d-ის სპეციალისტთა სამი ჯგუფი შემდეგ კვირაშივე გაემგზავრება საქართველოში ადგილობრივი მწარმოებლების ატესტაციისთვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე კი ემბარგოს მოხსნის კონკრეტული ვადა არ კონკრეტდება.

რას ნიშნავს „მოლდავური სცენარი“? რუსეთმა მოლდავურ ღვინოსა და უკრაინულ ყველზე ემბარგო შემდეგნაირად გააუქმა: „შეიქმნება რამდენიმე საბაჟო-გამშვები პუნქტი, რომელთა მეშვეობითაც ქართული პროდუქცია რუსეთის ტერიტორიაზე შევა. პროდუქციის ჩამონათვალი უახლოეს მომავალში დაზუსტდება“, - განმარტავს ონიშენკო. მისივე თქმით, რუსულ ბაზარზე ყველაზე სწრაფად, თებერვლის ბოლომდე, მინერალური წყალი „ბორჯომი“ დაბრუნდება.

IDS Borjomi Internatoinal-ის წარმომადგენლები ვრცელ კომენტარზე უარს ამბობენ და მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ „რუსეთის მოსახლეობა „ბორჯომის“ განახლებულ ბრენდს იხილავს. აკრძალვამდე „ბორჯომის“ წილი რუსულ ბაზარზე, 2005 წლის მონაცემებით, 10 პროცენტზე ოდნავ მეტი იყო. იმავე წლის სტატისტიკით, BonAqua (Coca Cola) და Aqua Minerale (PepsiCo) რუსეთის ბაზრის 14-15 პროცენტს შეადგენდა. ახლა ძალიან ბალანსი სხვაგვარია და ქართული პროდუქცია უფრო მოკრძალებულ სემენტს დაიკავებს რუსულ ბაზარზე.

kommersant.ru



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიზნა ივანიშვილი ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების მიუხედავად, საქართველო არაფრის ფასად არ იტყვის უარს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე. ეს არის კომენტარი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებაზე, რომელიც მან უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნხენის კონფერენციაზე გააკეთა.

„აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ამ ქვეყანამ ბევრი რამ გა-

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტა-



biZina ivaniSvil i: unda davi brunoT afxazeTi da samxreT oseTi

აკეთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განსავითარებლად. ჩვენ ამას ვაფასებთ და მადლიერი ვართ იმისთვის, რითაც დაეხმარა საქართველოს და ამ დახმარებას მომავალშიც გააგრძელებს. ვცდილობთ ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები. არაფრის ფასად არ ვიტყვით უარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე“, - განაცხადა ივანიშვილმა.

ტები ყველა საკითხში არ ეთანხმება მოსკოვს“ და ამის მაგალითად მან მოიყვანა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ბაიდენის თქმით, ამერიკა არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყნებს და არც მომავალში აპირებს მათ აღიარებას.

vz.ru

მომზადდა მ. ჭანჭავაძემ.

...მე არ ვეთანხმები, როცა ამბობენ, რომ მოხდა ახალიაბის დემონსტრაცია. ორი კაცი თუ საუბრობდა ზუგდიდში ბირჟაზე, იყვნენ თვალთვალის ქვეშ და დედა, რომელიც ვერ იცავდა საკუთარ შვილს, უკანონოდ დაპატიმრებულს იმიტომ, რომ არ დაეჭირათ მეორე შვილი, ეს არის ტერორი. დაუწერელი ოქმები, ოპოზიციის მხრიდან დუმილი, ეს არის ტერორი, როცა ადამიანები ვერ გამოხატავენ საკუთარ პოზიციას.

...როლანდ ახალიამ მოიგო არჩევნები ზუგდიდში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა ირაკლი ალასანიას გამარჯვება და ამას არც ვმალავ, ირაკლი ალასანიას და „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებული კამპანია იყო ყალბი და ძალიან სუსტი, არაადეკვატური. ადვილი მისახვედრი იყო, რომ როლანდ ახალია იქნებოდა მაფორიტარი დეპუტატი და სხვათა შორის, სამი თვით ადრე ვთქვი, რომ როლანდი იქნებოდა მაფორიტარი... რადგან სუსტი იყო „ოცნება“, სამწუხაროდ, მაგრამ არის მეორეც, ვინც არ უნდა ყოფილიყო კანდიდატი, როგორ უნდა მიეცა ხმა ნორმალურ ადამიანს როლანდ ახალიასთვის.

ზუმრობით ამბობენ ჩვენთან: სამწუხაროდ, ცოცხს მივეცი ხმაო... ასე მოხდა.

...თბილისიდან როცა უყურებენ სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებს, ზოგიერთი მეკითხება: რა ხდება? რატომ ხარ ასეთი აგრესიული? მიშა დამთავრდა! იცით, რა, აქედან ასე ჩანს, იქ სურათი არის სხვანაირი, იქ ჯერჯერობით ახალია არჩეული მაინც დედის. მიშას რეჟიმი მაინც ძლიერია.

გუნავას დანიშნვა მოხდა ერთი მიზნით: შეძლებისდაგვარად, გუნავას საშუალებით, მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღო სააკაშვილის მოძრაობის ზონდერების მოპოვებაში და საბოლოო მომენტში.



...საკაშვილი ვერ ეგუება სამეგრელოს დაკარგვას და ცდილობს ადგილობრივ დონეზე მაინც იყოს მისი ხელისუფლება.

...სამეგრელოში არის აგრესია, მძინვარე პროტესტი და ეს არის ადეკვატური. ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენა მიხეილ სააკაშვილმა. ჩვენ გვსურს ადეკვატურად მოვიქცეთ და კიდევ ერთი: წაგებული არჩევნები. მე ვთვლი, რომ ყველა ჩვენგანს აქვს ვალდებულება ქართული საზოგადოების წინაშე, რომ ვალი მოვიხადოთ. ძალიან მძიმე იყო ჩვენთვის არჩევნებში დამარცხება.

მე ყველგან ვამბობ, მეგობრებშიც და ბევრ ეთერშიც მითქვამს: მე მრცხვენია, რომ ჩემი ქალაქის მაფორიტარი და ჩემი ქალაქის სახე არის როლანდ ახალია.

...არასოდეს არ გადავა საზოგადოება ზღვარიდან... ხალხმა ხმა ამოიღო, იმ ხალხმა, რომლებიც იყვნენ ყოველთვის ავანგარდში პროცესების. აი, ეს მოკლა სააკაშვილმა სამეგრელოში. ამის მოთმენა მიხეილ სააკაშვილისადმი არ შეიძლება.

„დაიცავი საქართველოს“ სამეგრელოს ორგანიზაციის წარმომადგენელი პასხა მიქანიძე TV-9

იყო დრო, უკანალის გასხვისება დასჯადი იყო. მოგვიანებით, რაღაც უცნაური ევილით მოხდა შესაბამისი მუხლის ამოღება სისხლის სამართლის კოდექსიდან, აქაოდა დემოკრატიული ქვეყნის შენება გადავწყვიტეთ და დემოკრატიული ღირებულებები უნდა გავითავისოთ, უპირველესად ის მუხლები ამოიღეს, სადაც მამათავლობაზე, აქტიურ და პასიურ პედერასტიაზე იყო საუბარი. უკაცრავად, მაგრამ მახინჯი დემოკრატიის შენება გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით უკანალის გასხვისებით რომ დაიწყეს, ამიტომაც უკავია ახლა ხელში ბატონ კვიციანიას 80-მდე ფირი, სადაც ცნობად მამაკაცთა შორის სექსუალური აქტია გადაღებული და ეს მხოლოდ ის რაოდენობაა, რაც ხელში ჩაუვარდათ,



pornoi industria qarTul ci xeebSi

რამდენიც არ გამჟღავნებულა? ის, რომ ყველა ქვეყნის ყველა ციხეში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არის „ქათმების“ ყოფნა, არავისთვისაა უცხო; არც ის, რომ ყველა „ქათამი“ ციხეში მოხვედრამდე „ქათამი“ არ იყო, ციხეში „გააპეტუხეს“, მაგრამ ამისთვის უქალოდ მყოფი სექსუალურად აქტიური ასაკის მქონე დამნაშავეთა სამყარო „ზრუნავდა“, ე.წ ხელოვნურ გამოხშირვას აწარმოებდა და ბევრად ნაკლებად, მაგრამ ზოგჯერ ამგვარი დავალება ციხის ადმინისტრაციიდან ეძლეოდათ კიდევ, თუმცა დავალებას ასრულებდა ე.წ „შეკრული“, (გნებათ, „გაბოზებული“) მამათავალი პატმარი, მაგრამ არა ციხის მომსახურე პერსონალი და კიდევ უფრო ზემდგომები...

საბჭოთა ციხის ე.წ „თამაშების“ ჩამონათვალშია, თორემ რა „თამაშობა“ ადვილი მისახვედრია, „ცმაცუნი“. ამ დროს „მსხვერპლს“ აუხვევენ თვალებს და აიძულებენ მოძებნოს გარკვეული ნივთი, ან სხვა რამ, ძეხვის დროს კი ერთი მათგანი ან რამდენიმეც, სახესთან მიუტანს სხეულის გარკვეულ ნაწილს. აცმაცუნდება თუ არა თვალახვეული, ეს მის ინსტინქტზეა, მთავარია, კამერა მხიარულობს, ტიპი „გააპეტუხებულია“.

მხედველობის შემოწმება არასრულწლოვანებში – ახალბედს სთავაზობენ თავზე წაიფაროს პიჯაკი ან ე.წ „ბუშლატა“, გააჩნია რა აცვია და, მისი მიღებით გაშვებული სახელოდან გამოშვებულმა დაასახელოს ის ნივთები, რასაც უჩვენებენ. მოულოდნელად სასქესო ორგანოს აჩვენებენ. დაასახელებს რაც არის – მოხდება თვალში, არ დაასახელებს – წაგებულია. გარდა ამისა, იქ „შემოწმებას“ მრავალგვარი სახესხვაობა აქვს, რაც „გააპეტუხების“ უმარტივესი გზაა. იყო ძალადობრივი „გააპეტუხებაც“, რაც კრიმინალური სამყაროს მხრიდან დასჯის მეთოდს წარმოადგენდა, და უპირველესად ეხებოდა პატმარს, რომელიც სწორედ ამორალური საქციელის ჩადენის გამო მოხდა ციხეში (არასრულწლოვანის გაუპატიურება, ქალიშვილის, ძალისმიერი მეთოდით გაუპატიურება, სისხლით ნათესავის, ბავშვთან ნე-ბისმიერი გარყვნილი ქმედება, ამასთანავე, ამგვარი „საქმის მიმცემი“) ან ადგილზე „ფუფლოს“ დასჯა, თუმცა, ამ შემთხვევაში, მოგებულის გადასწვევები იყო, რა სახით მიიღებდა „თავანს“.

ერთ-ერთ ინტერვიუში საბჭოთა ხელისუფლების მიერ და დღემდე რეციდივისტად ცნობილი რესპონდენტმა მითხრა: ზოგი „ქათამი“, ვინც „ქურდული მასტის“ პირადი „ქალი“ არ იყო, ისეთ დღეშიც ჩავარდნილა, ექიმს ეხვეწებოდა, ერთი-ორი დღე რამე მიშველე, ვერ ვვადებო და თუ ექიმი ქალი იყო, გულიანად კისკისებდა და „სანჩასტში“ დაწვენაზე ეხმარებოდაო.

ახლა იმ საბჭოთა ციხის საზომებით რომ მივუდგეთ, წინა მთავრობის იმდენი მაღალჩინოსანი გახდებოდა „სანჩასტში“ დასაწვენი, რა ჩამოთვლის... მაინც საიდან და რამ გაუჩინა კონკრეტულ მამაკაცთა ჯგუფს ამგვარი ავადმყოფური ლტოლვა თავისივე სექსისადმი, საკუთარმა

შენს საქმეს მიხედო. მე კი მივხედავ, ხო იცი, არ გაწყენინებ, მაგრამ თუ ქალთან ნამყოფი არ ხარ, ჯერ ჩემთან ნუ მოხვალ. არ მოუსმინა. არ მოუსმინა და...

კამერაში ქურდებს თვითონ წაასწრებინა ინჟინერმა კაცმა იძულებით „მინეტზე“... კარონე, რაღაცას რომ მაგრად ეჩალიჩები, შეუქცევადი პროცესი იწყება. აი, „ძალღებზე“ გეტყვი, – მაგარი „ძალღი“ რომ არის, დროთა განმავლობაში სიმპათია უჩნდება „ძველი ბიჭების“ მიმართ, ეგრე ყველაფერზე... ელი ოტ ამო – ლიუბლიუ – ნე ნავიუ...“ ორი ნაბიჯია ერთმანეთისგან, მეტი არა...

ერთ მთლიანობაში რომ ავიღოთ ცალკეული ნიუანსი, გამოვა, რომ ყოველგვარი უპანონოვანა და ქურდული სამაგროსთან ბრძოლის მიმდინარე მონაწილეობის ე.წ გუნდი პირდაპირ და ელვისებური სისწრაფით დაქმნულნი არიან შუამდგომლობის მიზნით, ახსოვს, რომ უნდა იყოს უპრობლემოდ და სწრაფად და პირდაპირად გაითავისა ყველა მანქანიერი მხარე, მისთვის პითოვან მიუღებელი ქურდული სამაგროები.

სხვა საკითხია, რატომ ითრევს ფეხს სამართლიანობის ადვოკატის სახელით მოსული ახალი ხელისუფლება სწორედ სა-

სქესობრივ უძლეობაზე? იქნებ, ადრეულ ასაკში წარმოებულმა გარყვნილმა ქმედებებმა? ან იქნებ, სულაც იმან, რომ ახალგაზრდობაში მიხეხია გამო ძლიერი თანატოლებისგან დაჩრდილულებს ქვეცნობიერში ჩაუჯდათ ყველა იმ მამაკაცის დაჩაგრვის სურვილი, რომელიც მამაკაცური ღირსების მატარებელი იქნებოდა? – უცბად ზურაბ ადგიშვილი გამახსენდა, რომელთან მიმართებაშიც კითხვა დაისვა, იცით, რატომ გამოაპარა მშობლიური სოფლიდან სასულიერო პირმა, რომ არ ჩაეკლათო? და იქვე მისივე თანაკურსელის განხარტებული ნათქვამი „რომ დავითვალეთ, 24 კურსელი დავგი-

მართლიანობის აღსადგენად, მაგრამ ფაქტი სახეზეა, სისხლის სამართლის კოდექსში, სავარაუდოდ, არ დარჩა მუხლი, რომელიც წინა ხელისუფლების მმართველი გუნდის წევრებს არ მიესადაგებოდა, უპირველესად კი, სწორედ იმ პუნქტებში, სადაც გარკვევითაა გამოკვეთილი ქურდული სამყაროს ქმედება (არა მენტალიტეტი).

საბჭოთა წარმოშობის „კანონიერი ქურდი“ ინსტიტუტთან მიმართებით „ნაციონალური მოძრაობა“ თვითონ გახდა ახალი ყაიღის „კანონიერი ქურდი“, ოღონდ, იმ გან-



ჭირა... აქვე სააკაშვილიც გამახსენდა, „გრეჩინას“ იმდროინდელი მოგონება, მისი საარჩევნო შტაბის უფროსი რომ იყო, რატომ ყოფილა „კროლიკი“ და ისიც, როგორ აბუჩად იგდებდნენ მოზარდ ენატანია სააკაშვილს თანატოლები... კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა, რაც წლების წინ ქუთაისის ციხეში მოხდა, რომელიც ასევე რესპონდენტმა მიაბო. ციხის ბებერ „ელიტარულ ქათამს“ ახალგაზრდა „მომავალი“ მიაღვა, დღესხვალ ქურდი რომ უნდა გახდეს, და ბებერი ეკითხება: ქალთან ნამყოფი ხარო?

სახვამპით, რომ თუ მისი სულიერი და იდეოლოგიური წინაპრები სამოქმედოდ და სასაპარეო მხოლოდ ციხეს სჯობდნენ, „ნაციონალური მოძრაობა“ მთელი ძაფიანა ბადაბაბით ათეოდ ქვეყანაში მითროლოგიას „პოლიტიკური ოპონენტებისა თუ პოლიტიკური პროცესების მართვის მთავარი იარაღად აქცია.“

მაია ჭელიძე

saj aro weril i iusticiis ministrs,qal baton Tea wul ukians

ქალბატონო თეა, გულისყურით წავიკითხე თქვენი ინტერვიუ, რომელიც 2012 წლის გაზაფხულში „ასავალ-დასავალის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში (24-30 დეკემბერი, №52) დაიბეჭდა. ინტერვიუში კორესპონდენტი ე.წ. ხუთჯვრიანი დროშის შესახებ გეკითხებოდა და გთხოვთ, ამის თაობაზე საკუთარი თვალსაზრისი გააცხადოთ. თქვენი პასუხიდან ვგებულობთ, რომ ე.წ. ხუთჯვრიანი დროშის ქართულ, ეროვნულ დროშად აღიქვამთ, რომელიც სააკაშვილმა მიითვისა და პარტიულ დროშად აქცია, რის გამოც ადრე ამ დროშას ნაცემობის პარტიულ დროშად მიიჩნევდით, მაგრამ თქვენი დამოკიდებულება მას შემდეგ შეცვლილა, რაც „უცნობს“ (ბატონი ვია გაჩეჩილაძე) იგი საკანში №5 თან ჰქონდა. ამის შემდგომ თქვენ მიხვედრილხართ, რომ „თუ პროტესტის მატარებელ ადამიანს აქვს ეს დროშა, ყველაფერი არ არის დაკარგული და შესაძლებელია, ეს დროშა ყველასი გახდეს“. ბოლოს დასძინებთ: „ხუთჯვრიანი დროშა არ არის სააკაშვილის მოგონილი, ისევე, როგორც ქართველი არ არის სააკაშვილის მოგონილი! სააკაშვილმა დროშა კი არა, სამშობლო წამართვა და მე არ ვაპირებ, სამშობლოზე და დროშაზე უარი ვთქვა... ეს დროშა ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ქართველ საზოგადოებასთან ერთად და მას პატივი უნდა ვცვა“.

სანამ მთავარ სათქმელს ვიტყვოდე ე.წ. ხუთჯვრიანი დროშის რაობის შესახებ (ეგრეთ წოდებულს იმიტომ ვამბობ, რომ ხუთჯვრიანი ეწოდება ისეთ დროშას, რომელზეც ხუთი თანაბარი ზომის ჯვარია გამოსახული, რომელთაგან ცენტრალური ქრისტეს აღნიშნავს, დანარჩენი ოთხი კი – 4 სახარებას. ხოლო ამ დროშაზე ერთი დიდი და ოთხი მთხრო ზომის ჯვრით სიმბოლურად ჯვარზე გაკრული ქრისტე და ოთხი სამსჯავლია მინიშნებული), უნდა გაუწყოთ, ქალბატონო თეა, რომ შეუძლებელია თქვენი სიტყვები იმის თაობაზე, თუ როგორ არ აპირებთ შეეგუოთ ფაქტს, რომ სააკაშვილმა სამშობლო წაართვათ, მამულის მოყვარულ ადამიანს გულზე საღებუნად არ დაედოს, რადგანაც რა ხანია, ჩვენ მოკლებულნი ვართ ისეთ სახელმწიფო მოხელეებსა თუ საჯარო პირებს, რომელთათვისაც სამშობლო სათაყვანებელია და მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ საზოგადო მოღვაწის

გული იყო წმინდანის ხატი. წმინდა გიორგის გამოსახულება ქართულ სამეფო დროშაზე ჩვენს ხელთ არსებული ცხრა ისტორიული წყაროთი დასტურდება, რომელთა ავტორებს შორის დროშის თვითმხილველებიც არიან. ამ შემთხვევაშია 7 ევროპელია, ორი კი – ქართველი. ესენი გახლავან: 1. რუდოლფ ფონ ზუჰემი (XIV ს.), 2. იოჰან პილდესჰაიმი (XIV ს.), 3. ქემორაინელი ანონიმი (XIV ს.), 4. იოჰან ფონ კოტოვიუსი (XVI ს.), 5. ჟან ტენო (XVII ს.), 6. ემილიო დარტელი დასკოლი (XVII ს.), 7. ფრანს ფერდინანდ ტრილიოელი (XVIII ს.), 8. ტიმოთე გაბაშვილი (XVIII ს.), 9. თეიმურაზ ბაგრატიონი (XIX ს.), რომელიც გვაუწყებს, რომ წმინდა ნინოს დაუწესებია ჩვენს სამეფო დროშაზე წმინდა გიორგის სახეის აღბეჭდვა. აქ ნახსენები უცხოელი ავტორების თხზულებებში აღნიშნულია, რომ: „ქართველებს თავიანთ დროშებზე აქვთ წმინდა გიორგის გამოსახულება“, „ისინი თავიანთ ქვეყანაში წმინდა გიორგის დროშით დადიან“, „ჯორჯიანის მებრძოლ მოსახლეობას დროშებზე წმინდა გიორგის გამოსახულება აქვთ“, „ქართველები წმინდა გიორგის დროშებით იბრძვიან“, „ქართველებს ყოველ დროშაზე აქვთ წმინდა გიორგის გამოსახულება“ და



დროშა, რომელიც სააკაშვილმა პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტად ძალდატანებით აღიარებინა, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს

უპირველესი მოვალეობა სამშობლოს და მშობელი ერის მსახურებაა. 1992 წლის პუტჩის შემდგომ, ეროვნული ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობაში ისეთი პოლიტიკოსები მომრავლდნენ, რომელნიც არათუ ზრუნავდნენ სამშობლოსთვის, არამედ თვით ამ სიტყვის წარმოთქმასაც კი ერიდებოდნენ და მისი ხსენება ეთაკილებოდნენ. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გული ავიწყდება სიამისგან, როდესაც თქვენს სიტყვებს მოისმენ, რომ არ შეგვეუბნებთ სააკაშვილის მიერ წართმეული სამშობლოსა და ეროვნული დროშის დაკარგვას. ოღონდაც საკითხავია, არის კი ე.წ. ხუთჯვრიანი დროშა ქართველთა საერო სიმბოლო?

ინტერვიუში თქვენ ე.წ. ხუთჯვრიანი დროშის „ქართულობის“ არგუმენტად ტელევიზიით ნაჩვენებ, „უცნობის“ პროტესტის გამოხატველ პროექტს ასახელებთ, რამაც გაფიქრებინათ, რომ ეს დროშა ხალხისთვის ჯერაც არ იყო დაკარგული. მაგრამ ეს არის თქვენი მოსაზრება და სურვილი, რომლითაც ამ დროშის ქართული წარმომავლობა ვერ დამტკიცდება. საკითხის გარკვევას ისტორიული სიმართლე წაადგება, მით უმეტეს ჩვენ შემთხვევაში, როცა შუა საუკუნეების საერო დროშა დაკარგულად მიიჩნევა. ისტორიული სინამდვილე კი შესაბამის წყაროთა მონაცემებით და საბუთებით უნდა წარმოჩინდეს. რა ვითარებაა ამ მხრივ, რას უნდა ვწერილობითი წყაროები და რას გვაუწყებენ სხვა სახის დოკუმენტები?

მკვლევართათვის ცნობილი ყველა წყარო, რომლებშიც ქართველთა საერო და სხვა დროშების ამსახველი ცნობებია დაცული, ცალსახად ცხადყოფენ, რომ შუა საუკუნეების სამეფო დროშაზე, იგივე სეფე დროშაზე გამოსახული იყო წმინდა გიორგი. ცნობილია, რომ დროშის ტილო იყო მეწამული ფერის და შუაგული თეთრი აბრეშუმისა ჰქონდა, რომელზედაც ოქრომკედით ამოქარ-

„ქართველებს სამხედრო დროშებზე დახატული წმინდა გიორგის სახე ყოველთვის დააქვთ“. ქალბატონო თეა, თქვენი ყურადღება მსურს მივაპყროთ ამ ავტორებთან დამოწმებულ სიტყვებს: „დროშებზე, სამხედრო დროშებზე, ყოველ დროშაზე“. ე.ი. ყველანი ერთხმად შენიშნავენ, რომ ქართველებს წმინდა გიორგის გამოსახულებით არა მხოლოდ სამეფო, არამედ სხვადასხვა სახის დროშებიც ჰქონიათ. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც თეიმურაზ ბაგრატიონის თქმით, საქართველოში წმინდა გიორგის გამოსახულებიანი სეფე დროშის დარად, როგორც წესი, საბატონიშვილო, სასარდლო, საერისთავო, სამოურავო და მისი. დროშები იქმნებოდა. ამგვარად, უცხოელ ავტორებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ის ფაქტი, რომ წმინდა გიორგის ხატი ქართველებს „ყოველ დროშაზე“ ჰქონდათ გამოსახული.

რაც შეეხება ე.წ. ხუთჯვრიანი დროშის რაობას და იმას, თუ რატომ გააიგივეს იგი მცდარად ქართველთა საერო დროშასთან. შუა საუკუნეებში დასავლეთ-ევროპელი მოგზაურებისთვის იქმნებოდა პორტულანები – საზღვაო რუკები. ამ პორტულანებზე ე.წ. ხუთჯვრიანი დროშით იმ გეოგრაფიულ პუნქტებს აღნიშნავდნენ, სადაც კათოლიკეთა სამისიონერო ცენტრები იყო განლაგებული. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ქალაქები კუნძულ კვიპროსზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიის ტერიტორიაზე, საქართველოში და ა.შ. საგულისხმოა, რომ ასეთი დროშებით ჩვენს მიწა-წყალზე ორი ქალაქი იყო მონიშნული – თბილისი და ცხუმი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ორივე ამ ქალაქში კათოლიკე მისიონერთა რეზიდენციები არსებობდა. თბილისში გიორგი ბრწყინვალეს დროს, კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი მცირე აზიის ქალაქ სმირნადან გადმოიტანეს, ხოლო ცხუმში ასევე XIV საუკუნის დასაწყისიდან

კათოლიკე პატრის ცენტრი და გენუის კონსულის რეზიდენცია ფუნქციონირებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ არაკათოლიკურ სამყაროში, მაგ. მართლმადიდებელ რუსეთში ან ოსმალეთის იმპერიაში შექმნილ პოლიტიკურ რუკებზე საქართველოს ქალაქები ე.წ. ხუთჯვრიანი დროშით არსად არ არის მონიშნული. ამ დროშებით გეოგრაფიული პუნქტების აღნიშვნა მხოლოდ დასავლეთევროპული რუკებისთვისაა დამახასიათებელი, რაც კათოლიკე მოგზაურებს უადვილებდა გზა გაეკვლიათ თავიანთი სამისიონერო რეზიდენციებისკენ და არ გაძნელებოდათ უცხოეთში საკუთარი სასულიერო ცენტრების პოვნა. სწორედ ამით აიხსნება, რომ აღნიშნულ პორტულანებზე სხვათა გვერდით ქართული ქალაქებიც ე.წ. ხუთჯვრიანი დროშებითაა აღნიშნული და ამ კათოლიკურ სიმბოლოს ქართულ სამეფო დროშასთან საერთო არაფერი აქვს.

ამრიგად, ქალბატონო თეა, შუა საუკუნეების ქართული სამეფო დროშა, გნებავთ სეფე დროშა, გნებავთ საერო დროშა, წმინდა გიორგის ხატით გახლდათ დამშვენებული და იგი არ იყო ე.წ. ხუთჯვრიანი. ამას პირდაპირ დადასტურებს ის ცნობები, ისტორიულ წყაროებში რომაა დაცული და ამის ირთი მტკიცებულება მოგვეპოვება ჩვენამდე შემონახული საერისთავო თუ სამოურავო დროშების სახით, რომლებზეც შუაგულში წმინდა გიორგის სახეაა ამოქარგული. ე.წ. ხუთჯვრიანი დროშა არასოდეს ყოფილა ქართველთა საერო დროშა და, მეტიც, იგი მთელი მართლმადიდებელი საუფლოსთვის უცხოა და მიუღებელი, რადგან კათოლიკური სამყაროს კუთვნილებას წარმოადგენს, რომლითაც შუა საუკუნეებში სიმბოლურად კათოლიკურ ინტეგრაციას აღნიშნავდნენ, დღეს კი ამ დროშით გლობალურ-მასონური იდეოლოგიის გავრცელებას და დამკვიდრებას მიანიშნებენ. ასე რომ, ეს დროშა, რომელიც სააკაშვილმა პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტად ძალდატანებით აღიარებინა, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს და იგი სამარცხვინოდ აღარ უნდა ფრიალებდეს „საქართველოს თავზე“.

აქვე ჩნდება კითხვა, როგორი უნდა იყოს ჩვენი საერო დროშა?! XX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო დროშად სამფროვანი ალამი აღიარა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით შეიქმნა. ქართველთათვის ამ სამ ფერს არაერთი დატვირთვა აქვს და იგი სამ „სოფელსაც“ განასახიერებს: მეწამული – სკნელი, თეთრი – ზესკნელი და შავი – ქვესკნელი. ამ სამფროვანი დროშით ქართველი ერის მთელი კოსმოლოგიაა გადმოცემული, რადგანაც არა მხოლოდ ქრისტეანული პერიოდის, არამედ წინარე ხანის ქართველთა მსოფლგანცდასაც წარმოაჩენს და, ვფიქრობ, ივანე ჯავახიშვილის ამ არჩევანით ყველაფერია გაცხადებული. შესაცვლელია ღერბიც და უპირანი იქნება, თუკი ისევ დამოუკიდებელი საქართველოსდროინდელ ღერბს აღვადგენთ. მასზე გამოსახულია შვიდი ასტრალური მნათობი და ქართველთა მთავარი წმინდანი გიორგი, რომელიც თავის თავში თეთრი გიორგის სახეასაც მოიცავს და ამდენად ეს ღერბიც ორ ქართულ სამყაროს – წარმართულსა და ქრისტეანულს – განასახიერებს. უნდა შეიცვალოს ასევე ჰიმნი, რომელიც არ გახლავთ ორიგინალური მუსიკა და არცთუ მაღალი გემოვნების „პოპური“, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი ტექსტის შესახებ, სადაც გაისმის ასეთი კურიოზული ნათქვამი: „ცისკრის ვარსკვლავი ამოდის“(!) თავის დროზე დიმიტრი არაყიშვილმა დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნისთვის დაწერა მელიქია, რომლის მოძიებაც შესაბამის ფონდებსა და არქივებში სამხელო საქმე არ უნდა იყოს. ვფიქრობ, ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროვას, გერონტი ქიქოძის, რევაზ გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, დიმიტრი შევარდნაძის, დიმიტრი არაყიშვილის და სხვა მოაზროვნეთა თუ ხელოვანთა ღვაწლი დასაფიცვებელი არ გახლავთ. შევექმნით კი თავად ჩვენ რაიმე უკეთესი ან უფრო დახვეწილი?! რაც მთავარია, სახელმწიფო ატრიბუტიკის შექმნისას ამოსავალი უნდა გახდეს ის, რომ დაუშვებელია სახელმწიფო სიმბოლოები ქორონული არსისგან დაკლილი იყოს. ზომ არ აჯობებდა, ქალბატონო თეა, შესაბამისი კომისია შეგექმნათ, სადაც ისტორიკოსები, მკვლევარები და საზოგადო მოღვაწენი შეიკრიბებოდნენ და ხელისუფლებას საკუთარ თვალთახედვას შესთავაზებდნენ? თუკი ამ მამულიშვილურ საქმეს ითავებთ, ეს კიდევ ერთი დასტური იქნება იმ ავტორიტეტისა და ხალხის კეთილგანწყობისა, რაც თქვენი პროფესიონალიზმისა და პრინციპულობის წყალობით უკვე მოაპოვებული გაქვთ.

პატივისცემით,
6060 ჯანაშიძე
 ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
 19.01.2013

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)



ეზოტერიკა, (Ezoterikos) დაფარულს ნიშნავს ბერძულად. თანამედროვე გაგებით იგი მიახლოებულია ქურუმულ ცოდნასთან. ეზოტერიკული სიდუმლოებების შემცველია „ბიბლია“, „ოქროს საწმისი“, „ლაბირინთი“, სტონ პენჯი, პირამიდები და ა. შ.

პირველი ეზოტერიკული დაპირისპირება პროტოქართულ და ინდოევროპულ სივრცეებს შორის მოხდა ტროას ათწლიანი ომის დროს (1380-1370, ძვ.წ. აღ. აფაქიძე), სადაც 120 თვის განმავლობაში ათჯერ მრავალრიცხოვანმა მოიერიშეებმა ვერაფრით სძლიეს ილიონში გამაგრებულებს. და აი, ოდისეოსის მზაკვრობით აიგება ხის ცხენი. შვინთი მამულისათვის თავგანწირული ხალხია ჩამალული. დატოვებენ ამ ცხენს ტრიალ მინდორზე, მოხსნიან ალყას და მრავალრიცხოვანი გემებით იქაურობას გაეცლებიან. ტროა ზეიმობს გამარჯვებას. შერე ცხენის ქლაქში შეგორებას გადაწყვეტენ. ცხენი საერთოდ ეზოტერიკულად ინტელექტის სიმბოლოა. გაივსნით დათა თუთაშხია როგორ მიუგზავნის თეთრონის მუშნი ზარანდიას. ცხენის ჩუქება სასიკვდილო განაჩენის გამოტანა დაფარული ცოდნით. ტროაში ცხენის შეტანას ეწინააღმდეგებენ ქურუმები ლაოკონის მეთაურობით, ნათელმხილველი ტყუბი და-მმა – კასანდრა და ჰელენოსი, მაგრამ დროებითი გამარჯვებით გაბანგული ბრბოს წინაშე მათი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდება. მოანგრევენ გალავანს. შეგორებენ ცხენს ქლაქში. მიეცემიან ზღვარგადასულ ღრეობას. მოგვიანებით ცხენის მუცლიდან ამოსული მეთომრები ამოხოცავენ კარიბჭის მცველებს, შემომუშებენ თავისიანებს და დედაწულიანად ამოწვდება ტროა.

დამოუკიდებელი ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ეზოტერიკის ენაზე პირწავარდინილი „ტროა-2“-ა, ოლონდ – სათანადოდ შენიღბული. ბუნებაში არ არსებულა ცნება „რუსთავი-1“, „რუსთავი -3“. ეს ტროას მასკირებისთვის გამოგონილი ხერხია – აქ განდობილთათვის გასაგები ენითაა მინიშნებული „ტრ“, „რ“ ასო-ბგერა, როგორც ტროას აკუსტიკური გამომახილი. ხოლო „2“ გასაგება – 3370+12 წლის შემდეგ მზაკვრული ომის გამოცხადება თეთრი რასის წარმომადგენლების – პროტო-ბერეილების შთამომავალი ქართველების წინააღმდეგ. „რუსთავი-2-ის“

გურიოტოზაია გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის

ლოგოს თავიდან თვალი ჰქონდა, რომელიც ზემოთ-ზემოთ არბოდა შემოღლილი გამოხედვით. შემდგომ იგი უფრო დაიხვეწა, უფრო შეინიღბა და დღემდე აულავდა ეწვეა ანტიდამიანურ საქმიანობას – მდარე გემონების დანერგვას მოსახლეობაში, უზნეო ტელესერიალების დემონსტრირებას, მამათავლობის ამაზრუნ პრაგანდას, მულტიპლიკაციური ფილმების მიკანალებული ხმით გახმოვანებას და ამ გზით მოზარდების ადრეული ასაკიდანვე გაწირვას არასრულწლოვნების კომპლექსისათვის (ხმა უმთავრესი ფაქტორია პიროვნების ჩამოყალიბებაში, ვინაიდან ხორხი წინა ჯირკვალის გვირგვინია. მსგავსი მანიპულაციებით დეგრადირებული ადამიანი უმუხტოა, სითამაწწართმეული, წინააღმდეგობის უუნარო. აი, რას ემსახურება „რუსთავი-2“-ის – „ტროა-2-ის“ მუხნათური დამკვიდრება ჩვენს ტელე-სივრცეში. მას ემატება სუროგატი „კომედი-შოუს“ თავგასულობა. ისინი უანგარიშოდ თავზე ლაფს ასხამენ ქართველებისათვის სათაყვანებელ მონარქიულ ინსტიტუტს. მაგალითისათვის, ვინმე თმაზარბუნა რაინდია მოწინააღმდეგე თუ დაამარცხებს, მეფის ასულს შერთავენ ცოლად და თუ დაიჯაბნება, უფლისწულზე დაწერენ ჯვარს. ლამის მეთოხვედი საუკუნეა ქადაგებს ამისთანა სისაძლეებს ეს ოყლაყის ნაირსახეობა ტელე-კომპანია და განმეითხავი არავინაა. „ქართული ოცნება“ მოკრძალებით აფიქსირებს მათ საბიუჯეტო დავალიანებებს, უცაცხანებს მის დღევანდელ მესვეურს რაღაც უნათო გარდევების გამო, მთავარზე მთავარი კი ჩვენი გაკვირვებით მივიწყებულია – ქართული სულიერების ადვირახსნილი ხელყოფა.






ქართული ფასეულობების მიმართ შენიღბული შემოტევა განსაკუთრებით კონსტიტუციის მოედანზე „ანდროპოვის ყურების“ აღმართვას მოჰყვა. კომუნისტურ პერიოდში მოედნის გაფართოებას, შეეწირა კაზარანის სახლის უკანა მხარე. მოგვიანებით მეორიალი მოიშალა, მაგრამ მისი სრული ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა – ბეტონი აღმოჩნდა ზესიმძღავრის. სანაცვლოდ მალე რუსთაველის ძეგლის გვერდით ჩაჩქანანნი „მაკლონაღდისი“ აღმართა; ამას მოჰყვა სასტუმრო „ივერიის“, გადართლვა „რადისონ-ბლუდ“ – ლურჯად.

კაზარანის სახლისკენ თითმშვერილი დავით აღმაშენებლის მონუმენტი სალტო-მორტალეთი მისივე სახელობის ხეივნისკენ გადაბრძანდა და ახლა ის თითი დასავლეთ საქართველოსა მიშვერილი – როგორც მოსარჯულბელ არეალს; კონსტიტუციის მოედანზე დარჩა „გამარჯვების“ სიმბოლოდ ორ საჭე-საჯდომიანი ველოსიპედი, რომელსაც მხოლოდ ერთი პედალი გააჩნია და ამისთანა ვითარებაში ქართული მხარისათვის შემოთავაზებულია ნიადაგ უძრაობა, სიჩლუნგე, მარტივი ენით – სიკვდილი. ყოველივე ამას უსწრებდა მოქალაქეთა პირადობის მოწმობაში დემოკრატიის ბურჯი ქალბატონისეული ეროვნების რეკვიზიტის, მამის სახელის გაქრობა, რაც ქვეყნის არაქართული მოსახლეობის წარმომავლობის მზაკვრული შენიღბვაა. 9 აპრილის მონუმენტი ხელების მარწუხებში მოექცა მარადიული ტყვეობის საწინდარად. გაქრა პარლამენტის ფასადიდან მარადმწვანე მცენარეები. მათ ადგილას ესოდენ მოხშირებული შადრევნები აჩუხნუნდა. ამით ქარაგმულად ითქვა – წყალი შევიყენეთო. სიტყვას საქმე მოჰყვა, იუნკრების ძვლებზე აღმართული შენობა 60 მილიონ ლარად მიჰყიდეს ვინმე მოსკოველ ქებურას. სანაცვლოდ ქუთაისის მისადგომებთან უკარფანჯერო ნახევარსფერო დააყუდეს, ხუთჯერ თუ ექვსჯერ ძვირადღირებული. ამ შენობაში ჰყერი გაიშვიათებულულია. კონდინციონერული სუნთქვა კი, რიგით პარლამენტარს კი არა, აფრიკის სპილოს მონიღებს 24 თვეში. მეტსაც გეტყვით, პარლამენტის ახალი შენობა ეგზოპერის „პატარა უფლისწულიდან“ უსესხებია ავტორს – იგი პითონია, რომელმაც გადაყლაპა სპილო. მახრჩობელა გასაგებია, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ბევრად არ გვეპიტნავება გადაყლაპული სპილოს ვითარებაში ყოფნა. სპილო ხომ ამირანი არ არის ბასრი ორღესულით გაუფატროს მუცელი, იქიდან გამოსაღწევად?! „ქართული ოცნება“ გვიპრდება დედაქალაქში პარლამენტის ჩამობრუნებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით სიტყვას საქმე არ მოსდევს. ჩვენ კი დავსძენდით, მიაშაკეთ მოსკოველ ქებურას ახალი პარლამენტის შენობა მუქთად შექენილი ძველის სანაცვლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული კანონმდებლობა ტროას ცხენის ლუკმა შეიქნება ადრე თუ გვიან. ამასთან, გასაუქმებელია სხვადასხვა მოწვევის პარლამენტარებისათვის (ბიბლიურად მართალი კაცის შესადარი გურამ მაქაცარიას გამოკლებით), სრულიად დაუმსახურებელი სტიპენდიები. ეს გაჩუქების სალაფავია „ნაღები ქართველებისათვის“ ეროვნული ინტერესების საზიანოდ, რათა შემდგომ ტან-ფეხიანად გადაგვეყლაპოს, როგორც მახრჩობელამ – სპილო ეგზოპერის „პატარა უფლისწულიდან“.

ბევრს აშენებენ „ნაციონალები“, მათ ძალისხმევას თავის დროზე გიგანტურ ნახტომს ვარქმევდით ფეოდალურ საქართველოში. ბუნებრივია, მშენებლობებს მოსდევს სარფა. მაგრამ, ინვესტიციებით კი არა – საბიუჯეტო სახსრებით შენდებოდა თურმე ეს უზარისხო არქიტექტურული ეგზემპლარები, ვინაიდან ხელყოფილი იყო ადგილობრივი ბიზნესი; ელიტური კორუფციის გამო ზურგი შეგვაქცია ოლიგარქიულმა მსოფლიომ და სახელმწიფო ვალი ვგონებ, სადღესოდ 10 მილიარდი აშშ დოლარია. რაც შეეხება გახმაურებულ ქალაქ ლაზიკას, დავრწმუნდი – მორიგი ტროა-2-ია საქართველოში დემოგრაფიული ფონის საბოლოოდ შესაცვლელად. პენჯაპელი ინდოელების, განთესილი ჩინელების ფორსირებულმა შემოყვანამ დიდი ეფექტი ვერ გამოიღო. ახლა გაცილებით მეტ ტოქსიკურ ღონას გვიმზადებენ ნახევარმილიონიანი ქალაქ ლაზიკას სახით. ამ ქმედებით ჩვენი მითოსური „ძმები“ ორ კურდღელს იჭერენ, პირველი – გლობალიზაციის იარღივით ახდენენ საქათველოს ამერიკანიზაციას და მეორე – ამზადებენ პლაცდარმს ძღაღობრივი „დიდი იმპერიისათვის“. ამერიკის პოზიციიდან თითქოს ყველაფერი წარმატებულად ხორციელდება, თანამიმდევრულად მიმდინარეობს საქართველოს, კავკასიის სინქრონიზაცია მისი ცხოვრების წესის დამკვიდრების კვალობაზე. ამერიკელებს ამას იქით არც აინტერესებთ რომელი ეთნიკური ჯგუფი იქნება რეგიონში ლიდერი, ამორიგენი თუ ჩამოთესილი, მაგრამ ქართველების ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული „ნაციონალური“ რვაწლიანი აშკარაზე აშკარაა და ზარების დარისხების ჟამიც დამდგარა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამოცნობილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სამაგიდო წიგნის „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის“ ჭეშმარიტი არის – ისინი სარკის მოშველიებით უნდა წაიკითხო სინამდვილის მამიებელმა: სადაც „ნაციონალური“ წერია, იქ „ანტიეროვნული“ უნდა აღიქვა, სადაც „საქართველოსათვის“ შეგხვდება, იქ „საქართველოს დასამზობად“ უნდა იგულისხმოდ.

ქართველი კაცი გაუტყვებელია, როცა რაინდული წესით ებრძვიან; ზვიადაური არაფრით შეეწირება დარდას, რაფამ ყელში დანას უფრიან გათოკილს, მაგრამ ნებისმიერი ადამიანი უსუსურია, მათ შორის – ზვიადურიც თქვენს მონა-მორჩილთან ერთად, თუკი ბრბო ქვების მაგივრად ცოცხებს მოიმარჯვებს და მკვიდრად შეკრული ტარებით მოვადგება წელს ქვემოთ. და მაინც სამშობლოს გადარჩენის ვალდებულება გვაძლავს ნებისმიერ შიმშილს და გვაპოქმედებს წარბშეუხრელად, რომ ირონული დიმილით გავეცალოთ მტკვარზე განხრულ ცამცემის შუშის ხილს – ეს ურჩხულის ტყუპისცალია დეზორიენტირებული სიარულისთვის განხიბული, ივლი, ივლი და ბელზებელის მეგზურობით უფალთან ვერასდროს მიაღწევ.

20.01.2013 წ.



„საერთო გზების“ სტუმარი მწერალი მზია ჩხეიძე

– „მზია ჩხეიძის რითმისა და რითმების, მეტაფორების, ფორთხის სტრიქონების თვალსაჩინო ოსტატია, რაც თავისებურ ნიბლსა და მიმზიდველობას ანიჭებს მისსავე ლირიკულ შედეგებს. ამ კონტექსტში საგულისხმოა მისი პასუხი ინტერვიუში დასმულ კითხვებზე: „რა არის პოეზია?“ ქალბატონი მზია ჩხეიძის სხარტად, ხატონად პასუხობს: „ჩემთვის ლექსი ბედისწერაა“ და მერე – ლექსად: „ნეტავი ამ მკვლელს რა ჰქვია?“

რა უღეთოდ საღეთო ცეცხლი? მეტაფორების მაგია, რითმის ბროლი და ვერცხლი...

გაქვეყნავს, ფოტოდა დაგვიარს, ელვის ნაპერწკლებს გესვრის...“

მართლაც ასეა – ეს მაღალი პოეზია ნაღდი საღეთო ცეცხლია. ემოციური მუსიკით რომ გავსებს, სათქმელის საზრისსა და სულისკვეთებას რომ გადაგვებს და გზიბლავს. მთელი წიგნი ასეთ მსატრეულ ფერმონად აღიქმება.“

„მზია ჩხეიძის შემოქმედებაში წამყვანი მოტივია სიხარულის ძიება, სიყვარულის ზეობა და ის იდეალები, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მოზარდი თაობის სულიერ ცხოვრებასა და ურთიერთობაში...“

სიმონ არველაძე, აღმანახი „განთიადი“, 7-8, 2012 წ.“

ეს ამონარიდები თქვენს წიგნზე დაწერილი რეცენზიებიდან გახლავთ... ვილოცავთ ამ წიგნსაც და ბატონი სიმონ არველაძის წერილსაც. გულიანი რეცენზიაა, ძალიან სამართლიანი. იცნობთ ბატონ სიმონს?

– მხოლოდ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. პირადად, სამწუხაროდ, არ შევხვედრივარ. ამიტომაც მიხარია, რომ ამ განათლებულმა და ლიტერატურაში ღრმად ჩახედულმა კაცმა წერადლების ღირსად ჩათვალა ჩემი წიგნი და ასეთი ვრცელი წერილი გამოაქვეყნა აღმანახ „განთიადში“.

– იმაზე რას იტყვით, ბატონი სიმონი რომ იდეალისტ-რომანტიკოს პოეტად მოგინსინიებთ (იდეალისტ-რომანტიკოსი პოეტი თითქოს იდეალიზებულად წარმოგიდგინს წარსულს...), ეს ნიშანდობლივია?

– ვფიქრობ, კი. ბუნება მაქვს ასეთი: ვარ და არც ვარ, თითქოს, მოცემულ რეალობაში არ ვარსებობ. ბავშვობაში ხშირად მესაყვილეობდნენ – გეძახით, გესმის და არ გვეხმია-ნებიო. გეყოფა მალა-მალა ფარფატი, მიწაზე ჩამოდი და ფერი გვათხოვეო. ახლაც ასე ვარ – ვზივარ ახლობლებთან და უცხად აღმოვჩნენ, რომ სხვაგან ვიმყოფები. ვფიქრობ, სწორედ განმარტობაში (ხშირად – საკუთარ თავთან გაუცხოებაში!) ნაბონი აბსტრაქციები გახლავთ ეს ჩემი ლექსები. ან, იქნებ, პირიქით – საკუთარ სულში ჩხრეკისას აღმოჩენილი. ალბათ, ყველა პოეტი ასეა... დიახ, სულში... „სადაც, უღარაში გადაკარგული ზოგჯერ ტყის პირას მოდის, ჩინართან, ჩემი ბავშვობა – დამფრთხალი ნუკრი, ამ ბილიკზე რომ გაუნჩარდა...“ ეს სტრიქონები 1975 წელს გამოცემული წიგნიდან გახლავთ. ცხადია, აბსტრაქცია... უფრო მეტაფორულ აბსტრაქციას დავარქმევდი, ე.წ. სიურრეალისტურს... „ზაუმი“ – აი, გონსმიდმიერიო, ლიტმოდლები რომ ამბობენ. ვფიქრობ: შეიძლება ითქვას, ქვეცნობიერის „მესამე თვალში“ დანახული.

– საინტერესოა, თუმცა, მართალი ვითხრათ, ეს თქვენი ძველი ლექსი არ მახსოვდა.

– ალბათ, არც წავიკითხავთ. სულ პირველი ლირიკული კრებულდანაა. ყოფიერებიდან გაქვეყნა მიქსის ახალ რეალობას, სინამდვილეს, რომელშიც და რომლითაც ვსულდგმობლობ. მით უფრო, რომ ლიტერატურა ხელისუფლება და ჩვეულებრივი ყოველდღიურობის ალი-კვალი ვერ იქნება. არც უნდა იყოს. ახლა ფოტოგრაფიაც აღარ არის მხოლოდ არსებუ-

metaforebis magia, ritmis brol i da vercxli ~...

ლი სინამდვილის კობირება, – ფოტოხელოვანი ხშირად თვითონ ქმნის თავისებურ ვიზუალს და იმას აფიქსირებს. მით უმეტეს, პოეზია. მან ხომ საგნისა თუ მოვლენის სული, არსი უნდა წარმოაჩინოს... თუმცა მე ძალიან ცვალებადი ვარ, როგორც ბუნება წელიწადის დროთა ბრუნვაში.

– „ზან მიწისა ზართ, ზან – ცისა“, არა?

